

ჟანგმოდებული ფლოტის კიდევ ერთი მარცხი

A3



ბლიეს ახალი პარიზული სიმფონია

A5



ბლოხინი კმაყოფილია, ტოპმიოლერი პერსპექტივაზე ფიქრობს

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 8 სექტემბერი, 2006 წელი. №198 (1350) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.

*მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

## ამბები

### უკრაინა ევროკავშირს ტვირთად არ დააწვება

*როგორც უკრაინის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები აცხადებენ, ოფიციალური კიევი ევროკავშირისთვის ზედმეტ ტვირთად არ იქცევა, როგორც ეს 2004 წლის 1 მაისს 10 წევრით გაფართოების შემდეგ მოხდა.*

A3



ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს: http://www.iwpr.net/sub-form.html

A4

## ამინდი

| | 8/09 | 9/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | 28 |
| ბათუმი | 25 | 31 |
| სოხუმი | 25 | 29 |
| ქუთაისი | 27 | 32 |
| გორი | 23 | 27 |
| თელავი | 27 | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7450 |
| ევრო | 2.2333 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2834 |
| რუბლი | 0.0654 |

| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |

# "რეპრესირებული" პარტიის მუქარა

*"ესენი მიიღებენ იმას, რასაც იმსახურებენ," - იმუქრება მიხეილ სააკაშვილი იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა მისამართით. საქართველოს პრეზიდენტს ტოლს არ უდებს ირინა სარიშვილი: "ხელისუფლებას სურს რევოლუცია და იგი მას მიიღებს."*

ვერიკო თევზაძე

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პოლონეთში ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგორ გიორგაძის მომხრეთა საქმიანობაზე ბევრად მეტი ინფორმაცია არსებობს, ვიდრე ცხადდება.

**"ესინი მიიღებენ იმას, რასაც იმსახურებენ და ამას მშვენივრად ნახავენ მათი მფარველები და დამფინანსებლები. რამდენადაც ვიცით, იყო გადატრიალების მოწყობის ისტერიული მცდელობა. თუ ღვინის ემბარგო არ შველის, თუ სამხედრო პროვოკაციები არ შველის, მაშინ რჩებათ მხოლოდ ეს გზა, მაგრამ ვერაფერს დაგვაკლებენ, თუ კონსოლიდირებულები ვიქნებით,"** - დასძინა სააკაშვილმა.

რატომ არ დაიჭირა ხელისუფლებამ ირინა სარიშვილი? - ეს შეკითხვა რიგითი მოქალაქეების გარდა, თავისუფლებაში მყოფ სარიშვილსაც გაუჩნდა.

სარიშვილს, როგორც ყოველთვის, ახლაც აქვს ვერსია. არდაკავების მიზეზად ქალბატონი ირინა შორსმიმავალ გეგმებს ხედავს და ასკვნის, რომ მისი საშუალებით ხელისუფლება "უფრო მსხვილის" დაკავებას აპირებს.

ირინა სარიშვილი კატეგორიულად უარყოფს მთავარ ბრალდებას, რომლის მიხედვითაც 2006 წლის 4 მაისს პარტია "სამართლიანობის" ოფისში შეკრებილმა დაჯგუფებამ შემოდგომისთვის ხელისუფლების შეიარაღებული გადატრიალება დაგეგმა. **"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მსგავსი შეკრება არ ყოფილა,"** - ირწმუნება სარიშვილი.

მოძრაობა "წინ საქართველოს ლიდერი" თემურ შაშიაშვილი და პარტია "თავისუფლების" თავმჯდომარე კონსტანტინე გამსახურდია გიორგაძის მომხრეთა დაკავებას "პოლიტიკურ რეპრესიას" უწოდებენ. შაშიაშვილის აზრით, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკშვილს 1937 წლის რეპრესიების "ავტორთან" მარტო დაბადების თარიღი როდი აკავშირებს. ხელისუფლებამ მიაღწია საწადელ მიზანს - ხალხი დააშინა, დასძენს შაშიაშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ევრო თუ დოლარი?

## რომელ ვალუტაში შევინახოთ დანაზოგი?

B

*"მწვანეების" გაუფასურების ტენდენცია მთელ მსოფლიოში, უკვე ერთი წელია, გრძელდება. დოლარის კურსის ვარდნამ "მწვანე" კუპიურის მიმართ ხალხის ნდობის დაკარგვა გამოიწვია. დღეს უკვე აღარავინ კამათობს იმაზე, რომ დოლარის კურსის ვარდნის მთავარი მიზეზი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერაყის საომარი ოპერაციების დასაფინანსებლად დახარჯული მილიარდები გახდა. პარალელურად, ამ პროცესმა ქვეყანაში თითქმის ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გაუარესება განაპირობა.*



# გამარჯვებულებს არ სჭიან

A 8







*ნაცვლიშვილი, სანიკიძე, ბოისა და კომპანია გუშინ თბილისში გამარჯვებულები დაბრუნდნენ.*

# პარლამენტის საშემოდგომო სესია გაიხსნა

## და იმავე დღეს დეპუტატებმა ერთთვიანი ტაიმ-აუტი აიღეს

გიორგი ასანიშვილი

გუშინ კიდევ ერთ ოპოზიციონერ პარლამენტარს შეუწყდა სადეპუტატო უფლებამოსილება. ოღონდ, ვალერი გელაშვილის შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად ოპოზიცია სახელისუფლებო გუნდს არანაირ პრეტენზიას არ უყენებს: "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა კობა დავითაშვილმა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს რიგები საკუთარი სურვილით დატოვა.

თბილისის მერიისკენ სავალ გზაზე კონსერვატორების ლიდერი მხოლოდ პოლიტიკურმა ოპონენტებმა გააცილეს, - ვინაიდან ოპოზიციური ფრაქციების ბოიკოტი კვლავ ძალაშია, კობა დავითაშვილის თანამებრძოლები არც გუშინდელ რიგგარეშე სხდომას დასწრებიან.

ამ სხდომას წინ უძღოდა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის შეკრება, რომელსაც ოპოზიციონერი დეპუტატებიდან მხოლოდ "მრეწველების" წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილი და "დემფრონტელი" კახა კუკავა ესწრებოდნენ.

საკომიტეტო მოსმენა სულ 10 წუთი გაგრძელდა და ხათუნა გოგორიშვილის კომიტეტის წევრებმა სიამოვნებით მისცეს ხმა პარლამენტიდან კობა დავითაშვილის წასვლას. თუმცა, ოპოზიციას სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენელთა სიხარული ნაადრევად მიაჩნია.

**"უმრავლესობის წევრები დღეს აღფრთოვანებულები არიან პარლამენტიდან კობა დავითაშვილის წასვლით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კობა, თავისი კარიერის ბოლომდე, მაინც მათი თანმდევი იქნება,"** - აცხადებს გიორგი ცაგარეიშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# წლის ადამიანი "ჭუნების" წინააღმდეგ

## "თუ ვინმეს უნდა ნახოს წარმატებული ქვეყანა - ნახოს საქართველო"

*"სიმამაცე, დიდი შესაძლებლობები, მსოფლიოს ცოდნა და პოლიტიკური ტალანტი - ეს ის თვისებებია, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით აფასებენ. თუ ჩვენ ასეთი ადამიანის ძებნას დავიწყებთ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, და არა მხოლოდ აქ, დავინახავთ, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებით შემკული ადამიანი საქართველოს პრეზიდენტია. ამ ადამიანმა შეძლო შეეცვალა ვითარება და მოვლენები არა მხოლოდ საკუთარ, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. საქართველოს მიეცა გადარჩენის შანსი და მან ეს შანსი გამოიყენა. ქვეყანა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ იდგა უფსკრულთან, დღეს უკვე ნატო-სა და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს. მიხეილ სააკაშვილმა თავის ქვეყანაში დაძლია ისეთი წინააღმდეგობები, რომელიც ბევრს პოლონეთში არც დაესიზმრება. თუ ვინმეს უნდა ნახოს ქვეყანა, რომელმაც უახლოეს დროში მიაღწია წარმატებებს, მან უნდა ნახოს საქართველო," - ეს სიტყვები პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა იაროსლავ კაჩინსკიმ კრინიცაში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე წარმოთქვა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წლის ადამიანად გამოაცხადა.*

ეკა ჯანაშია

კრინიცაში გამართულ მე-16 ეკონომიკურ ფორუმს, ე.წ. პოლონურ დავოსს, მსოფლიოს სამოცი ქვეყნის 1700 წარმომადგენელი ესწრებოდა - პოლიტიკოსები, მეცნიერები, ჟურნალისტები და ექსპერტები. ფორუმზე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და საინვესტიციო პროცესები განიხილებოდა. მიხეილ სააკაშვილი ფორუმის ფარგლებში შეხვდა უკრაინის პრემიერ-მინისტრს იანუკოვიჩს. მათ ორი ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ისაუბრეს. საქართველოს პრეზიდენტი ასევე შეხვდა პოლონეთის პრეზიდენტს, პოლონეთის ქვედა და ზედა პალატის სპიკერებს და სხვა ოფიციალურ პირებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შეთქმულთა სია 13 კაცამდე დავიდა

*საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში - "შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისთვის, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად" - ბრალდებულები არიან: თემურ ჟორჟოლიანი, გურამ პაპუკაშვილი, მაია ნიკოლეიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ვარლამ გალდავა, რამაზ სამნიძე, მაია თოფურია, გიორგი ახობაძე, რევაზ გულია, იაკობ კვინიკაძე, ზაზა დავითაია, კახა ქანთარია და გიორგი მეტრეველი.*

იგორგ გიორგაძის 29 მომხრიდან სამართალდამცველებმა ბრალი საბოლოოდ 13 ადამიანს წარუდგინეს. ამის შესახებ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადა და იქვე დასძინა, რომ ბრალდების მხარე მზად არის მართლმსაჯულებას მიმართოს და თითოეული მათგანისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი ორთვიანი პატიმრობა მოითხოვოს.

დასახელებული პირების ბრალეულობაში სამართალდამცველებს ეჭვი აღარ ეპარებათ. ამისათვის საკმარისი მტკიცებულებები უკვე გააჩნიათ - მოწმეთა ჩვენებები, ჩხრეკის შედეგად ამოღებული დოკუმენტები, ფული და, რაც მთავარია, დიდძალი შეიარაღება.

**"აღნიშნული მტკიცებულებები საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ნამდვილად ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ,"** - აცხადებს თბილისის პროკურორი.

გაგრძელება A2 გვერდზე

მოკლედ

### აფხაზებს თხილი შემოაკლდათ

გუშინ დილიდან გალის რეგიონის ზედა ნაწილში, საპასპორტო რეჟიმის, პროკლამაციების და არარეგისტრირებული იარაღის შემოწმება (მათ შორის სანადირო თოფების) დაიწყო. გალის რაიონის გამგებლის ბადრი ბულისკერიას ინფორმაციით, აფხაზი სამართალდამცავების მიერ სოფელ საბერიოსა და ლეკუხონაში მოსახლეობის უკანონო ჩხრეკას აფხაზური ხელისუფლების შინაგან საქმეთა გალის რაიონული განყოფილების უფროსი ლაურენს კოღონია ხელმძღვანელობდა. გალის რაიონის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ აქციაში მონაწილეობა 100-მდე აფხაზმა მილიციელმა მიიღო.

"საპასპორტო რეჟიმი" მხოლოდ საბაბია, რადგან საბუთების შემოწმებას ჩხრეკა არ სჭირდება. ჩემი ინფორმაციით, აფხაზეთის დე-ფაქტო სამართალდამცველები გალის სოფლებში იარაღსა და პროკლამაციებს ეძებენ. მათ განსაკუთრებულ ინტერესს ადგილობრივი ახალგაზრდები წარმოადგენენ", - აღნიშნა ბულისკერიამ. მისივე შეფასებით, გალის რაიონში უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები მხოლოდ იმის დასტურია, რომ "ბოლო პერიოდში აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს საქართველოს ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებული შიში აქვს". ბულისკერიას ინფორმაციით, აფხაზები ამშვიდებენ ქართველ მოსახლეობას, რომ იარაღისა და პროკლამაციების პოვნის შემდეგ მათ სოფლებს დატოვებენ. ბულისკერიას მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზმა სამართალდამცავებმა მოსახლეობის უკანონო ჩხრეკა განახორციელეს, მოსახლეობის უხეში მოპყრობის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

აღსანიშნავია, რომ ეს აფხაზი სეპარატისტების მიერ მიმდინარე კვირას ანალოგიური მიზეზით შემოწმება უკვე მეორედ განხორციელდა. როგორც ცნობილია, სეპარატისტული მილიცია საპასპორტო რეჟიმის საბაბით გალის რეგიონის ქართული ეროვნების მოსახლეობას აკავებს და განთავისუფლების სანაცვლოდ მათ განსაზღრული ოდენობის თხილის მიტანას ავალდებულებს. ცოტა ხნის წინ, ანალოგიური საბაბით დაკავებული 50 ქართველის გათავისუფლების სანაცვლოდ აფხაზებმა 3 ტონა თხილი მოითხოვეს. **24 საათი**

### ვალუტის გადამცვლელი პუნქტის დაყაჩაღება

კოსტავას N 17 სასურსათო მაღაზიის შიგნით განთავსებული, მოქალაქე ნანა ბუაძის კუთვნილი ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, ოთხმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა დააყაჩაღა. თავდასხმის დროს, პუნქტში მხოლოდ მოლარე ქალბატონი იმყოფებოდა. ბოროტმოქმედები ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. მოლარემ დამხმარე ძალის გამოძახება მხოლოდ ბოროტმოქმედთა გაქცევის შემდეგ შეძლო. მთაწმინდა- კრწანისის რაიონის სამართალდამცავთა ინფორმაციით, გამოძახების შემდეგ შემთხვევის ადგილზე სამართადალმცველები მაშინვე მოვიდნენ, მაგრამ ბოროტმოქმედთა დაკავება მაინც ვერ მოხერხდა. წინასწარი ინფორმაციით, ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან გატაცებულია 2500 ლარი. აღნიშნულ ფაქტზე საქმე აღიძრა და მას მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პოლიციის სამმართველო იძიებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### დაპირისპირება გარემოვაჭრეებსა და პოლიციას შორის

მორიგი შეტაკება მოხდა ზუგდიდის ბაზრის მოვაჭრეებსა და პოლიციას შორის. გარემოვაჭრე ქალები ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევენ უბნის ინსპექტორებს, რომლებიც ცდილობენ ქალბატონებისაგან გაათავისუფლონ ბაზრის მიმდებარე ტერიტორია. დაკავებულია ერთი გარემოვაჭრე მედიკო შამუგია.

სამართალდამცავები კატეგორიულად აცხადებენ, რომ ისინი არ დაუშვებენ გარევაჭრობას ქალაქის ტერიტორიაზე. დაუზუსტებელი ინფორმაციით, არიან დაშავებული ქალბატონებიც, რომლებიც გაერიდნენ ტერიტორიას. ერთი კვირის განმავლობაში ეს არის უკვე მესამე შემთხვევა, როდესაც გარემოვაჭრეებსა და პოლიციას შორის ფიზიკური დაპირისპირება ხდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ნოდარ ყანჩელი იურიდიულად დამნაშავედ რჩება

მოსკოვის პროკურატურა "ტრანსვაალ პარკის" გუმბათის ჩამონგრევაში არქიტექტორ ნოდარ ყანჩელს იურიდიულად დამნაშავედ აცხადებს. "ყანჩელის დანაშაული დადგენილია. შეგვიძლია სასამართლოს დავუმტკიცოთ, რომ აკვაპარკის ჩამონრგევის მიზეზი არქიტექტორის მიერ კონსტრუქციაში დაშვებული შეცდომაა", - განაცხადა მოსკოვის პროკურორის მოადგილემ ვლადიმერ იუგინმა.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ყანჩელს ამინისტია შეეხო, მაგრამ ამინისტია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას გულისხმობდა. "ამინისტიიდან გამომდინარე, ყანჩელი სასჯელისგან გათავისუფლდება, მაგრამ სხვა შედეგებზე პასუხისგება მოუწევს. თითოეულ მოქალაქეს, რომელიც არქიტექტორის შეცდომის გამო თავს დაზარალებულად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს და ზარალის ანაზღაურება მოითხოვოს. ყანჩელი იურიდიულად დამნაშავედ რჩება",- განაცხადა იუგინმა. შეგახსენებთ, დასასვენებელ-გასართობი კომპლექსის "ტრანსვაალ-პარკის" გუმბათი 2004 წლის 14 თებერვალს ჩამოინგრა და 28 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. 2006 წლის 23 თებერვალს კი ბაუმანსკის ბაზრის სახურავი ჩამოიშალა. ორივე შენობის პროექტი ნოდარ ყანჩელს ეკუთვნოდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ჯორჯ ბუში - ქვეყნის გარეთ საიდუმლო ციხეები არსებობს

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, პირველად აღიარა, რომ დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს (CIA) ქვეყნის გარეთ საიდუმლო ციხეებში ტერორიზმში ეჭვმიტანილები ჰყავს დაკავებული. "გუანტანამოს ციხეში დაკავებული ტერორისტების გარდა, ომის დროს აყვანილი რამდენიმე ტერორიზმში ეჭვმიტანილი ლიდერი და ბოევიკი შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთ დცს-ის სპეციალური პროგრამის ფარგლებში ციხეებში იმყოფება", - განაცხადა ბუშმა თეთრ სახლში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ მოხსენებით გამოსვლისას.

აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე აღიარა, რომ 14 ყველაზე საშიში ტერორისტი პენტაგონის იურისდიქციის ქვეშ, კუბაში მდებარე გუანტანამო ბეის აშშ-ის სამხედრო ბაზაზე იმყოფება. აღსანიშნავია, რომ არც თუ დიდი ხნის წინ ბუშის ადმინისტრაცია უარს აცხადებდა, ოფიციალურად დაედასტურებინა ინფორმაცია საიდუმლო ციხეების არსებობის შესახებ, რის თაობაზეც მასმედიაში აქტიურად იწერებოდა. თავის სიტყვაში აშშ-ის პრეზიდენტმა წინადადება წამოაყენა, რომ ავღანეთსა და ირანში დაკავებული პირები, ასევე უანტანამოს ციხის პატიმრები დროულად გაასამართლონ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ნაღმი არ ილევა

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმი გააუვნებელყვეს, - ეს ინფორმაცია საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტის" ცხინვალიდან შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურის თანაშემწემ ვლადიმირ ივანოვმა მიაწოდა. ივანოვის ცნობით, კონფლიქტის ზონაში მდებარე ქართულ სოფელ კეხვთან საინჟინრო დათვალიერების დროს, რუსმა გამნაღმველთა ბატალიონის სამშვიდობოებმა ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმი "ოზმ-72" აღმოაჩინეს. ნაღმი დასახლებულ პუნქტ კეხვიდან სამ კილომეტრში გზის ნაპირზე იყო ჩადებული. ნაღმი აფეთქების საშუალებით გააუვნებელყვეს და არავინ დაზარალებულა. "ამ რაიონში, გამნაღმველები, თითქმის, ყოველ კვირას პოულობენ ნაღმს. ნაღმები ხან ახალი დამონტაჟებულია, ხან - ძველი," - აცხადებს ივანოვი. **მედიანიუსი**

### ნოტარიუსობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი დაიწყო

იუსტიციის სამინისტროში ნოტარიუსობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი მიმდინარეობს. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, გუშინ ნოტარიუსის 13 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი დაიწყო. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება იუსტიციის სამინისტროში 7 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა. ამ პერიოდში სამინისტროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 36-მა იურისტმა მიმართა, გუშინდელ კონკურსზე კი მხოლოდ ოთხი მათგანი არ გამოცხადდა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ნოტარიუსობის კანდიდატს ჩაბარებული უნდა ჰქონოდა ნოტარიუსობის საკვალიფიკაციო გამოცდა. როგორც საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ მამუკა გელოვანმა განაცხადა, ნოტარიუსთა შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები კონკურსზე მიღებული ქულების რაოდენობა და შრომითი გამოცდილება იქნება. **ინტერპრესნიუსი**

### დარღვევები სასტუმრო "არაგვსა" და მუსიკალურ სკოლაში

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველომ მითვისების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე სასტუმრო კომპლექსს, სააქციო საზოგადოება "არაგვს" ეხება. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, სასტუმროს ხელმძღვანელობამ აქციონერთა კუთვნილი თანხები მიითვისა. ფირმის საბუღალტრო დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზიის შემდეგ მითვისებული თანხის ზუსტ ოდენობა და დამნაშავეთა ვინაობა გამოიკვეთება. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ კი ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში ბიუჯეტიდან სასაწავლებლისთვის გამოყოფილი თანხები მითვისება აღმოაჩინა. სასწავლებლის დირექტორი იმ პერიოდში ენი არსენიძე იყო. ფინანსური პოლიცია არსენიძეს 2004-2006 წლებში მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგების კუთვნილი ხელფასების მითვისებასაც ედავება. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, სასწავლებლის საბუღალტრო დოკუმენტაციას რევიზია უტარდება. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით ("მითვისება ან გაფლანგვა"). **24 საათი**

# შეთქმულთა სია 13 კაცამდე დავიდა

პირველი გვერდიდან

როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა სამართალდამცველებმა კახა ქანთარიას საცხოვრებელი ბინის სარდაფიდან ამოიღეს, რის გამოც მას, სხვა თანაპარტიელებისგან განსხვავებით, ბრალდება დაუმძიმდა და, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მცდელობასთან ერთად, ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვის მუხლითაც წარედგინა. გიორგი ღვინიაშვილი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ძიების პროცესში ახალი დეტალები გამოიკვეთოს და დაკავებულებს სხვა ბრალდებებიც დაემატოთ.

თბილისის პროკურორის განცხადებით, გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია მედიას შეუზღუდავად მიეწოდება. ამასთან, იგი გვპირდება, რომ სასამართლო პროცესზე ცნობილი გახდება იმ მოწმეთა ვინაობა, რომელთა ჩვენებებიც ფართომასშტაბიანი დაპატიმრებების საფუძველი გახდა და რომელთა იდენტიფიკაციაც ჯერ არ მომხდარა. კანონის თანახმად, დაკავებულებისთვის ბრალის წარდგენის შემდეგ სასამართლო ვალდებულია, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე 48 საათის განმავლობაში იმსჯელოს. აქედან გამომდინარე, იგორ გიორგაძის მომხეებისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების საკითხი მაქსიმუმ 9 სექტემბერს უნდა გადაწყდეს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ "შეთქმულებაში სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად" ბრალდებულებს დანაშაული საბოლოოდ დაუმტკიცდებათ, მათ 5-დან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

სწორედ იმ დროს, როდესაც თბილისის პროკურორი გიორგაძის მომხრეთა ბრალდებებზე საუბრობდა, ირინა სარიშვილმა, რომელიც დაპატიმრებას გადაურჩა, პრესკონფერენცია გამართა და დაკავებულთა უდანაშაულობის დამტკიცება სცადა.

**"გიორგაძის დაკავებული მომხრეების მიმართ წაყენებული ბრალდებები სრულიად უსაფუძვლოა. პარტია "სამართლიანობის" ოფისში 4 მაისის შეკრება, რომელზეც გამოძიება საუბრობს, რალურად არ ყოფილა და შესაბამისად, არც გიორგაძის მხარდამჭერებს შეუმუშავებიათ ხელისუფლების დამხობის გეგმა,"** - აცხადებს გიორგაძის ფონდის დირექტორი.

მეტიც, სარიშვილი ამტკიცებს, რომ "კონსერვატიულ-მონარქისტული" პარტიის ლიდერი თემურ ჟორჟოლიანი, რომელიც, გამოძიების ვერსიით, აღნიშნულ შეკრებაში მონაწილეობდა, 4 მაისს გულის შეტევით საავადმყოფოში იწვა და ამ თათბირში მონაწილეობას ვერანაირად ვერ მიიღებდა.

რაც შეეხება იგორ გიორგაძის ცოლის დისშვილის მაია თოფურიას ბინიდან ამოღებულ ფულს, სარიშვილის თქმით, ეს ფული მაია თოფურიას დედის კუთვნილება იყო და არა გიორგაძის მხარდამჭერების.

სარიშვილი ეჭვებს საკუთარ გათავისუფლებაზეც გამოთქვამს.

**"თუ ხელისუფლებამ არ იცის, რა დოკუმენტაციას ვინახავ და ამავე დროს, შეთქმულების მონაწილედ მთვლის, ყველა ლოგიკით, მეც ჩემი მეგობრების მსგავსად დაკავებული უნდა ვიყო,"** - ამბობს სარიშვილი და საკუთარ თავისუფლებაში ხელისუფლების უფრო შორსმიმავალ გეგმებს ხედავს. გიორგაძის ფონდის დირექტორის აზრით, სამართალდამცველები მისი მეშვეობით "ვიღაც უფრო მსხვილის დაკავებას აპირებენ".


ინტერპრესნიუსი

*ირინე სარიშვილი თავისუფალია, მაგრამ მას ამის თაობაზე საკუთარი ვერსია აქვს.*

გიორგაძის მომხრეების მიმართ წარდგენილი ბრალდების უსაფუძვლობაზე საუბრობს თემურ ჟორჟოლიანის ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილიც.

**"ქანთარიას ცოლი ამტკიცებს, რომ აღნიშნული სარდაფი, საიდანაც იარაღი ამოიღეს, 20 წელია არ იკეტება და ნებისმიერს შეეძლო, რაც უნდოდა ის დაედო. ამასთან, ლოგიკას მოკლებულია ის, რომ იარაღი მაინც და მაინც პარტიის აქტივისტის სარდაფში იპოვეს. თუ საბრძოლო მასალის დამალვა სურდათ, სხვა ადგილს იპოვიდნენ. საეჭვოა, თავად ჟორჟოლიანის დაპატიმრების საფუძველი. ჯერ ერთი - 26 აპრილიდან 6 მაისამდე იგი ჩაფიძის სახელობის კლინიკაში იწვა და ამის დამტკიცება სულ ადვილად შეიძლება. მეორეც, მას ბრალი აქვს წარდგენილი იმის გამო, რომ ვიღაც მოწმეებმა თქვეს - გავიგეთ გალდავა და ჟორჟოლიანი შეთქმულების გეგმას როგორ აწყობდნენო. არადა, ასეთ ფაქტს გალდავაც და ჟორჯოლიანიც უარყოფს. ანუ, გამოძიებას პირდაპირი მტკიცებულება არ გააჩნია,"** - ამბობს ნიკოლეიშვილი.

ერთი სიტყვით, გიორგაძის მომხრე 13 დაკავებული საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას თავდაპირველად აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას შეეცდება. სპეცოპერაციის დროს დაკავებული 29 პირიდან დანარჩენი 16 გამოძიებამ მოწმის სახით დაკითხა და არასაკმარისი მტკიცებულებების გამო გუშინვე გაათავისუფლა.

# 50 ათასი ლარი თავდაცვის აკადემიის ყოფილი რექტორის თავისუფლებისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდების მხარის მოთხოვნა დააკმაყოფილა და თავდაცვის აკადემიის ყოფილ რექტორს გიორგი თავდგირიძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. თუმცა, მოსამართლის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული 10 დღის მანძილზე გირაოს სახით 50 ათას ლარს გადაიხდის, მას თავდებით გაათავისუფლებენ.

გიორგი თავდგირიძისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას მისი ახლობლები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. ამიტომ, სასამართლო სხდომის დაწყებისთანავე, თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილი რექტორის ადვოკატმა სასამართლოს დაკავებულის გათავისუფლების სანაცვლოდ გირაო - 3 ათასი ლარი შესთავაზა. ადვოკატი მისი დაცვის ქმეშ მყოფის თავდებში გათავისუფლებაზეც თანახმა იყო, თუმცა, საბოლოოდ, მოსამართლემ პროკურორის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო თავდგირიძეს ბიუჯეტისთვის 23 000 ლარის ოდენობის ზარალის მიყენებას ედავება. თავდაცვის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე სუხიტაშვილის ინფორმაციით, თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილმა რექტორმა რამდენიმე ათეულ მოქალაქეს შრომითი ხელშეკრულებები უკანონოდ გაუფორმა. გამოძიებით დგინდება, რომ აკადემიის რექტორობის პერიოდში, ამგვარი ხელშეკრულებების დადების აუცილებლობა არ არსებობდა. თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილი რექტორი, ამჟამად კი "ახალი მემარჯვენეების" სამხედრო კომისიის თავმჯდომარე, პოლკოვნიკი გიორგი თავდგირიძე სამხედრო პოლიციამ ორი დღის წინ დააკავა. იგი ბრალდებულად ცნეს და ქალაქის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს.

თავდგირიძე სამხედრო პოლიციაში ხუთშაბათს, შუადღისას საკუთარი ნებით, უწყების გარეშე მივიდა და რამდენიმე საათის განმავლობაში, ადვოკატის გარეშე იკითხებოდა. მოგვიანებით მას ადვოკატი ლადო ნორაკიძე დაუნიშნეს, თუმცა - დროებით. ამჟამად მის უფლებებს ადვოკატი სოსო ბარათაშვილი იცავს.

"მემარჯვენეების" განცხადებით, ბოლო დროს თავდგირიძე ამჩნევდა, რომ მას აქტიურად უთვალთვალებდნენ და სწორედ ეს გახდა სამხედრო პოლიციაში მისი მისვლის მიზეზი. გიორგი თავდგირიძემ სამხედრო კარიერა თავდაცვის სამინისტროში ირაკლი ოქრუაშვილის მოსვლის შემდეგ დაასრულა.

გიორგი თავდირიძის მიმართ მოსამართლის გუშინდელი გადაწყვეტილება ფრაქცია "მემარჯვენეების" წევრმა კოკა გუნცაძემ გააპროტესტა. მისი თქმით, თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილი რექტორი თავდაცვის მინისტრის პირადი პატიმარია, რადგან იგი მინისტრის უკანონობასა და სიცრუეს ამხელდა.

*24 საათი*




მოკლედ

### ბუნტის მიზეზი საქართველოს მოქალაქეა

ბლაგოვეშენსკის N8 საპყრობილეში მსჯავრდებულთა ბუნტის მიზეზი ცოტა ხნის წინ გადაყვანილი ქართველი პატიმარი გახდა - განუცხადა ერთ-ერთ რუსულ სააგენტოს ამურსკის ოლქის პროკურორის თანაშემწემ ვლადიმერ ბერდიშევმა, თუმცა საპყრობილეში გადაყვანილი საქართველოს მოქალაქის ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა.

"ქართველი მსჯავრდებული ბარნაულის პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობდა, რადგან ის ნარკომანია. მან დანარჩენ პატიმრებს თავი "კანონიერ ქურდად" გააცნო და საკუთარი "წესრიგის" დამყარებას შეეცადა. სწორედ მან უბიძგა პატიმართა ნაწილს შიმშილობის დაწყებისკენ. 100-მდე პატიმარმა მართლაც გამოაცხადა შიმშილობა და ამის შესახებ განცხადება ციხის ადმინისტრაციას წარუდგინა", - აცხადებს ბერდიშევი.

მისივე თქმით, პატიმრებმა მოგვიანებით გაიგეს, რომ მათი ახალი "თავკაცი" სინამდვილეში პირველად ნასამართლევი იყო და ნარკომანიის მკურნალობის კურსს გადიოდა. "ამის შემდეგ ბუნტი შეწყდა და მსჯავრდებულები ძველებურ რეჟიმში აგრძელებენ ცხოვრებას", - აცხადებს პროკურორის თანაშემწე.

ბლაგოვეშენსკის N8 საპყრობილეში პატიმართა მიერ შიმშილობის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად მათმა ნათესავებმა გაახმაურეს. პატიმრების ოჯახის წევრთა თქმით, მსჯავრდებულები პაემნების უმიზეზოდ გადადებასა და ამანათების მიუღებლობაზე ჩიოდნენ. ციხის ბინტთან დაკავშირებით, ვითარებაში გარკვევას ამჟამად ამურსკის ადამინთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია და პროკურატურა ცდილობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ქალაგნიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი.
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# პარლამენტის საშემოდგომო სესია გაიხსნა

პირველი გვერდიდან

კობა დავითაშვილის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე აიძულა, საშემოდგომო სესია ვადაზე ადრე გაეხსნა: დავითაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების მოხსნა რომ არა, სესია, გუშინდელი რიგგარეშე სხდომის ნაცვლად, გაცილებით გვიან გაიხსნებოდა.

კობა დავითაშვილის გარდა, გუშინ სადეპუტატო უფლებამოსილება საპარლამენტო უმრავლესობის წევრს დავით ტყეშელაშვილსაც შეუწყდა. ასეთი გადაწყვეტილება იმით არის განპირობებული, რომ ეს უკანასკნელი სულ ცოტა ხნის წინათ გარემოს დაცვის მინისტრად დაინიშნა...

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე წყდება პარლამენტის პლენარული მუშაობა. აქამდე ეს ნორმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე არ ვრცელდებოდა. გუშინ მიღებული გადაწყვეტილებით კი, ეს "ხარვეზი აღმოიფხვრა". ასე რომ, პარლამენტის პლენარული სხდომები მხოლოდ 5 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გაიმართება. აღსანიშნავია, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა ოპოზიციას დაბრალდა, - პარლამენტის ხელმძღვანელობის "განმარტებით", ვინაიდან ოპოზიციური ფრაქციები ბოიკოტის შეწყვეტას არ აპირებენ, ამდენად, საპარლამენტო ტრიბუნას არჩევნებისთვის მაინც ვერ გამოიყენებენ.



ხათუნა გოგორიშვილის კომიტეტის წევრებმა სიამოვნებით მისცეს ხმა პარლამენტიდან კობა დავითაშვილის წასვლას.

გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე პარლამენტმა, საკადრო საკითხების გარდა, საკმაოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებაც მიიღო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი გარე აგრესიის შემთხვევაში, საქართველო ტოტალური და უპირობო თავდაცვის პრინციპით იხელმძღვანელებს. ამ მიზნით შეიქმნება სავალდებულო სარეზერვო სამსახურის სისტემა, პარალელურად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ სისტემისთვის აუცილებელი შეიარაღებისა და აღჭურვილობის არსებობას და განავითარებს მისი მართვისა და კონტროლის მექანიზმებს.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში შეტანილ ცვლილებებს ზოგიერთი დეპუტატი ეჭვის თვალით უყურებს. გუშინდელ სხდომაზე დაისვა კითხვა იმის შესახებ, ტოტალური და უპირობო თავდაცვის პრინციპზე გადასვლა რამდენად შეესაბამება ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების მოთხოვნებს.

როგორც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ზურაბ დეკანოიძე აღნიშნავს, საქართველო ჯერ არ არის ნატო-ს წევრი, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში შეტანილი ცვლილებები კი მთლიანად შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. თავის მხრივ, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე ირწმუნება, რომ როდესაც საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ისევ შეიცვლება და ძველ სახეს მიიღებს.

# "რეპრესირებული" პარტიის მუქარა

პირველი გვერდიდან

**"შეშინებულ ხალხს ეროვნული საქმე არასოდეს გაუკეთებია. შეშინებულმა ხალხმა 1937 წელი მიიღო,"** - ამგვარ დასკვნას აკეთებს შაშიაშვილი.

შალვა ნათელაშვილი კი კვლავ დუმილს ამჯობინებს. "ლეიბორისტული პარტიის" პრესსამსახურის ინფორმაციით, პარტიის ხელმძღვანელობა ორი-სამი დღის განმავლობაში დაელოდება სიტუაციის განვითარებას და შემდეგ გამოხატავს თავის პოზიციას.

იმ პარტიებიდან, რომლებმაც უვე თავიანთი მოსაზრებები გააცნეს საზოგადოებას, არც ერთი მათგანი არ ეტრფის იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა იდეებს. მიუხედავად ამისა, პარტია "იმედის" თავმჯდომარე იმედს არც ამჯერად კარგავს და როგორც საპარლამენტო ("რესპუბლიკელების" გარდა), ასევე არასაპარლამენტო ოპოზიციას ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანებისა და პრაქტიკული ქმედებისკენ მოუწოდებს. მანამდე კი მათ ურჩევს, "სამარცხვინო განცხადებების" კეთებისგან თავი შეიკავონ.

სარიშვილი ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის შექმნის იდეით გამოდის. კომიტეტს, მისი აზრით, ერთადერთი მოთხოვნა ექნება - ხელისუფლების გადადგომა.

ირინა სარიშვილი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ფართომასშტაბიანი აქციებისთვის ემზადება "ხელისუფლების მოსაშორებლად". ხელისუფლების პირველი პირი კი მშვიდად აცხადებს: **"ესენი მიიღებენ იმას, რასაც იმსახურებენ."**

## მოკლედ

### "ლეიბორისტები" გიგი უგულავას ჯონდი ბაღათურიას უპირისპირებენ

"ლეიბორისტული პარტია" ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში გიგი უგულავას კანდიდატურას ჯონდი ბაღათურიას დაუპირისპირებს. ამის შესახებ გუშინ "ლეიბორისტული პარტიის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტული პარტიის" იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განაცხადა. მან მოუწოდა ხელისუფლებას, დაასახელოს ის ოლქი, სადაც მათი კანდიდატი, გიგი უგულავა იყრის კენჭს.

ძაგანიას ინფორმაციით, გიგი უგულავა სავარაუდოდ ვაკეში, ან მთაწმინდაზე იყრის კენჭს და სადაც უნდა იყოს, მას ჯონდი ბაღათურიას კანდიდატურას დაუპირისპირებენ. "ლეიბორისტები" მიიჩნევენ, რომ უგულავას დამარცხება ხელისუფლების და "ნაცმოძრაობის" ყველაზე ცნობილი სახის ერთად დამარცხება იქნება. პრესკონფერენციაზე თავის მხრივ ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, რომ იგი "ლეიბორისტული პარტიის" სიაში რიგით 37-ე, ანუ ბოლო იქნება. "კანონის მიხედვით, თუ კანდიდატმა მაჟორიტარული არჩევნები ვერ მოიგო, ის ვერც პარტიული სიით გახდება დეპუტატი", - განმარტა ბაღათურიამ მისი საარჩევნო სიის ბოლოში ყოფნის მიზეზი. თუ ვინ იქნება ნომერი პირველი "ლეიბორისტული პარტიის" საარჩევნო სიაში, ეს ორშაბათს გახდება ცნობილი. **ინტერპრესნიუსი**

### "წითელი ჯვრის" ოფისთან საპროტესტო აქცია გაიმართა

გუშინ "საქართველოს წითელი ჯვრის" ოფისის წინ ორგანიზაციის ოცამდე წევრმა საპროტესტო აქცია გამართა. "საქართველოს წითელი ჯვრის" ორგანიზაციის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული თანამშრომლები ორგანიზაციის პრეზიდენტის ნანა ყეინიშვილის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვდნენ. მათი თქმით, ნანა ყეინიშვილს ორგანიზაციის საპრეზიდენტო ვადა უკვე ამოეწურა. თანამშრომლები აცხადებენ, რომ ხუთი წლის მანძილზე ყეინიშვილის პრეზიდენტობის დროს ორგანიზაციის რაიონულ ოფისებს მედიკამენტებისა და საკვები პროდუქტების სახით ჰუმანიტარული დახმარება არ მიუღიათ. ამიტომ, ისინი ყრილობის მოწვევას და პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვენ. "ჩვენ, უბრალოდ, გვეცოდება ის უმწეო მოხუცები, რომლებიც მედიკამენტების და საკვები პროდუქტების გარეშე დარჩნენ. ისინი ჩვენ დახმარებას ყოველ თვე ელიან", - აღნიშნა "წითელი ჯვრის" ზუგდიდის რაიონის თანამშრომელმა ლონდა თოლორაიამ. "წითელი ჯვრის" თანამშრომლები აცხადებენ, რომ თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება ოფისის წინ მარტოხელა მოხუცები შიმშილობას დაიწყებენ. **მედიანიუსი**

### კონსტანტინე გამსახურდია გიორგაძის მომხრეთა დაკავებას პოლიტიკურ რეპრესიას უწოდებს

პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია პარტია "სამართლიანობის" წევრების, კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის ლიდერის თემურ ჟორჟოლიანის და მოძრაობა "ანტისოროსის" ლიდერის მაია ნიოლეიშვილის დაკავებას "პოლიტიკურ რეპრესიას" უწოდებს. როგორც, "მედიანიუსს" კონსტანტინე გამსახურდიამ უთხრა, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოძრაობა რუსეთიდან დაფინანსებულ პოლიტიკურ პარტიებს ემიჯნება, გიორგაძის მომხრეებთან დაკავშირებით ქართული მასმედიის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია ეჭვს იწვევს. "ტელევიზიით გავრცელებული ეგრეთ წოდებული ანონიმური მოწმეების ჩვენებები საკმაოდ არადამაჯერებელია. ამ ადამიანების დაკავება უფრო პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. სათანადო მტკიცებულებების არარსებობისას, არ შეიძლება ადამიანს სამშობლოს ღალატის ბრალდება წაუყენო". - განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ. **მედიანიუსი**

### რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო "სამართლიანობის" აქტივისტების დაკავებას საქართველოს საშინაო საქმედ მიიჩნევს

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოში ოპოზიციური პარტია "სამართლიანობის" აქტივისტების დაკავებას საქართველოს საშინაო საქმედ მიიჩნევს. "რუსეთის ფედერაცია საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, კერძოდ, მასობრივ დაპატიმრებებს, საქართველოს საშინაო საქმედ მიიჩნევს,"-განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა იურო პოპოვმა. "რაც შეეხება რუსეთის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს. ჩვენ არ გვაოცებს ეს ფაქტი, რადგან თბილისი ყველა უბედურებას ყოველთვის რუსეთს აბრალებს, ეს არასასიამოვნოა, მაგრამ ფაქტია,"-დასძინა პოპოვმა. ცნობისთვის, საქართველოს შს სამინისტრის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გუშინ, მთელ საქართველოში პარტია "სამართლიანობის" აქტივისტები დააკავეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### იორდანიამ გაერო-ს გენმდივნის პოსტზე ზეიდ რაადი წარადგინა

გაერო-ს გენერალური მდივანი შესაძლოა იორდანელი პრინცი გახდეს. იორდანიამ გაერო-ს გენერალური მდივნის პოსტზე საკუთარი წარმომადგენელი, მეფე აბდალა II-ის ბიძაშვილი პრინცი ზიად რაადი წარადგინა. რაადი გაერო-ს ისტორიაში ამ პოსტზე წარდგენილი ყველაზე ახალგაზრდა კანდიდატია. 42 წლის ზეიდ რაადი გაერო-ში იორდანიას 2003 წლიდან წარმოადგენს. ის სამშვიდობოთა მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საკითხებზე მუშაობს. მის მიერ შარშან გამოქვეყნებულ ანგარიშში გაერო-ს სამშვიდობოთა მიერ კონგოში ქალთა და მცირეწლოვან გოგონებზე სექსუალური ძალადობის მრავალი ფაქტი იყო გამოვლენილი. კოფი ანანს უფლებამოსილების ვადა წელს დეკემბერში ეწურება. გენმდივნობის პირველი ვადის დროს ანანს ბოდიშის მოხდა იმის გამო მოუწია, რომ გაერო-მ ბალკანეთში სამოქალაქო ომის, ხოლო რუანდაში გენოციდის აღკვეთა ვერ მოახერხა. მეორე ვადის დროს კი, მან ბოდიში ავღანეთის, ერაყის, პალესტინისა და ლიბანის კონფლიქტების გამო მოიხადა. **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთი კოდორში ჩატარებული ოპერაციით უკმაყოფილოა

რუსეთის საგარეო უწყება ყურადღებით აკვირდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განვითარებულ მოვლენებს. "სამწუხაროდ, პროცესი ჩიხშია შესული," - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში. მიმდინარე წლის ივლისში კოდორის ხეობაში ჩატარებული ოპერაციით 1994 წლის 14 მაისს მიღწეული შეთანხმებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დარღვევა მოხდა, რომელიც მხარეებს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისთვის ხელისშემშლელი ყველა ნაბიჯის გადადგმისგან თავშეკავებას მოუწოდებს". განცხადებაში უკმაყოფილებაა გამოთქმული, ქართული მხარის მიერ კოდორიდან შეიარაღებულ ქვედანაყოფთა გაყვანის შესახებ შეთანხმების შეუსრულებლობის გამო. "კოდორის ხეობაში ხალხის მიერ არჩეული აფხაზეთის ხელისუფლების ალტერნატიული სტრუქტურების შექმნის მცდელობა აპრიორი არაპროდუქტიულია და ამან შეიძლება შედეგად კიდევ უფრო გართულებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობები მოგვცეს", - აღნიშნულია რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში. რუსეთი, როგორც შუამავალი და გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, აპირებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ამ საკითხს გაერო-ს უშიშროების საბჭოს უახლოეს შეხვედრაზე, რომელიც საქართველოში გაერო-ს მისიის მანდატის ვადის ამოწურვის საკითხს მიეძღვნება - აღნიშნულია განცხადებაში. **ინტერპრესნიუსი**

### ისრაელი ლიბანზე საჰაერო ბლოკადას ხსნის

ისრაელმა ლიბანისთვის დაწესებული სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ბლოკადის მოხსნა დაიწყო. ბლოკადა რვა კვირის განმავლობაში მოქმედებდა. პრემიერ მინისტრის, ეჰუდ ოლმერტის ოფისის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისრაელი დარწმუნდა - საერთაშორისო ძალებს ლიბანის აეროპორტების და საზღვაო პორტების გაკონტროლება და ჰისბოლაჰისთვის იარაღის მიწოდების აღკვეთა შეუძლიათ. ბლოკადის მოხსნას მიესალმა გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი. **რადიო თავისუფლება**

# წლის ადამიანი "ჰუნების" წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ცნობილი გახდა, რომ პოლონეთმა საკუთარი ქვეყნის ბიუჯეტში 85 მილიონი ზლოტი (22 მლნ ევრო) გაითვალისწინა პოსტსაბჭოთა ქვეყნების და "ფართოდ გაგებული აღმოსავლეთის" დასახმარებლად. ყველაზე დიდ ფულად დახმარებას უკრაინა და ბელორუსი (7 მლნ და 5 მლნ) მიიღებენ. სიაში საქართველოც აღმოჩნდა. პოლონეთი ქვეყანას 500 ათასი ზლოტით დაეხმარება.

**"საქართველოს მხოლოდ მაშველი რგოლის გადაგდება არ სჭირდება და ქვეყანა მზად არის, ყველაფერი გააკეთოს ევროპულ სახელმწიფოდ ქცევისთვის. თუმცა აღიარების გარეშე ურთიერთობების დარეგულირება ევროპასთან გაცილებით რთულია,"** - განაცხადა სააკაშვილმა ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას. მისი თქმით, პოლონეთი მომავალში შეიძლება ევროპაში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს "გამცილებელი" გახდეს და საერთაშორისო საზოგადოებამ აუცილებლად უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საქართველოს. **"ანალოგიური მდგომარეობაა უკრაინაშიც,"** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. უკრაინაზე საუბრისას სააკაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ყველა რეფორმატორისთვის ფანჯარა ევროპაში არ იღება სამარადჟამოდ, ის შეიძლება ძალიან მალე დაიხუროს. ამიტომაც, პრეზიდენტის თქმით, ვინც რეფორმებს ატარებს, უნდა იჩქაროს. სახელმწიფოში აუცილებელია ცვლილებების სწრაფი ტემპით განხორციელება, რადგან ნებისმიერმა დაყოვნებამ შესაძლოა გამოიწვიოს მთელი პროცესების ჩავარდნა. მან მოუწოდა პოლონეთის პრეზიდენტს, რომ პოლონეთი გახდეს ლიდერი ყოფილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნებისთვის ევროპისა და ნატო-სკენ მიმავალ გზაზე.



"ნარინჯისფერი" ლიდერების შემდეგ, წელს მიხეილ სააკაშვილმაც დაიმსახურა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო ადამიანის ტიტული.

წლის ადამიანად დაჯილდოების შემდეგ, სამადლობელ სიტყვაში პრეზიდენტმა 1921 წელს პოლონეთსა და საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა: **"1921 წელს პოლონეთსა და საქართველოს რუსეთისგან ბოლშევიკური ოკუპაციის საფრთხე დაემუქრათ. ქართველი და პოლონელი ჯარისკაცები და ოფიცრები საკუთარი ქვეყნების დასაცავად მამაცად იბრძოდნენ. საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა მაშინ მაინც დაიპყრო, მაგრამ ჩემს ქვეყანაში თავისუფლების სიყვარული ვერ მოკლეს. პოლონეთი და საქართველო დღეს წარმატებული ქვეყნებია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1921 წელი შესაძლოა სხვა ფორმით გამეორდეს, თუმცა ჩვენ დღეს უფრო ძლიერები ვართ და უფრო მომზადებული შევხვდებით ნებისმიერ აგრესიას."**

მიხეილ სააკაშვილმა რუსეთი ჰუნების ველურ ტომებს შეადარა, რითაც რუსეთის დელეგაციის აღშფოთება გამოიწვია. მოგვიანებით კი, რუსეთის დელეგაციის არაპოლიტიკოსი წევრები პოლონურ მედიასთან ამ გამოსვლის კომენტირებისას აცხადებდნენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ემოციური და გაუწონასწორებელი იყო.

სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის პროფესორმა ნიკოლოზ მეჟიჩევმა პოლონურ გაზეთ "ტრენდთან" ინტერვიუში აღნიშნა, რომ სააკაშვილი საკუთარი უბედურებების მიზეზს ეძებს ყველგან, და - არა საკუთარ ქვეყანაში.

# ჟანგმოდებული ფლოტის კიდევ ერთი მარცხი

რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის ატომურ წყალქვეშა ნავს "წმ. დანიილ მოსკოველს", რომელსაც ხუთშაბათს ღამით ცეცხლი გაუჩნდა, თურმე დადგენილ ვადებში არ ჩატარებია რემონტი. ამის შესახებ განაცხადა რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა ვლადიმირ მასორინმა.

წყალქვეშა ნავზე გაჩენილი ხანძრის შედეგად ეკიპაჟის ორი წევრი დაიღუპა და ერთი მძიმედ დაშავდა. ფლოტის მთავარსარდლის თქმით, ცეცხლი ნავის ელექტრომექანიკურ ნაწილს გაუჩნდა. ოფიციალური ცნობით, ამუშავდა ავარიული ხანძარსაწინააღმდეგო მექანიზმი.

"დანილ მოსკოველი" მრავალფუნქციური ატომური წყალქვეშა ნავია. იგი ერთ-ერთ ყველაზე საიმედო ხომალდად ითვლებოდა რუსულ ფლოტში, მით უმეტეს, რომ ასაკითაც ბევრად უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე სხვა ხომალდები. (იგი სულ რაღაც 16 წლის წინ გაუშვეს ექსპლუატაციაში, რაც საკმაოდ მცირე ასაკად ითვლება ხომალდის ჩამოსაწერად.)

ავარიის მთავარ მიზეზად რუსი სამხედროები წყალქვეშა ნავის რემონტის დაგვიანებას ასახელებენ.

ჩრდილოეთ ფლოტის წარმომადგენელთა განცხადებით, ავარიის შესახებ მოსაზღვრე სახელმწიფოები საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ, რადგანაც ბირთვული დაბინძურების საფრთხე არ არსებობს.

რუსეთის ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის შესახებ კითხვები აქამდეც არსებობდა. როგორც ჩანს, რუსულ ფლოტში ადმირალების ცვლა პრობლემებს ვერ შველის. უკანასკნელ წლებში არცთუ სასიამოვნო ტრადიციად გადაიქცა ყოველწლიური კატასტროფები ერთ დროს ძლევამოსილ საბჭოთა ფლოტის მემკვიდრეობაში. კარგად ცნობილი "კურსკის" კატასტროფის შემდეგ, რუსულ ფლოტში ავარიები კი არ შემცირდა, პირიქით თითქმის რეგულარული ხასიათი მიიღო.

# უკრაინა ევროკავშირს ტვირთად არ დააწვება

*როგორც უკრაინის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები აცხადებენ, ოფიციალური კიევი ევროკავშირისთვის ზედმეტ ტვირთად არ იქცევა, როგორც ეს 2004 წლის 1 მაისს 10 წევრით გაფართოების შემდეგ მოხდა.*

ხათუნა გაბიევი

**"ახალი მთავრობის მიზანი ისეთ ძლიერ და თვითკმარ სახელმწიფოდ გადაქცევაა, როგორსაც ბრიუსელი ელის ჩვენგან. უკრაინა აღარ უნდა იყოს ევროკავშირთან მოლაპარაკებებში ხელგაწვდილი სახელმწიფოს როლში,"** - თქვა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ იანუკოვიჩმა პარლამენტის პირველ საშემოდგომო სესიაზე. 56 წლის პრორუსული ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსის კარიერამ დაღმასვლა ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ დაიწყო, მაგრამ რენომეს აღდგენა იანუკოვიჩმა წლევანდელ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში გამარჯვების შემდეგ შეძლო. პრემიერ-მინისტრმა ბრიუსელის დარწმუნებაც შეძლო, რომ ევროკავშირში გაწევრიანება უკრაინის უმთავრეს "სტრატეგიულ მიზნად" რჩება და ოფიციალური კიევი მაქსიმალურად ეცდება დაუახლოვოს საკუთარი სამართლებრივი სისტემა ევროკავშირის კანონმდებლობას.

**"დრო, როდესაც საქმეს ხმამაღალ ლოზუნგებს ვამჯობინებდით, წარსულს უნდა ჩავაბაროთ. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპასთან დაახლოების პარალელურად ჩვენ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენაც მოგვიწევს,"** - აღნიშნა ასევე ვიქტორ იანუკოვიჩმა.

**"ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყანა სტაბილური ენერგოპროდუქციით, კერძოდ, ბუნებრივი გაზით მოვამარაგოთ რუსეთიდან და ხელი შევუწყოთ მათ გადადინებას ევროპისკენ,"** - დაამატა იანუკოვიჩმა.

ვიქტორ იანუკოვიჩი 14 სექტემბერს ეწვევა ბრიუსელს, რათა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნოს ევროპელ კოლეგებთან შეხვედრაზე უკრაინის მზადყოფნა, განახორციელოს ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული "სამოქმედო გეგმით" გათვალისწინებული ქვეყნის შიგნით ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმები. თავის მხრივ, ევროკომისიამ უკვე დაადასტურა კეთილგანწყობა ხელმეორედ დემოკრატიული გზით გამარჯვებული პრემიერ-მინისტრის მიმართ და განაცხადა, რომ ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, თუ რა გზით მოხდება იანუკოვიჩის პროევროპული და პრორუსული რიტორიკის დაბალანსება რეალურ ვადებში.

**"ჩვენ ვიქტორ იანუკოვიჩის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, რადგან იგი დემოკრატიული არჩევნების გზითაა მოსული ხელისუფლებაში და იმედი გვაქვს, რომ ვითანამშრომლებთ მთავრობასთან, რომელიც სამოქმედო გეგმის შესრულებას გვპირდება. უკრაინამ არ უნდა გააკეთოს არჩევანი ევროპასა და რუსეთს შორის, არამედ უნდა შეძლოს ორივე აქტორთან კარგი ურთიერთობების განვითარება,"** - განაცხადა ევროკომისიის წარმომადგენელმა.

ოფიციალურმა კიევმა უკვე ჩააბარა ერთი გამოცდა ევროკავშირთან, როდესაც ევროკავშირი-რუსეთის სენსიტიური ურთიერთობების თვალსაზრისით დნესტრისპირეთში ევროკავშირის საზღვრის მონიტორინგის ჩატარებას დაუჭირა მხარი და განაცხადა, რომ არ აღიარებს 17 სექტემბერს დაგეგმილ რეგიონის თვითაღიარებული დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შედეგებს. რუსეთმა კი, როგორც უკრაინის, ასევე ევროკავშირის სასაზღვრო დაცვას, რომლებსაც შტაბბინები ოდესაში აქვთ, მოუწოდა მოუხსნან "ეკონომიკური ბლოკადა" ტირასპოლს. თუმცა, მოლდოვის, ევროკავშირისა და ზოგადად საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულების მიუხედავად, რომლებიც რეფერენდუმს არ ცნობენ, მოსკოვი მაინც აპირებს საარჩევნო დამკვირვებლების გაგზავნას 17 სექტემბერს. ამას მოლდოველი დიპლომატებიც ადასტურებენ.

# საქართველო: აზერბაიჯანელ აქტივისტს საფრთხე ემუქრება

*ადამიანის უფლებათა ქართველი დამცველები აზერბაიჯანელი ოპოზიციონერის დაკავებას გმობენ.*

დიმიტრი ავალიანი,
თბილისი

საქართველომ ადამიანის უფლებათა აზერბაიჯანელ დამცველს, რომელიც ამტკიცებს, რომ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში დევნა ემუქრება, ლტოლვილის სტატუსზე უარი განუცხადა.

ადამიანის უფლებათა ქართველი დამცველების თქმით, აზერ სამედოვის შემთხვევა კითხვებს ბადებს იმის თაობაზე, თუ რამდენად ერთგულია საქართველოს ხელისუფლება ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებისადმი. არასამთავრობო ორგანიზაცია „სინდისისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის კავკასიის ცენტრის“ ხელმძღვანელი სამედოვი, რომელიც საქართველოში 31 მარტიდან ცხოვრობს, ქართველმა სამართალდამცავებმა აზერბაიჯანული მხარის მოთხოვნით დააკავეს.

აზერბაიჯანის ხელისუფლება სამედოვს 2003 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბაქოში „მასობრივი არეულობის“ ორგანიზებაში ადანაშაულებს. იგულისხმება ოპოზიციის მომხრეთა აქციები, რომელთა მონაწილენიც არჩევნებში ილჰამ ალიევის გამარჯვების შესახებ საარჩევნო კომისიის მიერ გაკეთებულ განცხადებას აპროტესტებდნენ. თუ აზერბაიჯანის სასამართლომ სამედოვი დამნაშავედ სცნო, მას ხუთიდან შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

თავდაპირველად თბილისის საოლქო სასამართლომ სამედოვს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა, 14 აპრილს სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა და სამედოვი გირაოს შეტანის შემდეგ გაათავისუფლა.

მაისში სამედოვმა ლტოლვილის სტატუსის მიღების მიზნით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართა. ის ამბობდა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში პოლიტიკური დევნა ემუქრება. სამინისტრომ ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა.

„მან ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება პოლიტიკური ან რელიგიური მოტივებით დევნის, – განუცხადა IWPR-ს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის, ლტოლვილთა და რეპატრიაციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კოკაიამ, – აზერბაიჯანში მისი კოლეგებიდან არავინ დაუპატიმრებიათ“.

თუ საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტილებას არ შეცვლის, სამედოვი სასამართლოს წინაშე წარსდგება, რის შემდეგაც შეიძლება მისი აზერბაიჯანში ექსტრადიცია განხორციელდეს.

„სამედოვის ექსტრადიციის საკითხი აზერბაიჯანისა და საქართველოსთვის სავალდებულო საერთაშორისო კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად განიხილება, – განუცხადა IWPR-ს საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს პრეს-ატაშემ ელჰან ფოლუხოვმა, – აზერბაიჯანი დარწმუნებულია, რომ სასამართლო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს“.

თავად სამედოვი მიიჩნევს, რომ მის საქმეს პოლიტიკური სარჩული აქვს. „აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნების დროს მე და ჩემი კოლეგები ოპოზიციის კანდიდატს ისა გამბარს ვუჭერდით მხარს, – ამბობს სამედოვი, – ქუჩის არეულობაში შემთხვევით გავერიეთ... უბრალოდ, ახლომახლო ვიმყოფებოდით და ფოტოსურათებსა და ვიდეოფირზეც ამიტომ მოვხვდით“.

„საქართველოში არიან ძალები, რომლებსაც აზერბაიჯანის ხელისუფლების გულის მოგება სურთ“, – დაამატა მან.

სამედოვის ადვოკატი მანანა კობახიძე ამბობს, რომ სამინისტროს საკმაო საბუთები წარედგინა იმის დასამტკიცებლად, რომ აზერბაიჯანში დაბრუნების შემთხვევაში სამედოვს პოლიტიკური დევნა ემუქრება. „მისი ორგანიზაციის წევრების დევნისა და ორი მათგანის დაპატიმრების ფაქტები AMNESTY INTERNATIONAL-ის მოხსენებაშია ასახული, – ამბობს იგი, – ეს მოვლენები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაშიც მოხვდა. არსებობენ მოწმეებიც“.

მანანა კობახიძის თქმით, სამედოვის კოლეგები საერთაშორისო ორგანიზაციების პროტესტის შედეგად გირაოთი გაათავისუფლეს, მანამდე კი ციხეში აწამეს.

ადვოკატი თამაზ ავდალიანი, რომელიც თბილისის სასამართლოში სამედოვის ინტერესებს იცავდა, ამბობს: „სამედოვს მასობრივი არეულობის მოწყობა ედება ბრალად, სინამდვილეში კი კენჭისყრის პროცესს მეთვალყურეობდა. მასთან ერთად ბევრი სხვა პირი იმყოფებოდა, მათ შორის, აზერბაიჯანში ნორვეგიის ელჩიც. მათ სამედოვის უდანაშაულობის დადასტურება შეუძლიათ“.

ადამიანის უფლებათა აქტივისტს საქართველოში ემილ ადელხანოვსაც მიაჩნია, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის აზერბაიჯანელ კოლეგებთან სოლიდარობის გამოხატულებაა.

„სამედოვისათვის ლტოლვილის სტატუსზე უარის თქმით საქართველოს მთავრობამ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რაც იმის მანიშნებელია, რომ აზერბაიჯანი ჩვენი მეგობარია“, – თქვა მან.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, რომელიც სამედოვს გირაოსათვის საჭირო თანხის შოვნაში დაეხმარა, ამ მოსაზრებას ეთანხმება. „ეს ერთგვარი გარიგება იყო ჩვენი ქვეყნების პრეზიდენტებს შორის მეგობრობის ნიშნად“.

სამინისტროს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ სამედოვს საქართველოში პოლიტიკური თავშესაფარი კი არა „აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური საქმიანობისათვის პლატფორმა“ სჭირდება.

„რა კავშირი აქვს ამას აზერბაიჯანის საწინააღმდეგო „პლატფორმასთან“? თუ საქართველოს კანონმდებლობით დანაშაული მაქვს ჩადენილი, ამაზე პასუხი უნდა ვაგო, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში ხომ „პლატფორმის“ თაობაზე მუხლი არ არსებობს“, – ამბობს იგი.

სამედოვის თქმით, მისი საქმიანობა საქართველოში იმით შემოიფარგლა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ხუთთვიანი კურსები გახსნა. ამასთან მან აღნიშნა, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ჯგუფს სურვილი ჰქონდა საქართველოს მუსლიმანთა კავშირი ჩამოეყალიბებინა, რომელიც ოფიციალური ორგანოს – ბაქოში არსებული კავკასიის მუსლიმანთა სასულიერო საბჭოსგან დამოუკიდებელი იქნებოდა.

სამედოვი ამბობს, რომ დაინტერესებულ პირებს შეხვდა და რჩევებითაც დაეხმარა, მაგრამ ალტერნატიული მუსლიმანური ორგანიზაციის შექმნასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორის ელდარ ზეინალოვის თქმით, სამედოვი 2003 წლის არჩევნებამდე ბაქოში, ჯუმას მეჩეთის რელიგიური თემის აქტიური წევრი იყო, ოპოზიციურ მოძრაობა „აზადლიგს“ (თავისუფლება) ემხრობოდა და არასამთავრობო ორგანიზაცია DEVAMM-ს (რელიგიური რწმენისა და თავისუფლების დაცვის ცენტრი) მეთაურობდა.

„ჯუმას მრევლი ამბობს, რომ აზერბაიჯანის სპეცსამსახურების წარმომადგენლები მეჩეთში (1993 წლის) 17 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მივიდნენ. ისინი სამედოვს ეძებდნენ და არა მხოლოდ არჩევნებთან დაკავშირებით, არამედ ვილაც ტერორისტებთან მისი კავშირის გამოც“, – განუცხადა ზეინალოვმა IWPR-ს.

მისი ინფორმაციით, 2003 წლის ოქტომბრის მოვლენების გამო მსჯავრდებული 130 ადამიანიდან აზერბაიჯანში ამჟამად პატიმრობაში არავინაა.

„სამედოვის გათავისუფლების ალბათობაც დიდია, – ამბობს ზეინალოვი, – თუმცა არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ ტერორისტებთან კავშირის რაღაც ფანტასტიკური ბრალდება ისევ არ წამოტივტივდება. ამ შემთხვევაში წამების საშიშროება შეიძლება რეალობად იქცეს, როგორც ეს „ტერორიზმთან“ დაკავშირებულ სხვა საქმეებში ხდება ხოლმე“.

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი რეკომენდაციას იძლევა, რომ სამედოვს ლტოლვილის სტატუსი მიენიჭოს. მისი თქმით, სამინისტროს ოფიციალური უარის ფორმულირება ბუნდოვანი და სრულიად მიუღებელია.

„ადამიანს ერთი დღის პატიმრობაც რომ ემუქრებოდეს, უფლება აქვს დაცვა მოითხოვოს“, – ამბობს იგი.

აზერ სამედოვის თქმით, სექტემბერში საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. მან უკვე მიმართა გაერო-ს ლტოლვილთა კომისარს იმ იმედით, რომ დროებით თავშესაფარს თავისი უდანაშაულობის დამტკიცებამდე რომელიმე მესამე ქვეყანაში იპოვის.

მან ასევე განაცხადა, რომ ამ საქმით საქართველოს, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი დემოკრატიული ქვეყნის რეპუტაცია შეილახა.

„სამწუხაროდ, საქართველო ასეთი ქვეყანა არ აღმოჩნდა“, – ამბობს სამედოვი.

„საქართველოს მხარეს ძალზე გავლენიანი ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციის საბუთები გადავეცი. ისინი ცხადყოფს, რომ ჩემს სამშობლოში წამება ან, უკეთეს შემთხვევაში, უსამართლო მართლმსაჯულების მსხვერპლად ქცევა მელის. განა ჩემ დასაცავად ეს საკმარისი არ არის?“ – განაცხადა სამედოვმა.

www.iwpr.net

# დაღესტნელ სამართალდამცავებს აღიარებითი ჩვენების ძალით მოპოვებაში ადანაშაულებენ

*მილიციაში მიღებული ცრუ ბრალდებების პრაქტიკა ბოლო დროს კვლავ აქტიური მსჯელობის საგანი გახდა.*

მუსა მუსაევი,
ხასავიურტი, მახაჭყალა

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცნობილი დაღესტნელი დამცველის ოსმან ბოლიევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ორი საქმე აღიძრა, რის შემდეგაც მან უკრაინას შეაფარა თავი.

ბოლიევის ძმამ რუსლანმა IWPR-ს განუცხადა, რომ ოსმანი, რომელიც ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაცია „რომაშკას“ ხელმძღვანელობს და დახმარება გაუწევია ბევრი ადამიანისთვის, ვინც ამ ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალადობას უჩიოდა, თვადაც გამუდმებით შევიწროებას განიცდიდა.

„დააკავეს და მოინდომეს მისგან აღიარებითი ჩვენება, თითქოს დასავლეთის საიდუმლო სამსახურებზე მუშაობდა, ცემით მიელოთ, – ამბობს რუსლან ბოლიევი, – მაგრამ როდესაც მიხვდნენ, რომ მისგან ძალადობის გზით დანაშაულის აღიარებას ვერ მოახერხებდნენ, უბრალოდ ხელყუმბარა „ჩაუდეს“. ეს სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში ჩავარდა. ოსმანი გაამართლეს, თუმცა, ერთი წუთითაც არ დაფიქრებულან და დაუყოვნებლივ ახალი სისხლის სამართლის ბრალდება წაუყენეს“.

ოსმან ბოლიევი ადამიანის უფლებათა წამყვანი დამცველი იყო დასავლეთ დაღესტნის ქალაქ ხასავიურტში, რომელიც ჩეჩნეთის საზღვარზე მდებარეობს და სადაც უკვე რამდენიმე წელია საპოლიციო და სამხედრო ოპერაციები გამუდმებით ტარდება. ბოლიევს იურიდიული განათლება აქვს, თუმცა, ადვოკატად არასოდეს უმუშავია. მისი დახმარებით ადამიანებს თავიანთი საქმეები სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შეჰქონდათ.

მისი საქმე ადასტურებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ დაღესტნის მილიციაში ეჭვმიტანილებისგან აღიარების ძალით, ხშირად უაღრესად არაადამიანური მეთოდების გამოყენებით მოპოვების პრაქტიკაა მიღებული.

გასულ ნოემბერს ბოლიევი ხელყუმბარის უკანონო შენახვისთვის დააკავეს. ის აცხადებს, რომ პატიმრობისას სცემდნენ. ამ საქმეს როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა და ივნისში ხასავიურტის სასამართლოს მოსამართლემ იარალი რამაზანოვმა იგი უდანაშაულოდ სცნო.

მაგრამ რამაზანოვი ამ საქმის დახურვისთანავე გადადგა, ხოლო ბოლიევს ორ კვირაში ახალი ბრალდებები წაუყენეს, ამჯერად „უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრობა“ და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა. ბოლიევმა თავი უკრაინას შეაფარა და ამჟამად ამ ქვეყანას პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს.

ახალ ბრალდებებთან დაკავშირებით მილიციის პატაკში ნათქვამია, რომ 2000 წელს ბოლიევი ბანდიტური ჯგუფის წევრი იყო. მისმა ადვოკატმა სალიმატ კადიროვამ განაცხადა, რომ ბრალდების მხარემ ელემენტარული შეცდომები დაუშვა ანუ მხოლოდ ერთ ჩვენებას დაეყრდნო და არ დაკითხა ბოლიევი, რომელსაც შეეძლო ალიბი ჰქონოდა. ადვოკატის თქმით, სასამართლოზე ბრალდების მიერ წარმოდგენილ დაბეჭდილ კონვერტში ანონიმური წყაროს ინფორმაცია იდო.

IWPR რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა ბოლიევის წინააღმდეგ აღძრულ საქმეებთან დაკავშირებით პროკურორ გაგარინ ომაროვისგან, რომელიც ხელყუმბარის შენახვასთან დაკავშირებულ პირველ საქმეში ბოლიევის ბრალმდებელი იყო, კომენტარი მოეპოვებინა, მაგრამ პროკურორმა მოუცლელობა მოიმიზეზა.

ბოლიევი ხასავიურტის მცხოვრების იარალი ისრაილოვის საქმეში აქტიურად იყო ჩართული. ისრაილოვი უშიშროების ძალებმა 2004 წლის ოქტომბერში დააკავეს, რის შემდეგაც იგი აღარავის უნახავს. ბოლიევმა ამ საქმესთან დაკავშირებული საჩივარი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შეიტანა. ოჯახის წევრთა აზრით, ისრაილოვი ჩეჩნეთის რომელიღაც ციხეში პატიმრობისას აწამეს და მოკლეს, გვამი კი ოჯახს არ დაუბრუნეს.

ბოლიევი კიდევ ერთ, კერძოდ, ხასავიურტის იმამის ოჯახს დაეხმარა. იმამის ექვსი წლის გოგონა ქალაქში ჩატარებული სპეცოპერაციისას ატეხილი სროლის დროს დაიღუპა. ბოლიევის დახმარებით მათ სტრასბურგში საჩივარი შეიტანეს, ამჟამად კი იმამის ოჯახმა რუსეთი უკვე დატოვა.

დაღესტნის მცხოვრებლები ამბობენ, რომ მილიციის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება მათ რესპუბლიკაში ჯერაც ჩვეულებრივი ამბავია; მილიცია დაკავებული პირებისგან ყალბი აღიარებითი ჩვენებების მოპოვებას ხშირად ძალადობით ცდილობს.

ბანკის კურიერი ამირჰაჯი ამინოვი რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ბუინაკსკიდან კიდევ ერთი ადამიანია, რომელიც აცხადებს, რომ ბრალი უსაფუძვლოდ დასდეს და აწამეს. ხანგრძლივმა პატიმრობამ მას ჯანმრთელობა შეურყია.

ამინოვი მისი კოლეგის აბდუსალამ ხოჯოევის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. ხოჯოევი გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა, ხოლო მისი გვამი ორი დღის შემდეგ, 2 აპრილს, დამწვარ მანქანაში იპოვეს.

ამინოვი ყვება, რომ იგი მილიციის ბუინაკსკის განყოფილებაში გადაიყვანეს და მხეცურად სცემეს, თან აიძულებდნენ დანაშაული ეღიარებინა. როცა უარი მიიღეს, პლასტმასის ბოთლი წყლით აავსეს, პირსახოცში გაახვიეს და თავში ცემა დაუწყეს. შემდეგ სხეულზე მდუღარე წყალს ასხამდნენ და როდესაც წყალი გამოელიათ, ცემა ლითონის თერმოსით გააგრძელეს.

ბოლოს ამინოვმა გრძნობა დაკარგა. „თერმოსი ტაფასავით გაბრტყელდა. რა მოხდა ამის შემდეგ, არ მახსოვს“.

ამინოვისთვის სამედიცინო დახმარება მთელი დღის განმავლობაში არ გაუწევიათ. ექიმს მხოლოდ მეორე დღეს გამოუძახეს. მან თქვა, რომ დაკავებულს სასწრაფო დახმარება ესაჭიროებოდა. მილიციამ ამაზე უარი განაცხადა და პატიმრობის გახანგრძლივების მიზნით ამინოვი სასამართლოში წაიყვანა. იგი იმდენად ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ მანქანიდან გადმოსვლა ვერ შეძლო. სამაგიეროდ, მოსამართლე შენობიდან თავად გამოვიდა და პატიმრობის კიდევ 10 დღით გაგრძელების ნებართვა ისე გასცა, რომ დაკავებულის ჭრილობებისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია. ამის შემდეგ ამინოვი დაღესტნის დედაქალაქ მახაჭყალას იზოლატორში გადაიყვანეს და ადვოკატთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევდნენ.

13 აპრილს ამინოვი ბოლოს და ბოლოს გაათავისუფლეს, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ნათესავები ქალაქის მთავარ მაგისტრალზე მჯდომარე აქციის მოწყობით დაიმუქრნენ, ხოჯოევის მკვლელობის ბრალდებით კი ვილაც სხვა დააპატიმრეს.

გათავისუფლების შემდეგ გადაღებულ ფოტოსურათებზე ამინოვის სხეულზე მრავლობითი დამწვრობა კარგად ჩანს. მას გამუდმებით უხდება დაზიანებული თავის ქალის მკურნალობა, აქვს ნერვული პრობლემები და სხვა ჩივილები. დაპატიმრებამდე ამინოვი სრულიად ჯანმრთელი იყო და 96 კილოგრამს იწონიდა. ამჟამად წონის დაახლოებით 20 პროცენტი დაკარგული აქვს, სუნთქვა და სიარული უჭირს და ხშირად თავბრუსხვევა აწუხებს.

მიუხედავად ამისა, სასამართლოს სამედიცინო ექსპერტმა დაადგინა, რომ მის ჯანმრთელობას „მსუბუქი“ ზიანი მიადგა, რასაც ამინოვი და მისი ოჯახი ენერგიულად აპროტესტებენ.

ამჟამად ამინოვის ცემის გამო სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია, მაგრამ მასა და მის ნათესავებს პროცესის დამნაშავეების დასჯით დასრულებაში ეჭვი ეპარებათ. გამოძიებას ხოჯოევის მკვლელობის გამოძიების ხელმძღვანელი, პროკურორი აბდურაგიმ მალიკოვი უდგას სათავეში. მალიკოვმა IWPR-ს განუცხადა, რომ ორივე მილიციელს, რომლებსაც ამინოვი მის სასტიკ ცემაში ადანაშაულებს, ალიბი უკვე აქვთ.

„არსებობს თავად ამინოვის ჩვენება და ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ მისთვის მიყენებული ზიანი მსუბუქია, – ამბობს მალიკოვი, – მაგრამ ეს კონკრეტული პირების დადანაშაულებისთვის საკმარისი არ არის. ამჟამად მეორე სამედიცინო ექსპერტიზა ტარდება, რომელმაც უნდა დაადგინოს, მის ჯანმრთელობას რა ზიანი მიადგა, რადგან მომჩივანმა საავადმყოფოში დიდი ხანი გაატარა. ამინოვის მიერ ამოცნობილმა ადამიანებმა ალიბი უკვე წარმოადგინეს. მათი თქმით, არსებობენ მოწმეები, რომელთაც მათი ალიბის დადასტურება შეუძლიათ“.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# ებრაული ანკლავი აზერბაიჯანში

*ქვეყნის ჩრდილოეთში „მთიელი ებრაელები“ მუსლიმან მეზობლებთან შეხმატკბილებულად ცხოვრობენ.*

საბუჰი მამედლი,
კრასნაია სლობოდა

„ამჟამად კრასნაია სლობოდა ებრაელებისთვის ყველაზე უსაფრთხო ადგილია, – ამბობს კრასნაია სლობოდას (რაც „წითელ დასახლებას“ ნიშნავს) სოფლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნისიმ ნისიმოვი, – მაჰმადიანებისადმი მტრულად განწყობილი არ ვართ და მათთან სრულიად კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს“.

კრასნაია სლობოდა კავკასიაში შემორჩენილი „მთიელი ებრაელებით“ კომპაქტურად დასახლებული უკანასკნელი სოფელია, რომელიც ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მაღალმთიან ქუბის რაიონში მდებარეობს.

ამ პატარა თემს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონიდან ებრაელების მასობრივი გასვლა და ახლო აღმოსავლეთში ებრაულმუსლიმანური კონფლიქტის შედეგები არ შეხებია.

ისრაელსა და ჰეზბოლას შორის ბოლო დაპირისპირების დროს აზერბაიჯანის პრესაში ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები გაჩნდა. ერთი მხრივ, ისრაელიდან ებრაული ოჯახების კრასნაია სლობოდაში გამოქცევის შესახებ იტყობინებოდნენ, მეორე მხრივ კი, პირიქით, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ისრაელში წავიდნენ, რათა ამ ქვეყნის ჯარში მოხალისეებად ემსახურათ.

აზერბაიჯანის ებრაული სათვისტომოს მეთაურმა სემიონ იჰილოვმა IWPR-ს განუცხადა, რომ ეს ცნობები სიმართლეს არ შეეფერება. კრასნაია სლობოდაში სტუმრობის დროს ადამიანს მეტად მშვიდი და ჰარმონიული სურათი ხვდება, მიუხედავად იმისა, რომ ეს სოფელი მუსლიმანებით გარშემორტყმული ებრაული კუნძულია.

ებრაული სათვისტომოს მეთაურთა თქმით, აზერბაიჯანში ამჟამად 16 ათასზე მეტი ებრაელი ცხოვრობს. მათგან 11 ათასი მთიელი ებრაელია, რომელთაგანაც 3600 კრასნაია სლობოდას მცხოვრებია. ისინი სპარსულის მონათესავე ტატური ენის დიალექტზე ლაპარაკობენ და უკვე მრავალი თაობაა კავკასიაში ცხოვრობენ.

კრასნაია სლობოდა აყვავებული ადგილია, რითაც მიმდებარე სოფლებისგან მკვეთრად განსხვავდება. გზები კარგ მდგომარეობაშია. თვალშისაცემია ძვირადღირებული, უცხოური მანქანების სიმრავლეც. ზემოდან სოფელს მოწითალო შეფერილობა აქვს, რადგან სახლები წითელი კრამიტითაა გადახურული. სოფლის დასახელებაც, ალბათ, ამით აიხსნება. ხშირი ებრაული წარწერები და პატარა ქუდები კი სოფლის განსხვავებულ კულტურულ თვითმყოფადობაზე მიმანიშნებელი ძირითადი ატრიბუტებია.

„სოფელში ორი საშუალო სკოლა, კოლეჯი, სინაგოგა და კულტურის სახლია, სადაც ყველა ჩვენს რელიგიურ დღესასწაულსა და ისტორიულ თარიღს აღვნიშნავთ“, – ამბობს ნისიმ ნისიმოვი.

ადგილობრივი მცხოვრებლები ძირითადად შეძლებული ხალხია, თუმცა, სამუშაო ცოტას თუ აქვს. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ფისაჰ ისაკოვის თქმით, „აქ ადრე საკონსერვო ქარხანა იყო, სადაც ათასი კაცი მაინც იყო დასაქმებული. ამჟამად ქარხანა ნახევარი დატვირთვით მუშაობს. უმუშევრობის დონე გაიზარდა. სოფელს კი არც სავარგულები აქვს“.

ისაკოვმა ისიც ახსნა, თუ როგორ ახერხებს სოფლის მოსახლეობა ასეთ პირობებში შეძლებულად ცხოვრებას. ეს მთლიანად ამ სოფლიდან წასული და ამჟამად სხვაგან მცხოვრები მდიდარი ადამიანების წყალობაა. ისაკოვმა სამი მათგანი დაასახელა კიდეც: ზაჰარ ილიევი, ტელმან ისმაილოვი და სერგეი ქოქუნოვი, რომელთა ქონება 350-დან 540 მილიონ დოლარამდეა. ჟურნალ „ფორბსის“ რეიტინგებით სამივე რუსეთის 100 ყველაზე მდიდარი ადამიანის სიაშია შესული.

ისაკოვმა და ქოქუნოვმა კრასნაია სლობოდას სკოლების შესაკეთებლად თანხები გაიღეს. სარემონტო სამუშაოები ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის უნდა დასრულდეს.

კრასნაია სლობოდასა და სხვა ახლომდებარე სოფლებს შორის ურთიერთობა ზოგადად მეგობრულია. არის შერეული ქორწინების შემთხვევებიც.

„სამი წლის წინ ჩემმა ვაჟმა ცოლად ჩემი მეზობლის აბრაჰამის ქალიშვილი მოიყვანა, – ამბობს გასილ ალიევი, – ისინი ახლა ისრაელში არიან. რა თქმა უნდა, გვეშინია – იქ ხომ ომია. ფინანსურად კი არაფერი უჭირთ. ძალიან კარგად ცხოვრობენ და ყოველთვიურად ფულსაც გვიგზავნიან“.

მაგრამ მეზობლად მცხოვრებ ზოგ მუსლიმანს – აზერბაიჯანელებს, ლეკებსა და ტატებს – ებრაელების კეთილდღეობა შურთ.

„ებრაელებს დიდ პატივს ვცემ, – ამბობს აბდულაევი, – მაგრამ როგორ ხდება, რომ მათი სოფელი პატარა ევროპულ ქალაქს ჰგავს, ჩვენ კი ამას ვერ ვახერხებთ? ერთი განახათ, რა საშინელ დღეშია ქუბას ავტოსადგური. არადა, ეს რაიონული ცენტრია... სოფლებზე ხომ აღარაფერს ვამბობ“.

ნისიმ ნისიმოვის თქმით, ადრე სოფლის მოსახლეობა 19 ათასი ადამიანი იყო, მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისიდან ბევრი ებრაელი ისრაელში გადასახლდა. ეს პროცესი მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია შეწყდა. ახლა ებრაელების გვერდით აზერბაიჯანელებისა და ლეკების ოჯახები ცხოვრობენ.

ნისიმოვის სურვილია, რომ ებრაელები სოფელს დაუბრუნდნენ. „ჩვენს თანამემამულეებს ვერავინ გაამტყუნებს, თუ საომარ მდგომარეობაში მყოფი ისრაელიდან ამ მშვიდობიან სოფელში დაბრუნდებიან, – ამბობს ნისიმოვი, – მრავალი წელია მაჰმადიანებით გარშემორტყმულ სოფელში ვცხოვრობთ და არავითარი ეთნიკური ან რელიგიური უთანხმოება არ გვქონია“.

„ფაქტობრივად, კრასნაია სლობოდა ებრაელებისთვის მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო ადგილია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისრაელიდან ჩვენს სოფელში საცხოვრებლად არავინ ჩამოსულა, ისინიც კი, ვინც ჩვენი სოფლიდან წავიდა“.

სკოლის დირექტორი იაუშვა სილანდუევი ამბობს, რომ ყოფილი მცხოვრებლები სოფელში ხშირად ჩამოდიან, განსაკუთრებით კი 3 აგვისტოს – გარდაცვლილთა მოხსენიების დღეს.

„ამერიკიდან, საფრანგეთიდან, ისრაელიდან და რუსეთიდან წელსაც ბევრი ჩამოვიდა, – ამბობს იგი, – ისრაელსა და ლიბანს შორის ომის გამო, აზერბაიჯანში ებრაელების წლევანდელი მასობრივი ჩამოსვლა არასწორად გაიგეს“.

სოფლის მცხოვრებლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანის ერთგული მოქალაქეები არიან და პირველ რიგში ამ ქვეყანას ემსახურებიან. „თავი აზერბაიჯანელი ხალხის ნაწილად მიგვაჩნია, – ამბობს ნისიმოვი, – მე მუსიკალურ ანსამბლ „გუბას“ ვხელმძღვანელობ. მისი რეპერტუარის დიდი ნაწილი აზერბაიჯანული ხალხური სიმღერებისა და „მუღამებისაგან“ (ტრადიციული სიმღერებისგან) შედგება“.

მეზობელი აზერბაიჯანული სოფლის ნუგადის მცხოვრები აბდულა აბდულაევი ამბობს, რომ კრასნაია სლობოდას ანსამბლ „გუბას“ აზერბაიჯანელების ქორწილებში ხშირად ეპატიჟებიან. „ჩვენს სიმღერებს ძალიან კარგად მღერიან, ბევრ აზერბაიჯანელ მუსიკოსზე უკეთესაც კი“, – ამბობს აბდულაევი.

კრასნაია სლობოდაში იმასაც მოგიყვებიან, რომ მათი ყველაზე გამოჩენილი შვილი – ტანკისტი ალბერტ აგარონოვი აზერბაიჯანის გმირი გახდა. ის 1992 წელს ყარაბაღის ომის დროს ქალაქ შუშას დაცვისას დაიღუპა. „მისით ყველა მთიელი ებრაელი ამაყობს. ხვალ რომ ყარაბაღის განთავისუფლებისთვის ახალი ომი დაიწყოს, დარწმუნებული ვარ, კრასნაია სლობოდადან ყველა ახალგაზრდა წავა საბრძოლველად“, – ამბობს კრასკაია სლობოდას 73 წლის მცხოვრები ლაზარი.

ლაზარმა იქვე დასძინა, რომ სოფლის მცხოვრებთაგან ისრაელის დაცვის სურვილი არავის გამოუხატავს. მისი აზრით, ეს არც მომავალში მოხდება. „დიახ, ჩვენ ებრაელები ვართ და გვაწუხებს, რომ ისრაელში ჩვენი ძმების სისხლი იღვრება. მაგრამ ჩვენ აზერბაიჯანის მოქალაქეები ვართ და ჩვენი სამშობლო აქ არის. ჩვენ აზერბაიჯანი უნდა დავიცვათ“, – ამბობს ლაზარი.

www.iwpr.net

# ბლიეს ახალი პარიზული სიმფონია

## რამდენი ღირს მონიკა?

სოფო კილასონია

სულ მალე ერთი კვირა შესრულდება მას შემდეგ, რაც კინოთეატრ "ამირანში" ბერტრან ბლიეს ახალი ფილმის "რამდენი ღირხარ?" (Combien tu m'aimes?") პრემიერა გაიმართა. სურათი კიდევ კარგა ხანს იქნება "ამირანის" ჯერ დიდ, შემდეგ კი ალბათ მცირე ეკრანზე. ბლიემ ტრადიციას არ უღალატა: მის ამ უკანასკნელ ნამუშევარში ისევ ვნახავთ ჟერარ დეპარდიეს, რომელმაც თბილისამდე ვერა და ვერ ჩამოაღწია. არადა, ამ სტუმრობის ორგანიზებითა და მისი ნაადრევი "პრომოუშენით" არაერთი ადამიანი დაიღალა ამ უახლოეს წარსულში. მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია. ფილმში დეპარდიეს იხილავთ, თუმცა ბლიეს ახალი ხილის მთავარი სასწაული ის როდია. კინოსურათის მთავარი ბრწყინვალება მონიკა ბელუჩია, რომლის შესახებ საუბარი არასდროს შემოიფარგლება მხოლოდ მისი პროფესიონალიზმის შეფასებებით.

მოკლედ, "ამირანში" ფრანგული ფილმის ჯერი დადგა. ამიტომ მისი მომავალი მაყურებელი კარგად უნდა მოემზადოს, რათა მისი ნახვის შემდეგ არც გადამეტებულ ტკბობას მიეცეს და არც აღშფოთებული დარჩეს. დიახ, პარიზული ამბები დატრიალდება, მაგრამ თავბრუდამხვევ ვნებათა ღელვას მაინც სჭირდება კონტროლი.

ფილმი იწყება და სულ რამდენიმე კადრის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სადაცაა ედიტ პიაფის რომელიმე შანსონი უნდა აჟღერდეს. ეს შთაბეჭდილებაა. საბედნიეროდ, ასე არ ხდება. ბლიე ხომ ნამდვილად ფლობს ფრანგული კინოსთვის დამახასიათებელ პარადოქსებს და მის სიტკბოებას. ამიტომ სულ უფრო ხშირად და ჯიუტად სიმფონიური მუსიკით ავსებს ჩვენს სმენას. ყველაფრის მიუხედავად, ძველ რევოლუციონერებს გემოვნება არ ღალატობთ.

ღამე, ქუჩა, ჩირაღდნები, ბარი, რომლის მინებიც, მას შემდეგ, რაც აქ ერთი ლამაზი ქალი მოკალათდა, ეკრანად იქცა. ამ ეკრანს უმზერს მელოტი მამაკაცი, რომელიც ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვეტს, რომ გაესაუბროს. საუბარი საუბარს სცილდება, მალე მთავრდება და ქალის ერთი გულწრფელი წინადადებით ფილმის ამ პატარა საწყისი ეტაპის კვანძსაც გახსნის - ერთი ღამე 150 ევრო. მაგრამ ეს ფილმია. თანაც, ბლიეს ახალი ნამუშევარი. თანაც, ამ ფრაზას რიგითი პარიზელი კურტიზანი არ ამბობს. საქმე ბელუჩის ეხება. ამიტომაც უნდა აღმოჩნდეს, რომ იმ ღამით ამ მელოტმა მამაკაცმა ლოტოში ოთხი მილიონი მოიგო და თავს უფლებას მისცემს მისი კომპანიით დატკბეს მანამ, სანამ ფული არ გაუთავდება. დასაწყისი კარგია ყველანაირი ფილმისთვის, თრილერით დაწყებული და ევროპული დრამით დამთავრებული.




სხარტი და ექსპრესიული დიალოგების ფონზე (თუ მიღმა, რომელებიც, შესაძლოა, სცენას უფრო მოხდენოდა, ვიდრე გადასაღებ მოედანს), იკვეთებიან ბლიეს საინტერესო გმირები. ბელუჩი - ხშირად დედიშობილა ან პენუარისა და ხალათის ამარა, მამაკაცების რისხვაა აქაც, ისე როგორც აქამდე სხვა მრავალ სურათში. მისი მეგობარი კომედიური ჟანრის რომელიღაც პიესის კარიკატურასა და შარჟს გვაგონებს. დეპარდიე კი, რომელიც ლამაზმანის სუტენიორია, ყველაზე სანახაობრივი და გროტესკული მაშინ არის, როცა წითელ ხალათში გამოწყობილი იარაღით იმუქრება. კიდევ არიან სხვები, თუმცა ამ სხვებში - გამორჩეული ტიპაჟებიც. ყველა და ყველაფერი საკმაოდ სასაცილოა. ბლიე კი, როგორც ყოველთვის, საკუთარი საქმის დიდი ოსტატი. რაც შეეხება ამ კომედია დელ არტეს, ის ევროკავშირის დროშის ქვეშაც იგივეა, რაც უწინ იყო.

მეძავი - კოლუმბინა, განგსტერი არლეკინო, ბლიეს პიერო კი სახელმწიფო კანცელარიიდან გახლავთ. ისინი ტრაგიკული სახეებით უბრალოდ მასხრობენ და რეჟისორის მიერ დადგმულ თამაშს ღიად გვეთამაშებიან. მეტიც, ისინი ხომ საკუთარი თავისა და ფრანგული რომანტიკული სამკუთხედის პაროდიას გვთავაზობენ.

მთელი ეს ოდნავ უხამსი ზეიმი მხოლოდ ერთს ემსახურება - სიცოცხლისა და ვნების სიყვარულის კიდევ ერთ მტკიცებულებას. პრობლემა მხოლოდ ის არის, "რამდენი ღირხარ?" ბლიეს ყველანაირი ხერხებისა და მანევრების მიუხედავად, მაინც ფრანგულ შანსონად ან იქნებ პარიზულ სიმფონიად რჩება: პატარა, დიდყურებიანი ადამიანი. დიდი სიყვარული. სიცოცხლე ისევ ტანჯვა და სევდაა და ასეთ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი ისევ 150 ევროდ შეფასებული სიყვარულია. გულწრფელი მეძავის აღქმა, როგორც ქალის მეტაფორული სახისა, სრულიად ზედმეტია. ეს, უბრალოდ, კონსერვატიზმში კი არ ჩაგეთვლებათ, არამედ ბევრად დიდ დანაშაულში გადაიზრდება.

ყველაზე არასასიამოვნო სცენარის გადამეტებული, უკიდურესი ლიტერატურულობაა, რომლის მიღმა სადღაც იკარგება კინოენა, კინოს პირობითობა, რაც ნამდვილი კინომანების სანატრელ გატაცებად იქცა. ბლიემ მოაწყო თოჯინების ნამდვილი თეატრი, სადაც ბავშვების ორ ფავორიტს შორის ერთი გაცვეთილი ემოციებით აღსავსე ჩებურაშკაა, რომელიც მაინც ღაღადებს ამბავს საოცნებო და სხვებისთვის ღიმილისმომგვრელი სიყვარულის შესახებ.

რას ვიზამთ, მას შემდეგ რაც, ამ რეჟისორმა Les Valseuses ("ვალსის მოცეკვავეები") გადაიღო, 30 წელი გავიდა. ეს საკმარისი დროა იმისთვის, რომ დავადგინოთ: არ არსებობენ იმათზე დიდი ბურჟუები, ვიდრე ძველი, კარგი გემოვნების მქონე რევოლუციონერები.

**P.S.** ბერტრან ბლიეს ახალი ფილმის სათაური ფრანგულიდან კარგად რომ ვთარგმნოთ, გამოდის "რამდენად შემიყვარებ". ამ ფილმის სათაურის ქართული ვერსია ალბათ არა ორიგინალიდან, არამედ რუსული ვარიანტიდან ითარგმნა. Сколько ты стоишь? განწყობა, რომელიც ამგვარად დასმული შეკითხვიდან მოდის, ბლიეს თოჯინების თეატრს ნამდვილად არ უხდება.

## საფრანგეთში აკრძალეს დედიშობილა გარუჯვა



საფრანგეთის დედაქალაქის ხელოვნურ სანაპიროებზე დამსვენებლები ვეღარ შეძლებენ შიშვლად გარუჯვას. პარიზის ხელისუფლებამ გამოსცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც იკრძალება სანაპიროებზე ზედმეტად ღია საცურაო კოსტიუმებით გამოჩენა. ასევე უკანონოდ ითვლება საცურაო კოსტიუმი-სტრინგი. კანონის დამრღვევს ჯარიმა ემუქრება. როგორც ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, ღია სამოსმა შეიძლება არაადეკვატური რეაქცია გამოიწვიოს გარშემო მყოფებში და საშიშ სიტუაციამდე მიიყვანოს წყლის მახლობლად მდგომი ადამიანი. პოლიციას დაევალა გააკონტროლოს და დაამყაროს წესრიგი ქალაქის სანაპიროებზე. კანონის დამრღვევებს, რომლებსაც პოლიცია დააკავებს, მოუწევთ 38 ევროს (48 დოლარი) გადახდა. მთელ საფრანგეთში ბუნებრივ პლაჟებზე მყოფი ქალბატონები ხშირად საცურაო კოსტიუმის ზედა ნაწილის გარეშე ირუჯებიან.

## ტომ კრუზი Paramount Pictures-ს დაშორდა

კინოკომპანია Paramount Pictures-მა კონტრაქტი დაარღვია ტომ კრუზის სტუდიასთან. "ნიუ იორკ ტაიმსის" ცნობით, Paramount-ის ხელმძღვანელობას 14-წლიანი თანამშრომლობის შემდეგ კონტრაქტის დარღვევის მოტივაციად მოჰყავს კომპანიის დანაკარგები და არცთუ ისე წარმატებული ბოლო ფილმები ტომ კრუზის მონაწილეობით.



"მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემთ ტომ კრუზს, უაზრობად მიგვაჩნია კონტრაქტის გაგრძელება. ბოლო ხანებში ბატონი კრუზის საქციელი არ შეესაბამება ჩვენს დონეს", - განაცხადა კორპორაციის თავმჯდომარემ სამნერ რედსტოუნმა.

კორპორაციის ხელმძღვანელობის წყაროებმა ანონიმურობის დაცვით ჟურნალისტებს აცნობეს, რომ Paramount Pictures-ს Cruise-Wagner Production-თან თანამშრომლობა წელიწადში 10 მილიონი დოლარი უჯდებოდა. რედსტოუნის კომენტარები ვაგნერმა შეაფასა როგორც "სახელის შენარჩუნების მცდელობა". შეგახსენებთ, ბოლო ფილმმა ტომ კრუზის მონაწილეობით "შეუსრულებელი მისია 3" 400 მილიონი დოლარი გამოიმუშავა მსოფლიო გაქირავებაში, თუმცა აშშ-ში ვერ შეძლო საკუთარი ბიუჯეტის გადაფარვა.

## დილანის ახალი ალბომი

ამერიკელი მუსიკოსი ბობ დილანი სოლიდარობას უცხადებს და არ აკრიტიკებს იმ ადამიანებს, რომლებიც მუსიკაში ფულს არ იხდიან, როცა ინტერნეტიდან იწერენ მას. ამავე დროს იგი თანამედროვე მუსიკას "საშინელებას" უწოდებს. "იქ განსაკუთრებული არაფერია, არც ვოკალია... ჩვენ ყველას ფირფიტები მოგვწონდა, მაგრამ ეს დღეები წავიდა... მე არ ვიცნობ არავის, ვინც ბოლო ოცი წლის განმავლობაში წესიერი რამე დაწერა".



ეს ინტერვიუ ჟურნალ "როლინგსტოუნს" დილანმა ახალი დისკის Modern Times-ის გამოსვლამდე მისცა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ეს მისი პირველი ინტერვიუა. დილანის უკანასკნელი სტუდიური ალბომი Love and Theft 2001 წელს გამოვიდა და ამერიკისა და ბრიტანეთის ჰიტ-პარადების პირველ ხუთეულში მოხვდა. ალბომ Modern Times-ით მუსიკოსი კმაყოფილია: იგი თვლის, რომ მისი მუსიკა დისკზე ბევრად უფრო კარგად ჟღერს, ვიდრე ცოცხალი შესრულებისას. 65 წლის მომღერალმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ჯერჯერობით სცენის დატოვებას არ აპირებს.

**2006 წლის 11-12 სექტემბერს**

**სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში"**

**გაიმართება *საერთაშორისო კონფერენცია* თემაზე:**

**"მოპოვებითი მრეწველობისა და ენერგოტრანზიტის გამჭვირვალობა"**

**ორგანიზატორები:**
**ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"**

**"საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის"**
**საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიცია**

**ქ.თბილისი, დოლიძის ქ. N2, ტელ: 33-30-42, 33-04- 22, 899-51-13-82**

**ლიკვიდატორი**

**განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ**

**სს "ქართული ბანკის" ლიკვიდატორი აცხადებს საჯარო აუქციონს ბანკის საკუთრებაში არსებულ კომპიუტერულ ტექნიკაზე, საკომუნიკაციო მოწყობილობებზე, საოფისე ავეჯზე და სხვა ძირითად საშუალებებზე.**

**აუქციონი გაიმართება 2006 წლის 20 სექტემბერს 12 საათზე ქ. თბილისში, დოლიძის ქ. N2, სს "ქართული ბანკის" შენობაში.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 44-24-16, 899- 51-13-82.**

**ლიკვიდატორი**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს ტენდერს **კომპიუტერებისა და კომპიუტერული მოწყობილობების შესასყიდად** ერთ ლოტად და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

| № | დასახელება | სპეციფიკაცია | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი 1 | AMD 3000+, 512 Mb DDR (up to 4 Gb), 80 SATA, Xpress 200 chipset with PCI-express slot, DVD-ROM, 6 rear and 2 front USB 2.0 ports, PS/2 Keyboard, optical mouse PS/2, 250-watt PFC power supply, monitor 15" TFT LCD (Viewable Image Area 15") 1024x768 dpi 75 Hz, 250:1 Brightness, Contrast 450:1, 3 years warranty | 30 | ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ ნ.ჩხეიძის ქ.№2 |
| 2 | პერსონალური კომპიუტერი 2 | AMD 3000+, 1024 Mb DDR (up to 4 Gb), 80 SATA, Xpress 200 chipset with PCI-express slot, DVD-RW, 6 rear and 2 front USB 2.0 ports, PS/2 Keyboard, optical mouse PS/2, 250-watt PFC power supply, monitor 17" TFT LCD (Viewable Image Area 17") 1280x1024 dpi 75 Hz, 300:1 Brightness, Contrast 500:1, Pixel Pitch 0.26 mm, Response Rate 8 ms or less, 3 years warranty | 20 | |
| 3 | უწყვეტი კვების წყარო UPS | 600 VA, Input Voltage :140V – 285V, Frequency : 50Hz Voltage Regulation : 10%, Back up time : 20 to 40 minutes, with surge protection, 1 year warranty | 50 | |
| 4 | სერვერი | Laser printer A4, speed: up to 12 ppm, monthly volume: up to 3000 pages, Print quality up to 600 x 600 dpi (1200 dpi effective output), USB 2.0, 150-sheet input tray, 1 year warranty | 1 | |
| 5 | პრინტერი ლაზერული | AMD Dual-core, Dual processor, Opteron 280 (2.4 GHz/1MB), 4 GB RAM PC 3200 400 MHz DDR Memory (up to 8 Gb), AMD Opteron 8000 series Chipset, Ultra 320 Smart Array 6i, Support six Ultra 320 SCSI hot plug HDD, 2x72 Gb HDD 15K rpm, Dual Port PCI-X Gigabit Server Adapter, DVD-RW, 2x575 Watt hot plug power supply, 1U Rack mountable, Keyboard with USB, optical mouse, 3 years warranty | 50 | |
| 6 | პრინტერი ლაზერული | Laser printer A4, speed: up to 19 ppm, monthly volume: up to 8000 pages, Print quality up to 1200 x 1200 dpi, RAM 8MB, 1xUSB 2.0, 1xEthernet, 1x wireless Ethernet 802-11b/g technology, 10-sheet priority feed slot, 250-sheet input tray, 1 year warranty | 1 | |
| 7 | თაგვი | wireless optical mouse with USB receiver, 1 year warranty | 4 | |

კომპიუტერული ტექნიკის მომწოდებელ კომპანიას უნდა გააჩნდეს ავტორიზაციის ფორმა და ავტორიზებული სერვის-ცენტრი.

2. კომპიუტერებისა და კომპიუტერული მოწყობილობების სრული მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 40 კალენდარული დღე.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 2 ოქტომბრიდან 3 ოქტომბრის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ და წესდების ასლი;

ვ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) ცნობა საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

თ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმის წარმოება;

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

n ტექნიკის საგარანტიო პირობების დეტალურ განსაზღვრებას, ხელმოწერილს და ბეჭდით დამოწმებულს მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ.

n მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ:

- მის მიერ წარმოდგენილი კომპიუტერები და კომპიუტერული მოწყობილობები არ აკმაყოფილებენ პირველ მუხლში მითითებულ მოთხოვნებს;
- იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 3 ოქტომბრამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2 (ხეთაგუროვის ქ.N2), სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:

მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 3 ოქტომბერს, 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

**გიორგი უშვერიძე** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (IIIსართული).

**სააგენტოს სატენდერო კომისია**

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს შესყიდვის ობიექტი - ფარდა-ჟალუზი 4895მ²

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 28 სექტემბრის 12 საათამდე. შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის 70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300043133

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ფარდა-ჟალუზი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება და მონტაჟი კახეთის რეგიონალური ხაზინის შენობაში (თელავი ერეკლე II-ს N16) 180მ2 -ის 2006 წლის 1 ოქტომბრამდე, აქციზის გადამხდელთა ინსპექციის შენობაში (თბილისი, დადიანის N30) 800მ2 -ის 2006 წლის ნოემბრის ბოლომდე, ბათუმის საგადასახადო ინსპექციისა და საბაჟო დასავლეთის შენობაში (ბათუმი, ფიროსმანის N5) 500მ2 -ის 2006 წლის ოქტომბრის ბოლომდე და ფინანსთა სამინისტროს ახალ ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი გორგასლის ქ. N16) 3415 მ2 -ის 2006 წლის ნოემბრის ბოლომდე.

დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 სექტემბრის 16 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთა:**

■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

■ ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან);

■ ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

■ ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**

■ ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

■ ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

■ პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა (წარმოდგენილი უნდა დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა).

■ ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

■ ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

***შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07, 23-18-57

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" დაფინანსების ფარგლებში 10 ასაშენებელი სკოლის (ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხაჯალის, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანის, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთის, თერჯოლის რაიონის სოფელი ჩხარის, ყვარელის რაიონის სოფელ გავაზის, სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის, მცხეთის რაიონის სოფელი დიღმის, ვაზიანის N1, ბორჯომის N3 და თბილისის N84 საჯარო სკოლების) საპროექტო დოკუმენტაციის შერჩევის მიზნით ატარებს ორეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია".

| ლოტი | რაიონი / ქალაქი | საჯარო სკოლა |
|---|---|---|
| I | ლანჩხუთი | სოფელ ხაჯალიას |
| II | გურჯაანის | სოფელ მელაანის |
| III | ჩხოროწყუ | სოფელ ახუთის |
| IV | თერჯოლა | სოფელ ჩხარის |
| V | ყვარელი | სოფელ გავაზის |
| VI | სიღნაღი | სოფელ ჯუგაანის |
| VII | მცხეთა | სოფელ დიღომის |
| VIII | ვაზიანი | № 1 |
| IX | ბორჯომი | № 3 |
| X | თბილისი | № 84 |
| | სულ: | 13 |

■ **შენიშვნა**: ტენდერის პირველ ეტაპზე აუცილებელია წარმოდგენილი იყოს არქიტექტურული (ესკიზური) პროექტი.

■ პირველადი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ღირებულების გარეშე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (არქიტექტურული (ესკიზური) პროექტის გარდა) და პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 2 ოქტომბერს 1500 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა განხორციელდება 2006 წლის 2 ოქტომბერს 1500 საათზე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N214.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა სასამართლოდან);

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროდან);**

დ) ინფორმაცია შესრულებული ანალოგიურ სამუშაოების შესახებ;

ე) ინფორმაცია თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ.

- თუ ზემოთ დადგენილ ვადებში იურიდიული და ფიზიკური პირი არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება მოხდება მისი დისკვალიფიკაცია.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდუბე-ჩუღურეთი)

**საიდენტიფიკაციო ნომერი** - 202051224

**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკის კოდი** - 220101107

საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003000

**ა/ა** N 200122900

**საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგანიზაციული კოდი 2211, ტენდერის დასახელება.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, მ. ფალიაშვილი, მ. ბუზალაძე, ნ. ბოჭორიშვილი. ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

---

**განცხადება აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2006 წლის 6 სექტემბრის განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ ცვლილების შეტანაზე**

**შევიდეს ცვლილება ლოტი N3-ში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით ლოტი N3 V - VIII კლასის მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასკოლო მერხებისა და სკამების შეძენა, მერხის სიმაღლე 700 მმ, სკამის სიმაღლე 420 მმ. მაგიდის ზედაპირის სიგრძე 70 სმ. სიგანე 50 სმ. რაოდენობა 619 ცალი.**

**სატენდერო კომისია**

---

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ქვანახშირის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ქვანახშირის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, (რკინიგზის საიდენტიფიკაციო კოდი - 202886010) და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | **ქვანახშირი** | 4 500 კკალ/კგ<br>ტენიანობა 14%<br>ნაცრიანობა 30-35%<br>გოგირდი 1.5%<br>ფრაქცია 0-200მმ (60%: 0-13მმ) | ტ | 1 308 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - ვაგონებში ჩატვირთული, რკინიგზის უახლოეს სადგურში;

4. მოწოდების ვადა - 2006 წლის IV კვარტალი;

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **28 სექტემბრის** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51, 56-40-26.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

---

# საინფორმაციო ცნობა

ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემაზე

| № 1 | მიწის ნაკვეთის მისამართი | გაცემის ფორმა | სარგებლობის ფორმა | მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივობა) | მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ | მოშენების ფართობი კვ.მ. | სართულიანობა | საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი (ლარი) | კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი კვ.მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | | | | | | | | | |
| | მთაწმინდა-კრწანისის რაიონი,გორგასლის I შესახვევი №5-ში მდებარე შენობასა და თუმანიანის ქ.№23/1 შორის | აუქციონი | საკუთრება | | 44 კვ.მ | | | | 100 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ( ბიჯი-20 დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
| | | | | | | | | | |

**შენიშვნა:** აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია შეტანილ იქნას ბე (სადეპოზიტო თანხა), რომელიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

აუქციოში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2006 წლის 8 სექტემბრის 11სთ/დან 2006 წლის 8 ოქტომბრის 17სთ/მდე. აუქციონის ჩატარების თარიღი მონაწილეებს წერილობით ეცნობებათ დამატებით, განცხადების მიღების შეწყვეტის შემდგომ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას, მისამართი: თავისუფლების მოედანი N2, ტელ: 93 45 73, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, ტელ: 96 91 21.

**"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს ქ. თბილისის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე.**

**ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიში N145532300**

**ს/კ 203827074**

**ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი კოდი 220101502**

## "ამერიკის ნაციონალური აკადემიის" შემდეგ - "მეცნიერებათა ევროპული აკადემია"



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი **აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე** არჩეულია **"აკადემია ევროპეას"** ნამდვილ წევრად. გასულ საუკუნეში დაფუძნებული "მეცნიერებათა ევროპული აკადემია" არის ევროპის ქვეყნების გამოჩენილ მეცნიერთა ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ფუნდამენტურ მეცნიერებათა ყველა ძირითადი დარგის გამორჩეულ წარმომადგენლებს. სრულიადევროპის ეს სამეცნიერო ორგანიზაცია ორიენტირებულია ევროპულ ქვეყნებში (და, მაშასადამე, საქართველოშიც) მეცნიერების თანამედროვე დარგების დანერგვასა და მათ შემდგომ განვითარებაზე. ამასთანავე, ეს არსებითად ნიშნავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ევროპულ აკადემიად აღიარებას და ევროპის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციაში მის გაწევრიანებას.

## შაგალის გობელენები

მარკ შაგალის სამი უზარმაზარი გობელენი, რომელიც უკვე ორმოცი წელია ისრაელის კნესეტის ერთ-ერთი დარბაზის კედლებზე კიდია, 24 მილიონი შეკელის ღირებულებისაა.

კნესეტის შენობის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა გობელენები გარეცხოს, რათა ამდენი წლის განმავლობაში დაგროვილი მტვრისგან გათავისუფლდნენ და საღებავმა ძველებური სიმკვეთრე დაიბრუნოს. გარეცხვის პროცესზე 100 ათასი შეკელი დაიხარჯება.

დარბაზში, რომელშიც შაგალის გობელენებია განთავსებული, ძირითადად, სამთავრობო დელეგაციებს იღებენ. გობელენების გარდა, დარბაზში შაგალის მოზაიკაც არის წარმოდგენილი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ღია ცა გერმანიის თავზე

### გოეთეს ინსტიტუტის კაფეში შემოდგომის ფესტივალი გაიმართება

ია ვეკუა




თბილისის ყველაზე გერმანული ადგილი - ზანდუკელის ქუჩა და აქვე მდებარე გოეთეს ინსტიტუტის ეზო 14 სექტემბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით ღიაცისქვეშა კულტურული ღონისძიებებით დაიტვირთება. რესტორან "ზანდუკელის 40-ის" ამფითეატრში წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური მიმდინარეობები, რომელთაც ქართველ შემსრულებლებთან ერთად საქართველოში მცხოვრები უცხოელებიც შემოგვთავაზებენ. ფესტივალის ჩაროზი კი გერმანიაში მოღვაწე ქართული ჯგუფი "შინია".

თუმცა ყველაფერი "შინის" კონცერტამდე გაცილებით ადრე იწყება - 14 სექტემბერს გაიმართება კონცერტი პირობითი სახელწოდებით "მოცარტის საღამო". მსმენელის წინაშე სოპრანო მადი სერებრიაკოვა, ბანი ნიკა გულაშვილი და პიანისტი მარინა მეტრეველი გამოვლენ. ისინი მოცარტის საოპერო-საკონცერტო არიებს შეასრულებენ. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს საქართველოში პირველად აჟღერდება მოცარტის "პატარა გერმანული კანტატა". კონცერტს დაესწრება გერმანიის პარლამენტის განათლებისა და საინფორმაციო საშუალებათა სამსახურის დელეგაცია, რომლის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში სწორედ ამ პერიოდშია დაგეგმილი.

"მოცარტის საღამოთი" ფესტივალის კლასიკური ნაწილი დასრულდება და გზას თანამედროვე მუსიკას დაუთმობს. 28 სექტემბერი ფესტივალის აფიშაში ჯაზ-როკის დღეა. საქართველოში მცხოვრები ინგლისელი მუსიკოსი ტონი ო`მეილი თავის ქართველი მუსიკოსებით დაკომპლექტებულ ბენდთან ერთად მსმენელს ჯაზისა და როკის საინტერესო შერწყმას სთავაზობს. ტონი ო`მეილი დიდი ხანია ქართულ სცენაზე წარმატებით გამოდის. წელს იგი "კოკა-კოლას ჯაზ-ფესტივალის" სტუმარიც იყო და თბილისის ბიგ-ბენდთან ერთად ფესტივალის დასკვნით კონცერტზე რამდენიმე კომპოზიცია შეასრულა.

12 ოქტომბერს მუსიკის მოყვარულთა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ გოეთეს ინსტიტუტის კაფესკენ იქნება კონცენტრირებული, რადგან სცენაზე ფესტივალის პროგრამის სპეციალური სტუმარი ჯგუფი "შინ" იქნება. ჯგუფი თბილისში მთელი შემადგენლობით დაუკრავს: ზაზა მიმინოშვილი, ზურაბ გაგნიძე და მამუკა გაგნიძე. ჯგუფის წევრები ამჟამად გერმანიაში ცხოვრობენ და მეგობრული ურთიერთობა აქვთ ფესტივალის ორგანიზატორ რაინერ კაუფმანთან. "შინის" თბილისში სტუმრობაც სწორედ მისი ინიციატივით მოხდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯგუფს თან ჩამოჰყავს 19 წლის გიტარისტი ალექს კილიანი, რომელიც ზაზა მიმინოშვილის მოსწავლეა. მას გერმანიაშიც და თავისი მასწავლებელიც უდიდეს მომავალს და საერთაშორისო კარიერას უწინასწარმეტყველებენ.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორი ირწმუნება, "შინის" კონცერტი მთლიანი ღონისძიების საუკეთესო საღამო იქნება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამით ყველაფერი მთავრდება. 26 ოქტომბერს საზოგადოების წინაშე საქართველოში მცხოვრები ამერიკელი მომღერალი მარია ბარლეტი კლასიკური ჯაზის საღამოს წარმოადგენს.

ფესტივალის ბოლო დღე ქართულ სიმღერას დაეთმობა. თბილისელი კომპოზიტორი და მომღერალი ნანა კალანდაძე თავის მეგობრებთან ერთად ქალაქურ სიმღერებს შეასრულებს. ეს იქნება ქალაქური მოტივებისა და ფოლკლორის სინთეზი, რასაც მოჰყვება საუბრები მუსიკის შესახებ. ნანა კალანდაძის კონცერტი ფესტივალის დასკვნითი საღამო იქნება.

შუალედში გერმანული კულტურის მოყვარულებს კიდევ ერთი ღონისძიება ელით. 30 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით კაფე "გოეთეში" მიუნხენის ყოველწლიური სახალხო დღესასწაულის "ოქტობერფესტის" მსგავსი ღონისძიება გაიმართება, სადაც გერმანულ კულტურასთან ერთად ამ ქვეყნის ეროვნული სამზარეულოც იქნება წარმოდგენილი.

გემრიელი სამზარეულოს შეფასების საშუალება ფესტივალის სტუმრებსაც ექნებათ. კაფე "გოეთეში" წარმოადგენენ როგორც გერმანულ და ქართულ, ისე შერეულ კერძებსაც. მაგალითად, განსხვავებული შიგთავსით დამზადებული ხაჭაპური და სხვა.

ფესტივალის ორგანიზატორია გერმანელი ჟურნალისტი და მეწარმე რაინერ კაუფმანი. იგი 16 წელია საქართველოში ცხოვრობს და აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც ეწევა. გადაიღო რამდენიმე დოკუმენტური ფილმი საქართველოს შესახებ და წიგნიც გამოსცა. ამჟამად კიდევ ერთ წიგნს ამზადებს, რომელშიც საქართველოს ცხოვრებისა და განვითარების უკანასკნელ პერიოდს აღწერს. წიგნში ასევე აღწერილი იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ადგილებიც, რაც ტურისტებისთვის საუკეთესო სახელმძღვანელოა.

რაინერ კაუფმანი არ გამორიცხავს, რომ თუ წლევანდელი შემოდგომის ფესტივალი გაამართლებს, იგი ტრადიციული გახდება. "ეს იქნება ჩემი საჩუქარი იმ ქვეყნისთვის, სადაც უკანასკნელი წლებია ვცხოვრობ. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება თბილად მიიღებს ჩემს საჩუქარს", - განაცხადა რაინერ კაუფმანმა.

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა) + ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39



**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

**შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ ლიანდაგის მოსაწყობად საჭირო ზედნაშენი მასალების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების ცვლილება**

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წ 07 სექტემბერს გამოცხადებულ **ლიანდაგის მოსაწყობად საჭირო ზედნაშენი მასალების შესყიდვის შესახებ** სატენდერო განცხადებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

**ლოტი 3-ის განსაკუთრებული თავისებურების** გრაფაში ჩაემატოს სიტყვა ***„სამაგრისებით"***

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოცხადებული **ლიანდაგის მოსაწყობად საჭირო ზედნაშენი მასალების** შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე:

ქ. რუსთავში მდებარე შპს "არსი" ითხოვს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.

ქ. ოზურგეთში მდებარე შპს "წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სკოლა" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.




**56-ე საჯარო სკოლაში იხსნება ქართული კლასები.**
**მისამართი: ფალიაშვილი N34**
**ტელ: 23-58-12**
**22-35-85**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge




# ერთი ნაბიჯი უმთავრეს გუნდამდე

## ქართველი ფალავნები მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნდნენ

*თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა საკუთარი სიტყვა თქვა. მართალია, ამ სიტყვაში ოქროს მედლები არ იგულისხმება, მაგრამ რასაც მიაღწიეს, ესეც საქმეა. ბერძენ-რომაელები ორი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ, "თავისუფლებმა" კი ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონატს 29 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე გვატემალა მასპინძლობდა.*

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წინ საქართველოს ნაკრებს სავიზო პრობლემები ჰქონდა (რამაც ნაკრებში ერთგვარი დაძაბულობა შეიტანა), გუნდმა მეტ-ნაკლებად წარმატებით იასპარეზა (გვატემალა მესამე ამერიკული ქვეყანაა, რომელმაც ამ რანგის ასპარეზობას უმასპინძლა).

თუ რას ნიშნავს ახალგაზრდული ნაკრები, ვფიქრობ, ამას დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. ახალგაზრდული ნაკრების თითოეულ მოჭიდავეს ერთი ნაბიჯი აშორებს ძირითადი ნაკრებისგან. ასე რომ, მომავალში სწორედ იმ ახალგაზრდების იმედი უნდა გვქონდეს, რომლებმაც გვატემალაში იასპარეზეს. არ ვამბობ, გინდა თუ არა, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე სწორედ ესენი იჭიდავებენ-მეთქი, მაგრამ მომდევნო თამაშებზე რომ სწორედ მათი იმედი უნდა გვქონდეს, ფაქტია.

მაშ ასე, მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად ბერძენ-რომაელები ჩაერთვნენ. შემდეგ ესტაფეტა "თავისუფლებმა" ჩაიბარეს. ბერძენ-რომაელებმა ლაშა გოგიტაძემ (50 კგ.) და დავით ქარჩავამ (84) ორი ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს, ხოლო "თავისუფლებმა" - გიორგი მაყიშვილმა (60) და დავით მოძმანაშვილმა (96) ფინალში ასპარეზობის პატივი მოიპოვეს. თუმცა, მათი მონაპოვარი მხოლოდ ვერცხლის მედლებია. მძიმე წონაში გიორგი ნუკურაძემ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებთან შეხვედრა.

როგორც ნაკრების მწვრთნელებმა გვამცნეს, ჭიდაობაში გამეფებული თაღლითობა რომ არა, გაცილებით უკეთეს შედეგებს მივაღწევდით. საუბარია სპორტსმენთა გადაზრდილ ასაკზე.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ საქართველოში, ყოველ შემთხვევაში ახლა, მოჭიდავეთათვის ასაკის დაკლება ისტორიის საკუთრებაა, რომ საქართველოს ნაკრები ზუსტად ჯდებოდა მსოფლიო ჩემპიონატისთვის განსაზღვრულ ასაკში.

მწვრთნელებმაც დასძინეს, ქართველ ფალავნებს სამი-ოთხი წლით უფროსებთან უწევდათ შეჭიდება, თუმცა, მედლების მოპოვება მაინც შევძელითო.

ჭიდაობაში სამი-ოთხი წლით უფროსებთან გაჯიბრება რას ნიშნავს, ამას დიდი ახსნა არ სჭირდება.

ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის (ჩინეთი, 25 სექტემბერი-1 ოქტომბერი) ბორჯომში ემზადება.

## მოკლედ

### იტალიას ტოტი სჭირდება

იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი სამწუხაროდ დაიწყო. მსოფლიო ჩემპიონებმა პირველ მატჩში საკუთარ მინდორზე ვერ შეძლეს ლიტვის ნაკრების დამარცხება. ეგ კი არა, "სკუადრა აძურა" ძლივს გადაურჩა მარცხს. ოთხშაბათს კი "სტად დე ფრანსზე" დონადონის გუნდმა სრული კაპიტულაცია გამოაცხადა ფრანგებთან შეხვედრაში.

ფრანგებთან განცდილი მარცხის შემდეგ რობერტო დონადონიმ განაცხადა, რომ მას ნაკრებში იმ ფეხბურთელების დაბრუნება სჭირდება, რომლებმაც ამ ზაფხულს იტალიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოუტანეს. კერძოდ, იტალიელთა თავკაცმა ფრანჩესკო ტოტიზე გაამახვილა ყურადღება.

"მორჩა, იტალიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონები სჭირდება. რაც შეეხება ტოტის. როდესაც მას ბოლოს ვესაუბრე, მითხრა, რომ, სულ ცოტა, ერთი წელი სურდა ნაკრებიდან დასვენება, მაგრამ ასე არ შეიძლება. ფრანჩესკო უნდა დაბრუნდეს. აუცილებლად უნდა ვესაუბრო მას და ნაკრებში დავაბრუნო. მერწმუნეთ, ეს შესაძლებელია. ოქტომბერში ორი უმძიმესი მატჩი გველის. უკრაინისა და საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრებში ყველა საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი მჭირდება", - განაცხადა დონადონიმ.

### პირლომ კონტრაქტი გააგრძელა

"მილანმა" კიდევ ხუთი წლით გააგრძელა კონტრაქტი ანდრეა პირლოსთან. 27 წლის ნახევარმცველი 2010 წლამდე დარჩება მილანურ კლუბში. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პირლოს არაერთი საინტერესო შეთავაზება ჰქონდა. ანდრეას "რეალი", "მანჩესტერი" და "ჩელსი" იწვევდნენ, თუმცა "მილანმა" მოახერხა ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის შენარჩუნება და მასთან ახალი კონტრაქტიც გააფორმა.

### მარადონას ძეგლს დაუდგამენ

არგენტინულ ქალაქ მარ დელ პლატაში ცოტა ხანში დიეგო მარადონას ძეგლი აიგება. აღსანიშნავია, რომ ქანდაკებისთვის საჭირო თანხას თავად ქალაქის მცხოვრებლები აგროვებენ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დიეგოს ძეგლი სიცოცხლეშივე ეკუთვნის. ძეგლი დიეგოს ზუსტი ასლი იქნება. თუმცა ერთი მცირე განსხვავება ფეხბურთელსა და მონუმენტს შორის მაინც იარსებებს. არქიტექტორების აზრით, მარადონას ძეგლი, სულ მცირე, 2 მეტრის სიმაღლის მაინც უნდა იყოს.

### ჩერნოგორიას ფიფაში მიიღებენ

ამ ზაფხულს სერბთისა და ჩერნოგორის ნაცვლად ევროპის რუკაზე ორი სახელმწიფო გაჩნდა. სერბეთი ფიფას წევრად დარჩა, ჩერნოგორია კი ამ ორგანიზაციაში ჯერ არ გაწევრიანებულა. ფიფას ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ჩერნოგორიელებს აბსოლუტური მხარდაჭერა ექნებათ, რათა ისინი ფიფაში გაწევრიანდნენ. მეტიც, მსოფლიო ფეხბურთის სათავო ორგანიზაცია ამ ახალ ქვეყანას ყოველმხრივ მხარდაჭერას ჰპირდება.

### ოუენი კვლავ ისვენებს

მაიკლ ოუენმა მორიგი ოპერაცია გადაიტანა. "ნიუკასლის" ფორვარდს მუხლის მყესების ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების თქმით, ოპერაციამ კარგად ჩაიარა, თუმცა ფეხბურთის თამაშზე საუბარი ნაადრევია. მაიკლს ალბათ კიდევ ორი-სამი თვე დასჭირდება იმისთვის, რომ მინდორზე გასვლა შეძლოს.

### მერტერსაკერმა ვარჯიში განაახლა

გერმანიის ნაკრებისა და ბრემენის "ვერდერის" მცველმა პერ მერტერსაკერმა გრძელვადიანი პაუზის შემდეგ ვარჯიში განაახლა და სულ მალე ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველ მატჩს გამართავს.

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე, სადაც მერტერსაკერი ბუნდესნაკრების დაცვის უპირობო ლიდერი იყო, "ბრემენელმა მუსიკოსებმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ "ჰანოვერს" 4,7 მილიონი ევრო გადაუხადეს.

### ძოლას ბრიტანეთის მუზეუმში შეიყვანენ

ცნობილ იტალიელ ფეხბურთელს ჯანფრანკო ძოლას ბრიტანეთის ფეხბურთის ეროვნული მუზეუმის "დიდების დარბაზში" შეიყვანენ.

იტალიელ თავდამსხმელს ეს პატივი "ჩელსიში" დამსახურებული თამაშის გამო ერგო. "არისტოკრატთა" ღირსებას ჯანფრანკო ძოლა 1996 წლიდან 2003 წლამდე იცავდა და 312 მატჩში 80 გოლი გაიტანა. "ჩელსის" გულშემატკივრებმა იტალიელი კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. დაჯილდოების ცერემონია ლივერპულის სასტუმრო "პლაზაში" 19 ოქტომბერს გაიმართება. ბრიტანეთის ფეხბურთის ეროვნული მუზეუმი 2002 წელს ქალაქ პრესტონში გაიხსნა.

# ბლოხინი კმაყოფილია, ტოპმიოლერი პერსპექტივაზე ფიქრობს

უკრაინა - საქართველოს საკვალიფიკაციო მატჩის დასრულების შემდეგ ბლოხინი კმაყოფილებას ვერ მალავდა, ტოპმიოლერი კი - სინანულს. მათი ეს განწყობა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე აისახა.

ოლეგ ბლოხინი (უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "მატჩამდე ვამბობდი, რომ ნებისმიერი ტურნირის პირველი თამაშის ჩატარება ყოველთვის ძნელი და დაძაბულობასთან დაკავშირებული საქმეა. თამაშში წვრილმანი პრობლემები გვქონდა, რომელთა მოგვარებას მატჩის მსვლელობისას, ასე თუ ისე, ვახერხებდით. საბოლოოდ, ვფიქრობ, მაყურებელი კმაყოფილი დარჩა. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მეორე ტაიმი, როცა გუნდები გაიხსნენ და თამაში ორმხრივ შეტევებში წარიმართა. ჩემი აზრით, ორივე გუნდი თანაბრად იმსახურებდა გამარჯვებას, მაგრამ ჩვენ ერთი უპირატესობა გვქონდა: როგორც ვამბობდი, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ უკრაინის ნაკრებმა ფსიქოლოგიური მდგრადობა შეიძინა. ვფიქრობ, სწორედ ამის წყალობით შევძელით ურთულეს მატჩში სამი ქულის გამოგლეჯა. მადლობელი ვარ ჩემი ბიჭების, რომლებმაც საკმაოდ მძიმე მოედნის საფარის პირობებში შეძლეს სანახაობრივი თამაშის დემონსტრირება. საქართველოს ნაკრებმა კი დაადასტურა, რომ მაღალი კლასის გუნდია, რომელშიც უკრაინის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებიც არიან. გამოდის, რომ სხვა გუნდებისთვისაც ვამზადებთ ფეხბურთელებს..."


ტოპმიოლერმა უკრაინელებს პირველმა მიულოცა გამარჯვება.

კლაუს ტოპმიოლერი (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "საფრანგეთის ნაკრებთან განცდილი მარცხი გაშვებული სულელური გოლების ბრალია. დღეს შევეცადეთ, რომ ანალოგიური შეცდომები აღარ გაგვემეორებინა, მაგრამ გარკვეული დოზით იგივე გამეორდა. საბოლოოდ მიმაჩნია, რომ ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა. ბოლო ორი თვის განმავლობაში ყურადღებით ვსწავლობდით უკრაინის ნაკრებს, შევისწავლეთ მეტოქის თამაშის მანერა და სტილი. მიმაჩნია, რომ, მარცხის მიუხედავად, დღევანდელ თამაშზე არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა. დღეს დამარცხდა გუნდი, რომელიც თამაშის მიხედვით საუკეთესო იყო. უკრაინის ნაკრების ფეხბურთელების მაღალი კვალიფიკაციის მიუხედავად, მათ კომბინაციური თამაშით ვერ შეძლეს ჩვენს კარში გოლების გატანა, რაც ამ გუნდის დამახასიათებელი თვისებაა. ამის მიუხედავად, მაინც დავმარცხდით, რაც ძალიან საწყენია. ვფიქრობ, პერსონალურად მეტი ყურადღებით რომ გვეთამაშა, შედეგი სხვაგვარი იქნებოდა. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, კალაძის ყოფნის შემთხვევაში სამ გოლს არ გავუშვებდით.

რას ვიზამთ... ჩემი გუნდი გააგრძელებს სწავლას წაგებულ თამაშებში მიღებულ გამოცდილებაზე. თამაშის მანერით და ფეხბურთელების მიერ გამოვლენილი აქტივობით კმაყოფილი ვარ. კომბინაციურ თამაშში დიდი დრო გავატარეთ, მეორე ტაიმში შეცვლების ხარჯზე თამაშის მომატებაც შევძელით და, სულ მცირე, სამი შანსი გვქონდა იმისთვის, რომ მარცხისთვის თავი დაგვეღწია. მაგრამ ეს შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ. ჩვენ სამართლიან თამაშში დავმარცხდით ღირსეულ მეტოქესთან და პირველებმა მივულოცეთ უკრაინელებს გამარჯვება."

# გამარჯვებულებს არ სჯიან

ვასილ უდუმაშვილი

გუშინ ავსტრიიდან საქართველოში დაბრუნდა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები, რომელიც შაბათს ისლანდიის ნაკრებს უნდა დაუპირისპირდეს, ოთხშაბათს კი ფინეთში თავის მთავარ კონკურენტთან გამართავს მატჩს.

ავსტრიაში გამარჯვებული კალათბურთელების დასახვედრად თბილისის აეროპორტში 4 საათზე მივედით, თუმცა ვენის რეისი იგვიანებდა და იქ შეკრებილ ჟურნალისტებს ოთხშაბათის მატჩებზე ერთმანეთისთვის აზრის გაზიარების საშუალება მოგვეცა. ერთმა საათმა სწრაფად გაიარა და 5 საათზე თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა. მალე გამოსასვლელში ქართველი გოლიათები გამოჩნდნენ.

ცხადია, ჩვენს დიდ ინტერესს ფაჩულია იწვევდა, რომელიც ავსტრიული მატჩის გმირად იქცა. ზაზამ უკანასკნელმა დატოვა აეროპორტის ფოიე და ცოტა გაუკვირდა კიდეც, ჟურნალისტები რომ დაინახა. არ მეგონა, თუ დაგვხვდებოდითო, გვითხრა.

თუმცა, სანამ ფაჩულიას სახელდახელო ინტერვიუზე გადავიდოდეთ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბესიკ ლიპარტელიანის მცირე კომენტარს შემოგთავაზებთ.

**ბესიკ ლიპარტელიანი:** "ჩვენმა გუნდმა მატჩი ძალიან ცუდად დაიწყო, მაგრამ მეორე ტაიმში დაგვანახა თავისი სიძლიერე. ასე თუ ისე, მთავარია, რომ მატჩი მოვიგეთ. მნიშვნელოვანია, რომ ბიჭებმა თამაშში გარდატეხის შეტანა შეძლეს. საქართველოს ნაკრებს გასვლით მატჩებში ყოველთვის უჭირდა. ამ გამარჯვებით თითქოს ნავსი გავტეხეთ".

სანამ ბატონი ბესო ჟურნალისტებს ესაუბრებოდა, ზაზა ფაჩულიამ ახლობლები მოინახულა. მერე კი ჩვენთვისაც მოიცალა.

**- რას იტყვი თამაშის შესახებ, რამდენად ძლიერი იყო მეტოქე? თავიდან ისეც კი ჩანდა, რომ გამარჯვება არ გვეწერა...**

- კალათბურთის სილამაზე ზუსტად ეგ არის, რომ შეიძლება ოც ქულას აგებდე და საბოლოოდ მაინც მოგო. მატჩი ძალიან ცუდად დავიწყეთ...

**- რატომ?**

- ჯობია ამაზე მწვრთნელმა გიპასუხოთ. ფაქტია, რომ მეორე ტაიმში თამაში გამოვასწორეთ და, მადლობა ღმერთს, მოვიგეთ კიდეც. საერთოდ, სულ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ამ მატჩის მეორე ტაიმში.

**- ტელეეკრანზე კარგად ჩანდა, რომ მოედანზე ორი პატარა თათბირი ჩაატარე, რა უთხარი თანაგუნდელებს?**

- როგორც გუნდის ლიდერს, რაღაც უნდა გამეკეთებინა. განსაკუთრებული არაფერი მითქვამს. უბრალოდ, იმ მომენტში რაც უნდა მოგვემოქმედებინა, იმაზე ვსაუბრობდით. მე მოედანზე ვიყავი და ავსტრიელთა სახეებს ვხედავდი. შეიძლება ითქვას, რომ მეტოქე გაოცებული დავტოვეთ. თავიდან ის გაუკვირდათ, რომ დაწინაურდნენ და გვიგებდნენ. მე მგონი, თითონაც არ სჯეროდათ ამის. მეორე ტაიმში კი უკვე ჩვენი თამაშით განცვიფრდნენ.

**- გაიგებდით, რომ ფინეთის ნაკრებს ისლანდიასთან თამაში გაუჭირდა...**


გოგიტა ბაზაძის ფოტო
ფაჩულიამ ავსტრიიდან გამარჯვება ჩამოგვიტანა.

- ჰო, რა თქმა უნდა, ვიცით რაც მოხდა ამ მატჩში. რატომღაც ყველა ამბობს, რომ ისლანდიის ნაკრები ძალიან სუსტია. არადა, ასე არ არის. დარწმუნებული ვარ, დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს. ისლანდიელებთანაც ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ავსტრიელებთან მეორე ტაიმში.

**- შეძლებთ მთელი მატჩის განმავლობაში ამ ტემპის შენარჩუნებას?**

- შარშანდელისგან განსხვავებით, საკმაოდ გრძელი სკამი გვაქვს. ამიტომ პრობლემა არ იქნება.

**- თუმცა, თქვენი და ტაირონ ელისის კარგი თამაში რომ არა, მეორე ტაიმში მატჩის ბედის შემოტრიალება შეუძლებელი იქნებოდა...**

- ლიდერის ფუნქციაც ეს არის. ყველა ლიდერი ვერ იქნება. არ შეიძლება ერთ თამაშში რამდენიმე ლიდერი იყოს. ორ-სამ კალათბურთელს თამაში მისდის, დანარჩენები კი შავ სამუშაოს ასრულებენ. მარტივ მაგალითს მოვიტან: ვფიქრობ, ამერიკის ნაკრების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ გუნდში მარტო ლიდერები თამაშობენ, შავი სამუშაოს შესრულება კი არავის არ უნდა. ყველას თავისი როლი უნდა ჰქონდეს. მატჩის მიწურულს საკუთარი თავის სრული კონცენტრაცია მოვახერხე. ნებისმიერი შემთხვევითობა და, შეიძლება დავმარცხებულიყავით. თანაც, ბოლოსკენ უკვე თითქმის ყველაფერი კარგად გამომივიდა. რაც მთავარია, არ მიჩხუბია (იცინის).

**- მოდი, ახლა ლუქსემბურგთან მომხდარი ინციდენტი გავიხსენოთ. ფიფას უფრო მკაცრად რომ დაესაჯეთ, მატჩის გამოტოვება მოგიწევდათ. ფაჩულიას გარეშე თამაშის შემოტრიალება კი შეუძლებელი იქნებოდა...**

- მთავარია, რომ მოვიგეთ. რაც არ უნდა ცუდად ითამაშო, თუ იგებ, მიზანი მიღწეულია. მოკლედ, ამით იმის თქმა მინდა, რომ გამარჯვებულებს არ სჯიან.

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმა აეროპორტი დატოვეს. გუნდი დღეს განაახლებს ვარჯიშს. ხვალ კი, საღამოს 7 საათზე, სპორტის სასახლეში კიდევ ერთი საინტერესო მატჩი გველის.

# "გალაქტიკოსის" ხსენებაზე ფიგუს ტანში აჟრჟოლებს

მარი ჯავახიშვილი

იტალიელი ჟურნალისტების აზრით, "ინტერის" 33 წლის ვეტერანი ლუიშ ფიგუ გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშეა. ასაკის მიუხედავად, პორტუგალიელი ფეხბურთელი თავისი ექს-კლუბის ლისაბონის "სპორტინგის" ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილ მატჩში საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. ცოტა ხნის წინ კი იტალიის სუპერთასზე "რომასთან" მატჩში გაიბრწყინა, რომელშიც ერთი საგოლე პასითა და გადამწყვეტი გოლით გამოირჩა.

პორტუგალიელ ნახევარმცველს იტალიური "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტები შეხვდნენ.

**- "იუვენტუსის" სერია ბ-ში დაქვეითებამ და "მილანისთვის" ქულების ჩამოჭრამ "ინტერი" მიმდინარე სეზონის ფავორიტად აქცია. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს თქვენ და თქვენს თანაგუნდელებს მეტ ტვირთს გაკისრებთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ 2006-07 წლების სეზონი წინამორბედებისგან ბევრად განსხვავებული იქნება. "ინტერის" რანგის კლუბს მხოლოდ გამარჯვება მოეთხოვება. ამიტომ "ნერიაძურის" ყველა ფეხბურთელი მხოლოდ მოგებაზეა ორიენტირებული.

**- მაინც რით გამოარჩევდით წლევანდელ "ინტერს"?**

- პირველ რიგში იმით, რომ რამდენიმე მაღალი კლასისა და გამოცდილების მქონე ფეხბურთელით გავძლიერდით. წლევანდელ "ინტერში" ფაქტობრივად ორი გუნდია. თუმცა, ეს რობერტო მანჩინის გარკვეულ პრობლემას შეუქმნის, რადგან მას ყოველი მატჩის წინ დიდხანს მოუწევს ფიქრი, რომელი ფეხბურთელი გაიყვანოს მოედანზე. მაგრამ შემადგენლობის გრძელი სია ჩვენს გუნდს უფრო კონკურენტუნარიანს ხდის.

**- ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ წლეულს "ინტერს" ყველაზე დიდ წინააღმდეგობას "რომა" გაუწევს...**

- ჩვენ პატივს ვცემთ სერია ა-ს თითოეულ კლუბს, მათ შორის, "რომას" და "მილანსაც". მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმესთან დაპირისპირების გვეშინია. "ინტერი" პოტენციურად ძლიერი გუნდია და თუ ფეხბურთელები მაქსიმალურად დავიხარჯებით, ჩემი აზრით, წლევანდელ სეზონში "ნერიაძური" ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში საუკეთესო ფეხბურთს აჩვენებს.

**- ვიეირას, იბრაჰიმოვიჩის,**


ფიგუ იტალიაშიც კარგად გრძნობს თავს.

**გროსოს, კრესპოსა და დაკურის შეძენის შემდეგ "ინტერი" იტალიურ "გალაქტიკოსად" მონათლეს...**

- არ მიყვარს ეს სიტყვა, რადგან ის ჩემთვის მუდამ წარუმატებლობასთან ასოცირდება. "გალაქტიკოსის" ხსენებაზე ტანში უსიამო ჟრუანტელი მივლის.

**- "ნერიაძურისთან" კონტრაქტი 2007 წლის ივნისამდე გაკავშირებთ. მერე რას აპირებთ - დარჩებით კიდევ ერთი წლით?**

- სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. გამოგიტყდებით, ახლა ამაზე არც ვფიქრობ. უფრო მნიშვნელოვანი ამ სეზონის უმაღლეს დონეზე ჩატარებაა.

**- იმას ხომ არ გულისხმობთ, რომ შესაძლოა "ინტერის" ხელმძღვანელობამ უარი გითხრათ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე?**

- პირველ რიგში, ჩემი ოჯახის წევრებს ვგულისხმობ. ადრე მე ვწყვეტდი მათ ბედს და ჩემი კარიერის გამო ხშირად უწევდათ მსხვერპლზე წასვლა. ამიტომ ახლა მათ წინაშე დავალებულივით ვარ და მინდა ჩემი მომავალი ოჯახთან შეთანხმებით გადავწყვიტო.

**- ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა იტყობინებოდა, რომ პრემიერლიგაში თამაში გსურდათ...**

- მსგავსი არაფერი მითქვამს, ეს ჟურნალისტების მონაგონია და მეტი არაფერი. მე უბრალოდ ვთქვი, რომ ბავშვობაში ვოცნებობდი, ფეხბურთის სამშობლოში მეთამაშა. მაგრამ თუ ჩემი ოჯახის წევრები ნისლიან ალბიონზე ცხოვრებას მოისურვებენ, შესაძლოა პრემიერლიგაზეც ვიფიქრო. ჯერჯერობით ისინი იტალიაშიც კარგად გრძნობენ თავს.

**- იტალიის სუპერთასზე თქვენი ბრწყინვალე თამაშის შემდეგ აპენინური პრესა ერთხმად აცხადებდა, რომ კარიერის დასრულებაზე ფიქრი თქვენთვის ნაადრევია...**

- თუ ცხრა თვის შემდეგაც იგივეს დაწერენ, შესაძლოა, მართლაც სერიოზულად დავფიქრდე ფეხბურთში დარჩენაზე.

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



"ეარბასი" კვლავ ჩამორჩება "ბოინგს"

B2

პრემიერ-მინისტრმა კახეთში ყურძენი მოკრიფა

B4



## ევრო თუ დოლარი?

### რომელ ვალუტაში შევინახოთ დანაზოგი?

ნინო ნატროშვილი

*"მწვანეების" გაუფასურების ტენდენცია მთელ მსოფლიოში, უკვე ერთი წელია, გრძელდება. დოლარის კურსის ვარდნამ "მწვანე" კუპიურის მიმართ ხალხის ნდობის დაკარგვა გამოიწვია. დღეს უკვე აღარავინ კამათობს იმაზე, რომ დოლარის კურსის ვარდნის მთავარი მიზეზი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერაყის საომარი ოპერაციების დასაფინანსებლად დახარჯული მილიარდები გახდა. პარალელურად, ამ პროცესმა ქვეყანაში თითქმის ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გაუარესება განაპირობა. სამხედრო ოპერაციებში დახარჯული ფულის გარდა, დოლარის კურსის ცვლილებაზე ბევრი სხვა ფაქტორი მოქმედებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია - ნავთობის ფასების ზრდა და ძვირფასი ლითონების გაძვირება. ამასთან, გასათვალისწინებელია უმსხვილესი საინვესტიციო კომპანიების საბირჟო გარიგებების მოცულობა და ბირჟაზე მიმდინარე პროცესების ტენდენცია. ანალიტიკოსების აზრები, ამ თემის მიმოხილვისას, კიდევ ერთ საკითხში ემთხვევა, ვალუტის სამომავლო კურსის პროგნოზირება, პრაქტიკულად, შეუძლებელია; მისი ბოლომდე ნდობა და პროცესების დაგეგმვა არ შეიძლება. ექსპერტთა ერთი ჯგუფის მოსაზრებით ამერიკული ვალუტის კურსის რყევა წლის ბოლომდე გაგრძელდება, ლონდონის საფონდო ბირჟის ანალიტიკოსების აზრით, დოლარი უახლოეს პერიოდში გამყარებას ისევ დაიწყებს.*



B2

## იაფი და პერსპექტიული კანადური ქონება

### კაპიტალდაბანდება ჩრდილოამერიკულ სამოთხეში

გოჩა ქიმუცაძე

*კანადა ცხოვრების დონის მხრივ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა. აქ დანაშაულის ძალიან დაბალი მაჩვენებელია, სრულად გახლავთ დაცული ადამიანის უსაფრთხოება, პიროვნული უფლებები, მოგვარებულია ეკოლოგიური საკითხები. ამას მაღალი დონის, მზარდი ეკონომიკა დავუმატოთ და მივხვდებით, რომ კაპიტალდაბანდების თვალსაზრისით კანადა მეტად მიმზიდველი ქვეყანაა.*

**კანადური უძრავი ქონების თქვენი შენაძენი ფასს არათუ დაკარგავს, არამედ აუცილებლად გაძვირდება.**



B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3420 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9846 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4757 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7470 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8157 |
| 1 | ბულგარული ლევი | BGL | 1,1451 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3004 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3048 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2404 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4323 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3360 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,2057 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1502 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3069 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1904 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2530 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4005 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5725 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1938 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4954 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3145 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2754 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5668 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5869 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0655 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1152 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4439 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5165 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4222 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4738 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8151 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0427 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1388 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4438 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2410 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4171 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0796 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2198 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2246 |




## GPI ჰოლდინგი უმუშევრობას აზღვევს

### გადაიხადე თვეში 1,5 ლარი და მიიღე 1500 ლარი უმუშევრობის შემთხვევაში

მარიამ ჭაჭავაძე

*"ჯიპიაი ჰოლდინგი" "საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან" ერთად უმუშევრობის დაზღვევას იწყებს. 12 ათასზე მეტმა დასაქმებულმა ამ სადაზღვევო პროდუქტის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა. ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე ამ პროგრამას პროფკავშირების 229 ათასი წევრიდან, სულ მცირე, კიდევ 30 პროცენტი შეუერთდება.*

**რა შემთხვევაში მიიღებს კომპენსაციას დაზღვეული?**

- თუკი გაათავისუფლეს სამსახურიდან დამსაქმებლის გადაწყვეტილებით;
- თუკი დაკარგა სამუშაო ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან რეორგანი-ზაციის შედეგად;
- თუკი გაუქმდა მისი სტრუქტურული დანაყოფი ან საშტატო ერთეული;
- თუკი მისი ორგანიზაცია გადავიდა სხვა ქალაქში ან სოფელში, წინა სამუშაო ადგილიდან 50 კმ-ზე მეტი რადიუსით;
- თუკი გაუარესდა მისი შრომითი კონტრაქტის პირობები, შემცირდა ხელფასი, გაიზარდა სამუშაო დრო და ა.შ.



გიორგი კვირიკაძე.

B4

# კანონპროექტი ტოტალიზატორებში ბილეთების ლეგალიზაციის შესახებ მზადაა

თინა შავაძე

საქართველოს პარლამენტში მთავრობის მიერ მომზადებული იმ კანონპროექტების განხილვა დაიწყო, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნესის რეგულირებას შეეხება. საშემოდგომო საპარლამენტო სესიებზე ბევრი ახალი კანონპროექტის მიღებაა დაგეგმილი. გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე რამდენიმე საკითხზე უკვე იმსჯელეს. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ სხდომაზე წარადგინა კანონპროექტი "აზარტული და სხვა მოგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ". კანონპროექტი ტოტალიზატორის ბილეთების ლეგალიზაციას ისახავს მიზნად.

"გაზპრომისთვის" თურქმენული გაზის ფასი 100 დოლარამდე გაიზრდება. ეს კი მარტივად იმას ნიშნავს, რომ კარსმომდგარი ზამთრის წინ უკრაინას ბუნებრივი აირის ფასების მორიგი ზრდა მოელის.

თურქმენეთი პირობას დებს, რომ ფასს 2009 წლამდე არ გაზრდის, თუმცა სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ აშხაბადი ტარიფების ევროპულთან კიდევ უფრო მიახლოებას უახლოეს მომავალში მოითხოვს.

"გაზპრომი" და თურქმენეთი დამატებითი რაოდენობის ბუნებრივი აირის ყიდვაზე და 1 კუბ.მ. ბუნებრივი აირის 100 დოლარამდე გაძვირებაზე უკვე შეთანხმდნენ. გაძვირებული გაზის მიწოდება დაახლოებით ოქტომბერში დაიწყება.

**"2006 წელს დამატებით 12 მილიარდ კუბ.მ. თურქმენული გაზის მიწოდება იგეგმება, 2007-2009 წლებში კი - წელიწადში 50 კუბ.მ.-ის,"** - ნათქვამია რუსული კონცერნის განცხადებაში.

შესაბამისად, უკრაინაც უნდა ემზადოს - მოსალოდნელია, რომ თურქმენეთი ბუნებრივ აირზე ტარიფს მასაც გაუზრდის. შეგახსენებთ, რომ თურქმენულ გაზს უკრაინას კომპანია "როსუკრენერგო" აწვდის. თუმცა "ნაფთოგაზში" ჯერჯერობით ოპტიმიზმით არიან განწყობილნი.

**24 საათი**

# თურქმენეთი ბუნებრივ აირს აძვირებს

მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით უკვე პარლამენტშიც დაიწყო საგადასახადო შეღავათებზე საუბარი. მესამე მოსმენით კომიტეტში განიხილეს პროექტი "საგადასახადო კოდექსში დამატებითი ცვლილების შეტანის თაობაზე". დოკუმენტის თანახმად, 2000 წლის 1 იანვრიდან 2001 1 იანვრამდე იმ პირებს ჩამოეწერებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ვადაგადაცილებული გადასახადები, რომელთა მიწის ნაკვეთებიც საგანგებო ეკოლოგიურ ზონებში მდებარეობს.

გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრომ კანონებში ცვლილებების პაკეტი წარადგინა. მათ შორის მნიშვნელოვანია ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარების ხელშემწყობი საკანონმდებლო ცვლილება თუშეთის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ. ცვლილების მიღების შემდეგ აღნიშნულ ნაკრძალებში თვითმმართველობა შეიქმნება, რომელიც დამოუკიდებლად განსაზღვრავს ტურებს, ბილეთის ფასს და შემოსავლების განაწილების საკითხს. ამ გზით ნაკრძალები უფრო ეფექტურად მოეწყობა და ტურისტებისთვის მიმზიდველი გახდება.

საკმაოდ მნიშვნელოვანია კანონპროექტები "საქართველოს ბირჟებისა და საბირჟო საქმიანობის შესახებ" და "ცვლილებები თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ". პროექტების დეტალური განხილვა არ მოხდა. აღნიშნულ პროექტებს დეპუტატები ჯერ არ გაცნობიან.

**24 საათი**

# ნიკა გილაურმა გაზის ონკანი პირადად გახსნა

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა და სააქციო-საზოგადოება "იტერა-საქართველოს" გენერალურმა დირექტორმა დავით ბერაძემ დღეს "გარდაბან გაზის" მეურნეობაში ბუნებრივი აირის ონკანი ერთად გახსნეს. დღეიდან გარდაბნის მოსახლეობას გაზმომარაგება აღუდგა.

ნიკა გილაურის განცხადებით, ერთი კვირის განმავლობაში ბუნებრივი აირის მიწოდება ზესტაფონში, ყვარელში, სიღნაღში, თელავში, წნორში და კაჭრეთშიც აღდგება.

"ბოლო ერთი კვირის განმავლობაში "იტერასა" და ადგილობრივი კომპანიების მესვეურებს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. რიგ სოფლებსა და რაიონებში ბუნებრივი აირის მიწოდება დავალიანების დაგროვების გამო იყო გათიშული. თუმცა, მივაღწიეთ შეთანხმებას მის რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით. ამიტომ, მოსახლეობას გაზი ერთი კვირის განმავლობაში აღუდგება," - განაცხადა "ინტერპრესნიუსთან" საუბარში ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა.

გაზის გათიშვა ასევე ემუქრებოდა ხაშურს, მარნეულს, ნორიოს, მარტყოფს, დედოფლისწყაროს, თუმცა აქაც ადგილობრივ გაზის გამანაწილებელ კომპანიებსა და "იტერა-საქართველოს" შორის ვალის რესტრუქტურიზაციაზე შეთანხმება შედგა. მინისტრის თქმით, თუ "იტერა-საქართველოსა" და გაზის გამანაწილებელ ადგილობრივ მეურნეობებს შორის მიღწეული შეთანხმება არ შესრულდება, ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელის დირექტორები თანამდებობიდან გათავისუფლდებიან და კომპანიებში საკადრო ცვლილებები მოხდება.

მომავალი წლიდან კი გაზის მეურნეობების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება იგეგმება. "იტერა-საქართველოს" გენერალური დირექტორის დავით ბერაძის თქმით, გაზის იმ მეურნეობებს, რომლებსაც ბუნებრივი აირის მიწოდება ამ დრომდე შეწყვეტილი ჰქონდათ, ზამთრის განმავლობაში 600 ათასი ლარის დავალიანება ჰქონდათ დაგროვილი. "თუ მიღწეული შეთანხმება დაცული არ იქნა, ან ვალის გადახდის გაწერილი გრაფიკი დაირღვა, მაშინ რიგ კომპანიებს ბუნებრივი არის მიწოდებას კვლავ შევუწყვეტთ," - განაცხადა "ინტერპრესნიუსთან" საუბარში "იტერა-საქართველოს" გენერალურმა დირექტორმა დავით ბერაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ევრო თუ დოლარი?

პირველი გვერდიდან



მსოფლიო ბაზარზე დოლარის გაუფასურების ტენდენცია შენარჩუნებულია, თუმცა ჩნდება კითხვა: რომელ ვალუტაში სჯობს დანაზოგის შენახვა, ევროში თუ ამერიკულ დოლარში? საბანკო სფეროს ანალიტიკოსთა ნაწილი ამბობს, რომ ბანკში ფულის შეტანა მიმდინარე პერიოდში ევროში სჯობს, რადგან ეს ვალუტა ყველაზე ნაკლებად განიცდის ინფლაციას და არც უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი ისეთი მოვლენები, რამაც შეიძლება მისი კურსის შემცირება გამოიწვიოს. იმავდროულად, სხვა ანალიტიკოსები ეჭვს გამოთქვამენ, რომ ევროს კურსის ზრდა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და მალე მისი კლების პროცესი დაიწყება.

რომელ ვალუტაში სჯობს ფულის შენახვა?

ამერიკული დოლარის კურსის ვარდნის გამო ამ ვალუტაში გაკეთებული შენატანები გაუფასურდა. ბანკის მეანაბრეები და ისინიც, ვინც ფულს სახლში ინახავს, უფრო მყარ ვალუტას არჩევენ. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ვალუტა ხალხში პოპულარული ჯერ მაინც არ არის, ბოლო მონაცემებით, ბანკის მეანაბრეებსა და საინვესტიციო კომპანიებს ყველაზე დიდი შემოსავალი სწორედ ევრომ მოუტანა.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთან ყველაზე პოპულარული კვლავ ამერიკული დოლარია. საერთაშორისო ბაზრებზე განვითარებულ მოვლენებს საქართველოზე გავლენა არ მოუხდენია და საბანკო შენატანების დიდი ნაწილი კვლავ დოლარით ხორციელდება. თუმცა მაინც შეიმჩნევა ერთი ტენდენცია - ეროვნული ბანკის 2006 წლის ექვსი თვის მონაცემებით დეპოზიტების რაოდენობამ 57 პროცენტი შეადგინა, აქედან ეროვნულ ვალუტაში - 107,9 პროცენტი, ხოლო უცხოურ ვალუტაში 42,9 პროცენტი შეადგინა. დეპოზიტებზე დოლარიზაცია შემცირდა 8,1 პროცენტით და 66,4 პროცენტი შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 74,5 პროცენტს შეადგენდა.

მსოფლიო ბაზარზე დოლარის კლების ტენდენციას საქართველოში განსაკუთრებული ცვლილებები არ გამოუწვევია. მართალია, დოლარის კურსი ევროს მიმართ ბოლო თვეების განმავლობაში თითქმის ათი პუნქტით დაეცა, მაგრამ საქართველოს მოქალაქეები დანაზოგისთვის მაინც დოლარს არჩევენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ბოლო დროს ლარში დაგროვილი დანაზოგების ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა, თუმცა საბანკო შენატანების დიდი ნაწილი ისევ დოლარზე მოდის.

ექსპერტთა განმარტებით, საქართველოში და მთელ მსოფლიოში დაზარალდნენ ის მეანაბრეები, რომლებსაც დანაზოგი ამერიკულ დოლარში ჰქონდათ. მომავალში ზარალს ნახავენ ისინი, ვისაც სავაჭრო ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან აქვთ და დოლარის ევროზე გადახურდავება დასჭირდებათ. ამიტომ მათთვის დანაზოგის გაკეთება ამ ეტაპზე ევროში უკეთესია. საგულისხმოა, რომ ევროსგან განსხვავებით დოლარი სარეზერვო ვალუტადაა მიჩნეული და მთელ მსოფლიოში ცენტრალური ბანკები სავალუტო რეზერვებს, ძირითადად, დოლარში ინახავენ. ექსპერტები მეანაბრეებს ამ ეტაპზე სიმშვიდის შენარჩუნებას ურჩევენ. ვინაიდან დოლარის კურსის ცვლილების შესახებ გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება რთულია, ამიტომ კაპიტალდაბანდებებისათვის მთელ მსოფლიოში ყველაზე საიმედოდ კვლავ ძვირფასი ლითონები და უძრავი ქონება რჩება.

# ინფლაციის დონე აგვისტოში

*სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში 2006 წლის აგვისტოში, ივლისთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 99,6 პროცენტი შეადგინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში დეფლაციის დონე 0,4 პროცენტი დაფიქსირდა.*

თუკი გასული წლების ანალოგიური თვის სტატისტიკას გადავხედავთ, ის შემდეგნაირად გამოიყურება: 2005 წლის აგვისტოში ინფლაცია დაფიქსირდა, რომლის დონემ 0,6 პროცენტი შეადგინა, 2004 წლის აგვისტოში დეფლაციამ 0,4 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2003 წლის აგვისტოში - 0,1 პროცენტი.

წლის დასაწყისიდან, ანუ 2006 წლის აგვისტოში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 6,0 პროცენტით გაიზარდა. თუმცა მიმდინარე წლის ივლისის თვესთან შედარებით აგვისტოში ფასები უმნიშვნელოდ შემცირდა.

კერძოდ, სურსათზე სამომხმარებლო ფასებმა 1,4 პროცენტით იკლო არასასურსათო საქონელზე კი - 0,7 პროცენტით, ხოლო მომსახურების სფეროში ფასები 0,1 პროცენტით გაიზარდა.

უფრო კონკრეტულად, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წლის აგვისტოში სამომხმარებლო ფასები გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე: ხილზე - 12,0 პროცენტით და რძე, ყველისა და კვერცხის ჯგუფზე - 5,0 პროცენტით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონე, ძირითადად, ბოსტნეულის 11,8 პროცენტით, ხორცისა და ხორცის პროდუქტების 3,0 პროცენტით, თევზეულის - 1,3 პროცენტით, შაქრისა და სხვა საკონდიტრო ნაწარმის 0,5 პროცენტით და ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის 0,1 პროცენტით გაიაფებამ განსაზღვრა.

ამასთან, სამომხმარებლო ფასები შემცირდა ბადრიჯანზე - 68,3 პროცენტით, მწვანილზე 38,0 პროცენტით, ჭარხალზე - 39,8 პროცენტით, პამიდორზე - 32,2 პროცენტით, სტაფილოზე - 15,2 პროცენტით, ხახვზე - 15,4 პროცენტით, ნიორზე - 11,4 პროცენტით, შაქარზე - 0,8 პროცენტით, სიგარეტზე "პირველი" - 1,0 პროცენტით, სიგარეტზე "ასტრა" - 3,6 პროცენტით და ა.შ.

რაც შეეხება მომსახურების სფეროს, 2006 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ფასები გაიზარდა კავშირგაბმულობის მომსახურებაზე 0,7 პროცენტით, რასაც სტატისტიკის დეპარტმენტში საფოსტო მარკების 2,6 პროცენტით გაძვირებით ხსნიან. გარდა ამისა, აგვისტოს თვეში სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების მომსახურება 0,9 პროცენტით გაძვირდა.

2006 აგვისტოში, წინა თვისაგან განსხვავებით, ქვეყანაში ადგილი ჰქონდა საწვავზე ფასების ზრდის ტენდენციას. კერძოდ, სამომხმარებლო ფასები გაიზარდა ბენზინზე - 2,3 პროცენტით, ხოლო დიზელის საწვავზე - 1,8 პროცენტით, რამაც შესაბამისად, ტრანსპორტის ჯგუფზე 0,5 პროცენტით და საცხოვრებელი სახლის, წყლის, ელექტროენერგიის, აირისა და სათბობის ჯგუფზე ფასების 0,6 პროცენტით ზრდა გამოიწვია. 2006 წლის აგვისტოში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 106,0 პროცენტი შეადგინა.

საერთო ჯამში, მიმდინარე წლის რვა თვეში საქართველოში სურსათზე სამომხმარებლო ფასები გაიზარდა 7,4 პროცენტით, არასასურსათო საქონელზე - 9,1 პროცენტით, ხოლო მომსახურების სფეროში - 5,1 პროცენტით. სტატისტიკის დეპარტამენტის განმარტებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონის 6-პროცენტიანი ზრდა, ძირითადად, განაპირობა სამომხმარებლო ფასების ზრდამ ხილზე - 26,3 პროცენტით, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე - 10,8 პროცენტით, ბოსტნეულზე - 17,1 პროცენტით, შაქარსა და სხვა საკონდიტრო ნაწარმზე - 14,9 პროცენტით, საცხოვრებელი სახლის, წყლის, ელექტროენერგიისა და სათბობის სხვა სახეების ჯგუფზე - 22,3 პროცენტით, ჯანდაცვაზე - 13,7 პროცენტით, ხოლო ტრანსპორტის ჯგუფზე - 5,2 პროცენტით.

**24 საათი**

# ყაზახი ინვესტორის 100 დღე საქართველოში

დიანა ჩაჩუა

*კარსმომდგარი ზამთრის წინ სანუგეშო ინფორმაცია თბილისის მცხოვრებთ: "საქართველო წელს ზამთარს ისე მომზადებული შეხვდება, როგორც არასდროს," - გვითხრა გუშინ თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია "ყაზტრანსგაზ-თბილისის" გენერალურმა დირექტორმა გიგი ქოიავამ. მისი განცხადებით, ჩატარებული სამუშაოების წყალობით, კომპანიის აბონენტები გაზს ზამთრის განმავლობაში შეფერხებების გარეშე მიიღებენ. "თბილგაზის" ინვესტორი "ყაზტრანსგაზი" ტარიფთან დაკავშირებითაც არ გვირჩევს ღელვას, რადგან "მომხმარებლებისათვის გაზის ტარიფი უმნიშვნელოდ, ეტაპობრივად გაიზრდება".*

თბილისის გაზგამანაწილებელმა კომპანია "ყაზტრანსგაზ-თბილისმა" მომავალი წლიდან გაზი, შესაძლოა, მფლობელი ყაზახური კომპანია "ყაზტრანსგაზისაგან" მიიღოს. ამის შესახებ "ყაზტრანსგაზ-თბილისის" გენერალურმა დირექტორმა გიგი ქოიავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს, თუმცა გაზის საფასური ნოემბრისათვის გახდება ცნობილი. **"ყაზახეთიდან გაზის მოწოდება სტაბილური და პოლიტიკისგან დამოუკიდებელი იქნება,"** - აღნიშნავს ქოიავა. მისივე თქმით, "გაზპრომისათვის" თურქმენეთის მიერ 1000 კუბ/მეტრი გაზის 60-დან 100 აშშ დოლარამდე გაძვირება "გაზპრომის" მომხმარებლებისათვის და, მათ შორის, საქართველოსათვის გაზის საფასურის გაზრდას, სავარაუდოდ, გამოიწვევს. თუმცა რა ოდენობით გაიზრდება გაზის საფასური, ჯერ უცნობია.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის საქართველო და, მათ შორის, "თბილგაზიც" "გაზპრომისაგან" 1000 კუბ/მეტრ გაზს 110 აშშ დოლარად ყიდულობს.

**"მიუხედავად იმისა, რომ ზამთრამდე ცოტა დრო გვაქვს, სარეაბილიტაციო და საინვესტიციო პროგრამით ჩატარებული სამუშაოები მოგვცემს საშუალებას, რომ მოსახლეობა იყოს მაქსიმალურად დაცული ყოველგვარი ავარიებისაგან, ხოლო გაზი უწყვეტად და სტაბილური წნევით მიიღოს,"** - განაცხადა გიგი ქოიავამ, რომელმაც გუშინ კომპანიაში ახალი ინვესტორის 100-დღიანი მუშაობის შედეგები შეაჯამა.

ამ დროის განმავლობაში კომპანიამ 5 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია გასწია, რაც თბილისის გაზგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაციას მოახმარა. **"დახარჯული ინვესტიციების ამოღების ვადა საკმაოდ ხანგრძლივია და 15 წელს მოიცავს, რაც მომხმარებლებისათვის გაზის ტარფის უმნიშვნელო, ეტაპობრივი გაზრდის საშუალებას მოგვცემს,"** - განაცხადა ქოიავამ.

ამ ეტაპზე "ყაზტრანსგაზ-თბილისი" სარებილიტაციო სამუშაოების პარალელურად გაზის დანადგარების ინვენტარიზაციის პროცესს აწარმოებს. 1 სექტემბრისათვის დასრულდა 5 ათასი მსხვილი საწარმოს და კომუნალური ობიექტის ინვენტარიზაცია, ხოლო სექტემბრის ბოლოსათვის ეს პროცესი მოსახლეობაშიც დასრულდება.

ამჟამად N2 გაზგამანაწილებელ სადგურზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და კომპანიის გენერალური დირექტორის განმარტებით, ამის შედეგად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში გაზის მიწოდება მაღალი წნევით იქნება შესაძლებელი. ეს გაზგამანაწილებელი სადგური 1995 წლიდან უფუნქციოდ იყო და ახალი ინვესტორის ინიციატივით ის სულ მალე აღდგება. სადგურზე 2100 კვ/მ გაზსადენია რეაბილიტირებული.

**"100 დღე გავიდა, რაც ყაზახი ინვესტორი კომპანიის აქტივებს მართავს. ნებისმიერი კომპანიისთვის პრიორიტეტია მოგებაზე გასვლა, თუმცა ჩვენ ამ გზით არ წავსულვართ. ზაფხულის განმავლობაში ჩაჭრებს და გათიშვებს შეგნებულად არ ვახორციელებდით, არამედ ვაწესრიგებდით და ვარემონტებდით ქსელს და უსაფრთხო გაზმომარაგების უზრუნველყოფაზე ვზრუნავდით,"** - განაცხადა ქოიავამ. დადებითი ტენდენცების წარმოსაჩენად კომპანიამ ბოლო 3 თვის მონაცემები წინა წლების მაჩვენებლებს შეადარა. "ყაზტრანსგაზ-თბილისის" გენერალური დირექტორის მოადგილის მანასბეკ სარიევის ინფორმაციით, შედეგები ცხადყოფს, რომ კომერციული დანაკარგები 57 პროცენტიდან 30 პროცენტამდე შემცირდა, თითქმის სამჯერ გაიზარდა დარიცხვების მაჩვენებელი, ამასთან, გაიზარდა აბონენტების რიცხვი და, შესაბამისად, მოხმარებაც. რაც შეეხება ბოლო სამი თვის ამოღების მაჩვენებელს, გასული წლის მონაცემებთან შედარებით, ის თითქმის იგივეა.

გიგი ქოიავა აფრთხილებს და ურჩევს მოსახლეობას, გამათბობლების მონტაჟი სპეციალიზირებულ სამსახურებს, ან "ყაზტრანგაზთბილისს" შეუკვეთონ. კომპანიამ ტარიფი უცვლელი დატოვა. მარტივი მონტაჟის ღირებულება 150 ლარიდან იწყება. და კიდევ ერთი: აფეთქებებისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, კომპანია "ყაზტრანსგაზ-თბილისი" აბონენტებს სახლებში გაზგაყვანილობას და გაზის მოწყობილობებს უფასოდ შეუმოწმებს.

# მიხეილ სააკაშვილს პოლონეთში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე ჯილდო გადასცეს

პოლონეთში გამართულ მეთექვსმეტე საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე ორმხრივი შეხვედრა გამართა, მათ შორის, პოლონეთის პრემიერ-მინისტრ იაროსლავ კაჩინსკისთანაც, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წლის ადამიანის" პრემიით დააჯილდოვა.

ფორუმში უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი და ლიტვის პრემიერ-მინისტრი გიადიმინას კირკილასი მონაწილეობდნენ. ფორუმზე ასევე ევროკავშირის წარმომადგენლები და ევროპის ბიზნესსაზოგადოების დიდი ნაწილი იყო წარმოდგენილი.

ფორუმის მონაწილეებმა სუამის ქვეყნებისა და, მათ შორის, საქართველოს ენერგოუსაფრთხოებაზე, ასევე, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებზე იმსჯელეს.

კრინიცას წინვოვან კურორტზე, რომელიც პრეზიდენტმა საქართველოს ბორჯომს შეადარა, ფორუმის შემდეგ ქართული ღვინის დეგუსტაციაც გაიმართა.

ეკონომიკური ფორუმი კრინიცაში 1992 წლიდან ტარდება. წელს მასში 50 ქვეყნის დაახლოებით 1200 წარმომადგენელი მონაწილეობდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ალექსი ალექსიშვილი რუსთავს ეწვევა

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი რეგიონებში გასვლით შეხვედრებს იწყებს.

დღეს ალექსიშვილი რუსთავს ეწვევა და ადგილობრივ მეწარმეებს შეხვდება. მინისტრი მათ დაგეგმილ რეფორმებს, ახალ საბაჟო ტარიფებს, ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების გაერთიანების გეგმას და ამ მიმართულებით მოსალოდნელ შედეგებს გააცნობს.

როგორც ცნობილია, საგადასახადო ადმინისტრაციის ერთიანი საინფორმაციო სისტემა ახალი წლიდან უნდა ამოქმედდეს. რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოსა და ბიზნეს-სექტორს შორის თანამშრომლობასა და ფინანსური ურთიერთობების დეკრიმინალიზაციას. პარალელურად, გაუმჯობესდება კოორდინაცია უწყებებს შორის. მეწარმეებს კი ურთიერთობა ერთ სამსახურთან ექნებათ.

რუსთავში ვიზიტის ფარგლებში მინისტრი დაათვალიერებს შენობებს, სადაც ახალი სერვის-ცენტრები განთავსდება. მომსახურების დარგში ცვლილებების განხორციელება სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიზნით, ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელებაა დაგეგმილი. სერვის-ცენტრებში დამონტაჟდება ვიდეოთვალი, გაუმჯობესდება და გამარტივდება გადამხდელებთან ურთიერთობის წესები და მოიხსნება ბიუროკრატიული ბარიერები. **ინტერპრესნიუსი**

# "თელასმა" სახელმწიფო დაწესებულებებს დენის მიწოდება შეუწყვიტა

სს თელასმა" იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-6 და მე-7 საპყრობილეებს, ციხის სამკურნალო დაწესებულებას, გარემოს დაცვის სამინისტროს და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს დენის მიწოდება შეუწყვიტა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" სს "თელასიდან" აცნობეს, ამის მიზეზი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობაა. მათ შორის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მკაცრი რეჟიმის მე-6 საპყრობილის დავალიანება 85 ათასი ლარს შეადგენს; მე-7 საპყრობილესა და ციხის სამკურნალო დაწესებულებას საერთო ჯამში 40 ათასი ლარი ერიცხებათ. საპატრულო პოლიციის შენობას 10 ათას 900 ლარი, ხოლო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შენობას კი - 19 ათასი ლარი.

"თელასი"-ს მიერ გასათიშ ორგანიზაციათა შორის "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შენობაც მოხვდა, თუმცა 27 ათასი ლარის გადარიცხვის შემდეგ ტელეკომპანიისთვის ელექტროენერგიის მიწოდება არ შეწყვეტილა. ელექტროენერგიის მიწოდება გათიშულ ორგანიზაციებს დავალიანების დაფარვის ან მყარი გარანტიის წარდგენის შემდეგ აღუდგებათ. **ინტერპრესნიუსი.**

## ემ-სი-ჯი საკონსულტაციო შეხვედრებს იწყებს

"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ("ემ-სი-ჯი") "აგრობიზნესის განვითარების პროექტის" ფარგლებში სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში საკონსულტაციო შეხვედრებს იწყებს. პირველი შეხვედრა ახალციხეში გაიმართება, სადაც მონაწილეობის მიღება ადგილობრივ მოსახლეობას, ფერმერებს და ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება. დაინტერესებულ პირებს შეხვედრებზე შესაძლებლობა მიეცემათ, ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ აგრობიზნესის განვითარების პროექტთან დაკავშირებით. კონსულტაციებს "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი ლაშა შანიძე, აგრობიზნესის განვითარების პროექტის მენეჯერი როდ ბისონი და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები ჩაატარებენ. **ინტერპრესნიუსი**

## მოსკოვში ახალ სატელეფონო ტარიფი ჯერ დადგენილი არ არის

კომპანია "მოსკოვის საქალაქო სატელეფონო ქსელი" ახალი ტარიფების შესახებ პროგნოზებს ჯერ არ აკეთებს, რადგან ტარიფები ჯერ არ მომზადებულა და არც ოფიციალურად დამტკიცებულა, - განაცხადა კომპანიის ხელმძღვანელმა და დასძინა, რომ ნაადრევი პროგნოზი აბონენტებს მხოლოდ დააბნევს. 5 სექტემბერს გაზეთმა "ვედომოსტიმ", ინფორმირებულ წყაროებზე დაყრდნობით, მკითხველებს კავშირგაბმულობის მომსახურების ახალი ტარიფები გააცნო. "მოსკოვის საქალაქო სატელეფონო ქსელის" განცხადებით კი, კომპანია, ტარიფების ფედერალური სამსახურის დამტკიცებული წესის შესაბამისად, განიხილავს ტარიფებს და გეგმის საბოლოო ვარიანტს ტარიფების ფედერალურ სამსახურს მხოლოდ უახლოეს მომავალში წარუდგენს.

გაზეთ ვედომოსტის" მიერ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებამ სატელეფონო სადგურებში აბონენტთა მოზღვავება გამოიწვია. მოქალაქეები სატელეფონო სადგურის თანამშრომლებს სატარიფო გეგმებს შორის არჩევანში დახმარებას სთხოვენ. მოსკოვის საქალაქო სატელეფონო ქსელის" მიერ წარდგენილი შეუზღუდავი, წუთობრივი და კომბინირებული სატარიფო გეგმები ფედერალურმა სამსახურმა მოიწონა, თუმცა სააბონენტო გადასახადი და ერთი წუთი საუბრის ღირებულება ჯერჯერობით უცნობია. შეთავაზებულ სატარიფო გეგმებს ფედერალური სამსახური ერთი თვის განმავლობაში დაამტკიცებს, ახალი ტარიფები კი რუსეთში 2006 წლის 1 დეკემბერს ამოქმედდება. სატარიფო გეგმები დამტკიცებისთანავე პრესაში გამოქვეყნდება, რათა აბონენტებმა მათთვის ხელსაყრელი ვარიანტი დროულად შეარჩიონ. **მედიანიუსი**

## აზერბაიჯანული ნავთობის ფასები სხვადასხვა მიმართულებით შეიცვალა

აზერბაიჯანულ ნავთობის ფასები სხვადასხვა მიმართულებით შეიცვალა. AZERI LT FOB Ceyhan-ის ნავთობის ფასმა 6 სექტემბერს ბარელზე 65,88 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასთან შედარებით 1,00 აშშ დოლარით ნაკლებია. ნავთობს ჯეიჰანის პორტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით იღებს. სააგენტო "ტრენდი" იტყობინება, რომ AZERI LT CIF Augusta-ს ნავთობის ფასმა 6 სექტემბერს ბარელზე 66,82 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასზე 0,89 აშშ დოლარით ნაკლებია. ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 34,6 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,14%. 6 სექტემბერს URAL (EX-NOVO)-ს ნავთობის ფასი ბარელზე 61,86 აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასთან შედარებით 0,48 აშშ დოლარით მეტია. URAL-ის ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 30,4-31,85 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 1,8%. DTD-ს მარკის ნავსთობის ფასმა 6 სექტემბერს ბარელზე 65,35 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასზე 0,62 აშშ დოლარით ნაკლებია. სიმკვრივე - 38,3 გრადუსი, გოგირდის შემცველობა - 0,36%. "აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის" საბადოზე მოპოვებული Azeri Light-ის მარკის ნავთობის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე "დასავლეთში" 1999 წელს საქართველოდან სუფსის პორტიდან დაიწყო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი.**

# იაფი და პერსპექტიული კანადური ქონება

პირველი გვერდიდან

### მზარდი და ლიბერალური

ანალიტიკოსთა გამოკვლევებით, კანადის ეკონომიკა ბოლო დროს შთამბეჭდავი ტემპით იზრდება. იქმნება სულ უფრო მეტი სამუშაო ადგილი, მატულობს ქვეყნის შიდა პროდუქტის მოცულობა და ინფლაციის დონე დაბალია. ამიტომაც არის, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში უცხოელი ინვესტორები კანადაში კაპიტალდაბანდებით სულ უფრო მეტად ინტერესდებიან. განსაკუთრებით ეს უძრავ ქონებაზე უნდა ითქვას, რასაც მაღალი ხარისხი, ფასების სტაბილური ზრდა და მიმზიდველი ფინანსური გარემო განაპირობებს.

კანადური უძრავი ქონების ყიდვისას შეგიძლიათ მშვიდად იყოთ - თქვენი შენაძენი ფასს არათუ დაკარგავს, არამედ აუცილებლად გაძვირდება. ბოლო წლებში ადგილობრივი უძრავი ქონების ფასი 7-10 პროცენტით სტაბილურად იზრდება. შეიძლება ითქვას, თქვენს ქონებას მიწისძვრის გარდა არაფერი ემუქრება, ეს კი კანადაში დიდი იშვიათობაა.

კანადური კანონმდებლობა ლიბერალურია და უძრავი ქონების შეძენის საშუალებას უცხოელებს და ადგილობრივ მოქალაქეებს თანაბრად აძლევს. გამონაკლისი მხოლოდ რეკრეაციული ზონები გახლავთ. ასევე, საკმაოდ იოლია კანადური ბანკებიდან კრედიტის აღება. არანაირი პრობლემა არ შეგექმნებათ, თუ ბიზნესის წამოწყება გსურთ და იურიდიულ პირად დარეგისტრირდებით. მეტიც, თუ თქვენს საქმიანობას პატიოსნად წარმართავთ, შემოსავალს არ დამალავთ და კანადურ საგადასახადო და სხვა სახელმწიფო სამსახურებთან პირნათელი იქნებით, ბიზნეს-ემიგრაციის გასაფორმებლად და კანადაში რეზიდენტის სტატუსით გადაბარგების მშვენიერი შანსი გექნებათ. შემდეგ კი მოქალაქეობის მიღებასაც წინ არაფერი დაუდგება.

თუმცა, ბიზნესის შეძენისას არ დაგავიწყდეთ გაარკვიოთ, რატომ იყიდება იგი. თუ ჩავარდნის პირასაა, შეგწევთ თუ არა მისი ფეხზე დაყენების უნარი, არსებობს თუ არა ამ ბიზნესის უკანასკნელი ხუთი წლის დოკუმენტაცია და ხომ არ არის დავალიანება. გაითვალისწინეთ ისიც, რომ შესაძლებელია, კანადური ბუნებრივი პირობების თავისებურებების გათვალისწინებით, სეზონურ ბიზნესს ყიდულობდეთ.





### იაფი მთა-ბარი

კანადაში უძრავი ქონების შეძენა ლიცენზირებული სააგენტოს საშუალებით ხორციელდება. ცხადია, პირადადაც შეგიძლიათ იმოქმედოთ, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ პროფესიონალს დაიხმართ, მით უმეტეს, რომ, ადგილობრივი წესების მიხედვით, მომსახურების საფასურს - ქონების 5 პროცენტს თქვენ კი არა, გამყიდველი იხდის. სასურველი კაპიტალის მოძებნის შემდეგ დაგჭირდებათ ადვოკატის დაქირავება, რომელიც მოაგვარებს საკუთრების და კრედიტის რეგისტრაციისა და დაზღვევის, ერთჯერადი გადასახადის, ქონების ინსპექტირების, კომუნალურ მომსახურებაში ჩართვის საკითხებს. უნდა ითქვას, კანადელი ადვოკატის მომსახურება სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ იაფი - 1000-2000 ამერიკული დოლარი დაგიჯდებათ.

ქონების შეძენისას სახელმწიფო ხაზინაში მისი ღირებულების 6-9 პროცენტის გადახდა მოგიწევთ. სამაგიეროდ, როგორც უცხოელს, არ შეგეხებათ დამატებითი ბეგარა და სახელმწიფო მოსაკრებელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანადური ბანკები ქონების გარანტიით კრედიტს საკმაოდ იოლად იძლევიან. კერძოდ, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ შესაძენი ქონების 75 პროცენტი წლიური 8-10 პროცენტიანი

განაკვეთით, ხოლო თუ დაასაბუთებთ, რომ კანადაში ბიზნეს-ემიგრაციას ანხორციელებთ, მაშინ შეღავათი შეგეხებათ და მხოლოდ წლიური 3-6 პროცენტის გადახდა მოგიწევთ.

აღსანიშნავია, რომ თუ კრედიტის დაფარვა ვერ მოახერხეთ, ბანკი სამთვიან შეღავათს მოგცემთ, შემდეგ კი ქონებას ჩამოგართმევთ და მას მაქსიმალურ ფასად გაყიდის. შემდეგ ბანკი, პირველ რიგში, ანგარიშს გაასწორებს სახელმწიფოსთან და იურიდიულ ფირმასთან, აიღებს თავის კუთვნილ თანხას და დარჩენილ ფულს თქვენ მოგართმევთ. ისიც უნდა ითქვას, რომ კანადური ქონების მემკვიდრეობით გადაცემა ან გაყიდვა ყოველგვარი პრობლემის და გადასახადის გარეშე შეგიძლიათ.

აქვე უნდა ითქვას, რომ კანადაში ძალზე დაბალი გადასახადებია. კერძოდ, წელიწადში საკუთრების ღირებულების 2-4 პროცენტის გადახდა მოგიწევთ. ასევე დაბალია ბიზნესის წარმოებისას არსებული გადასახადები. კერძოდ, დადგენილია, რომ კანადელი ბიზნესმენი სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით 6-10 პროცენტით ნაკლებ ბეგარას იხდის. გაითვალისწინეთ ისიც, რომ კანადაში ძალზე დაბალი კომუნალური გადასახადებია. მაგალითად, ადგილობრივი ელექტროენერგია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე იაფი გახლავთ.

კაპიტალდაბანდების და ცხოვრების მხრივ ყველაზე მომხიბვლელი კანადის უმსხვილესი ქალაქები და საქმიანი ცენტრები - ტორონტო, მონრეალი, კალგარი, ედმონტონი, ვანკუვერი და დედაქალაქი ოტავა გახლავთ. ამ ქალაქების საშუალო დონის უბნებში საკმაოდ კარგი საცხოვრებელი ფართის 1 კვადრატული მეტრი 700-1000 ამერიკული დოლარი დაგიჯდებათ, კარგ, ცენტრალურ, ტურისტებისათვის მიმზიდველ უბნებში კი - 1200-2000 დოლარამდე. რაც შეეხება საოფისე ფართს, მისი კვადრატული მეტრი 1500-დან 3000 დოლარამდე ღირს.

ამავე ქალაქებში კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის ფასი 1000-დან 3000 დოლარამდე მერყეობს.

თუ მაღალმთიან საკურორტო ზონაში, როგორიც კანადაში მრავლადაა, ვილა გსურთ შეიძინოთ, სულ მცირე, 40 ათასი ამერიკული დოლარის გადახდა მოგიწევთ. სამაგიეროდ, მეტად პრესტიჟულ ადგილას, დათოვლილ მთებში მდებარე კეთილმოწყობილი პატარა სახლის მფლობელი იქნებით. ხოლო თუ ჯიბე საშუალებას გაძლევთ, შეგიძლიათ უფრო დიდი ვილა შეიძინოთ. საკურორტო ზონაში მიწის ნაკვეთი თითქმის იმდენივე ღირს, რამდენიც ზემოთ აღნიშნულ ქალაქებში, და სამშენებლო ბიზნესის წამოწყებაც ასევე მეტად ხელსაყრელია.

# "ეარბასი" კვლავ ჩამორჩება "ბოინგს"

ევროპულმა ავიამშენებელმა გიგანტმა "ეარბასმა" გამოაცხადა, რომ ივლისის ბოლოსთვის მიღებული ჰქონდა 200 ლაინერის შეკვეთა. კომპანიამ დიდი რაოდენობით ახალი შეკვეთები მიიღო ფარნბოროს ავიასალონის დროს, თუმცა ამის მიუხედავად, ის მაინც საგრძნობლად ჩამორჩება ამერიკელ კონკურენტ "ბოინგს", რომელსაც უკვე 525 ლაინერზე აქვს შეკვეთა მიღებული.

ევროპულ კომპანიას თითქმის სამი დეკადა დასჭირდა იმისათვის, რომ ამერიკელ კონკურენტს დასწეოდა, ბოლო ხუთი წელი კი, გაყიდვების მხრივ, ინდუსტრიის ლიდერია მთელს მსოფლიოში. თუმცა წელს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, რაც "ბოინგის" მიერ ახალ პროდუქციაზე შეკვეთების მიღების დაწყებამ განაპირობა - ამერიკელები მალე დაიწყებენ შორსმფრენი, დიდი ზომის ლაინერ 787-ის წარმოებას, რომელსაც ჯერჯერობით ვერანაირ კონკურენციას ვერ უწევს ევროპული კომპანიის შესაბამისი მოდელები.

იმის მიუხედავად, რომ "ეარბასმა" ლაინერების მიწოდების დაგვიანების შესახებ გამოაცხადა, კომპანიამ "სინგაპურ ეარლაინზისგან" მაინც მიიღო სოლიდური შეკვეთები. კერძოდ, აზიურმა ავიაგადამყვანმა გიგანტმა ტულუზაში ბაზირებულ "ეარბასს" ოცი ცალი A350 და ცხრა ცალი A380 შეუკვეთა.




სხვათა შორის, "ეარბასი" "ბოინგს" ჯერაც სჯობნის წინა წლებში შეკვეთილი ლაინერების მიწოდების მხრივ. ევროპულმა კომპანიამ წელს უკვე შეასრულა 253 შეკვეთა, როცა ამერიკელების შესაბამისი მაჩვენებელი მხოლოდ 225-ია. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ლაინერების საფასური შემკვეთებს ნაწილობრივ ან მთლიანად გადახდილი აქვთ.

ტულუზელები (ეარბასი) წლის ბოლომდე სარეკორდო რაოდენობის (430) ლაინერის წარმოებას გეგმავენ, როცა ჩიკაგოელთა (ბოინგი) შესაბამისი გეგმა მხოლოდ 395 ლაინერია.

კორპორაცია EADS-ი, რომელიც "ეარბასის" აქციების 80 პროცენტს ფლობს, აცხადებს, რომ შესაძლოა, წელს საქმიანობა ზარალით დაასრულოს. ეს კი სწორედ გიგანტური ლაინერ A380-ის შეკვეთების განაღდების დაგვიანებას უკავშირდება.

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ კლებაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება გაგრძელდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფით გავლენას კვლავ ახდენს გლობალური ინფლაციის საფრთხე და აშშ-ს სამშენებლო ბაზრის ვარდნა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,54 პროცენტით, 11.344,41 პუნქტამდე შემცირდა. 0,83 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.149,75 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,51 პროცენტით, 1.293,67 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობის ფასის კლება შეჩერდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება კვლავ შეჩერდა და ძალზე უმნიშვნელო მატება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 67,38 დოლარი, Light-ის მარკის ნავთობი კი 67,81 დოლარი/ბარელი ღირდა. ამის მიზეზე სამდღიანი გაიაფების შემდეგ "შავი ოქროს" შესყიდვებისადმი მიმზიდველობის ზრდა გახლდათ. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ ოპეკის წევრი ზოგიერთი ქვეყანა ორშაბათს ვენაში დანიშნულ სხდომაზე ნავთობის გაიაფების გამო მისი მოპოვების შემცირებას მოითხოვს, თუმცა, ექსპერტთა ვარაუდით, ოპეკი არანაირ ცვლილებას არ განახორციელებს.

## ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდის შეჩერება და მათი გაიაფება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 634 დოლარამდე გაიაფდა, ვერცხლის ფასმა 13,27 დოლარი/უნციამდე მოიკლო, პლატინისამ კი - 1275 დოლარი/უნციამდე. პალადიუმი კი, პირიქით, გაძვირდა და მისმა ფასმა 359 დოლარი/უნციას მიაღწია. ექსპერტთა აზრით, ძვირფასი ლითონების გაძვირების შეჩერება და მათი ფასის კლება რამდენიმე დღის განმავლობაში გამუდმებული გაძვირების შემდეგ მოგების ფიქსაციამ და მეტისმეტად მაღალი ფასის გამო შესყიდვებისადმი ინტერესის კლებამ განაპირობა.

## BAE Systems-მა Airbus-ში წილის გაყიდვა საბოლოოდ გადაწყვიტა

ბრიტანული თავდაცვის სექტორის უმსხვილესი ფირმა BAE Systems მზად არის, მისი კუთვნილი ევროპული ავიაგიგანტის Airbus-ის აქციების 20 პროცენტი კორპორაცია EADS-ს 3,53 მილიარდ დოლარად მიყიდოს. თუ BAE Systems-ის აქციონერები ამ გარიგებას მხარს დაუჭერენ, მაშინ ფრანგულ-გერმანული კორპორაცია EADS -ი, რომელსაც ავიამშენებელი კომპანიის 80 პროცენტი ეკუთვნის, Aurbus-ის ერთპიროვნული მფლობელი გახდება. BAE Systems-ის ხელმძღვანელების განცხადებით, ისინი თვლიან, რომ ახლო და საშუალო პერსპექტივაში Airbys-ი ერთობ მძიმე ამოცანების წინაშე აღმოჩნდება და ამიტომ აქციონერებს გარიგების მხარდაჭერას ურჩევენ. თანაც, აღნიშნავენ, რომ Airbus-ის აქციების პაკეტის გაყიდვა კომპანიას 2 მილიარდი დოლარის სუფთა მოგებას მოუტანს, საიდანაც აქციონერები 900 მილიონს მიიღებენ. გარდა ამისა, ითქვა, რომ გარიგება არანაირად არ დააზარალებს ბრიტანეთში მდებარე Airbus-ის ქარხანაში, სადაც თვითმფრინავების ფრთებს ამზადებენ, მომუშავე 13 ათას ადამიანს.

შეგახსენებთ, რომ BAE Systems-ის მიერ Airbus-ის წილის გაყიდვის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო, მაგრამ მას და EADS-ს შორის თანხის თაობაზე შეთანხმება ვერ შედგა. საბოლოოდ, მხარეებმა აქციათა პაკეტის შეფასების თხოვნით საინვესტიციო ბანკ Rothschild-ს მიმართეს, თუმცა, ბანკის მიერ დასახელებული 3,42 მილიარდი დოლარი ექსპერტთა მიერ ნავარაუდევ 5-6 მილიარდზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა. საბოლოოდ, BAE Systems-ი 3,53 მილიარდ დოლარს დაყაბულდა, რადგან მისმა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ "Airbus-ს მძიმე ჟამი უდგას და პრობლემათა დაძლევას დიდი დრო და ინვესტიციები სჭირდება."

## უძვირფასესი მობილური რუსმა იყიდა

კანში გამართულ მილიონერთა ბაზრობაზე რუსეთის მოქალაქემ, რომლის ვინაობა კონფიდენციალურია, მსოფლიოში უძვირფასესი მობილური ტელეფონი შეიძინა. მის მიერ 1,2 მილიონ დოლარად ნაყიდი ტელეფონი შვეიცარული ფირმის GoldVish-ის მიერ არის დამზადებული, მისი სრულიად ოქროს კორპუსი ხელით არის ნაკეთები და ბრილიანტებითაა მოოჭვილი. ფირმა GoldVish-ის წარმომადგენლის თქმით, სულ სამი ამგვარი მობილური დამზადდა, რომელთაგან ორი მფლობელს ჯერ კიდევ ელოდება. ამასთან, აღინიშნა, რომ ფირმა ოქტომბრისათვის კიდევ რამდენიმე ასეთივე ძვირფას მობილურ ტელეფონს გამოუშვებს.

## ინგლისში საპროცენტო განაკვეთი უცვლელი დარჩა

ინგლისის ბანკმა ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდაზე უარი თქვა და იგი კვლავ 4,75 პროცენტის დონეზე დატოვა. ამგვარად, გამართლდა ანალიტიკოსთა წინასწარმეტყველება, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ მიმდინარე წლის 3 აგვისტოს განაკვეთის 4,5 პროცენტიდან 4,75 პროცენტამდე მოულოდნელად გაზრდის შემდეგ ბანკის ხელმძღვანელობა ამჯერად თავს შეიკავებდა.

# ახალი "ენერგიული" ორგანიზაცია ელექტროენერგეტიკულ სექტორში

*1 სექტემბრიდან საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ახალმა ორგანიზაციამ "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა" (ესკო) დაიწყო ფუნქციონირება. თუმცა კომერციული ოპერატორის დაარსებით ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი არ წყვეტს ფუნქციონირებას, ის სისტემაში დაგროვილი დავალიანების მომსახურებას გასწევს. ესკო-ს ფუნქციონირების დაწყების პარალელურად, ახალი საბაზრო წესებით მოუწევთ მუშაობა ენერგოსექტორის ლიცენზიანტებსაც.*

"ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი" "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის" შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 2006 წლის 7 აგვისტოს დაარსდა. ეს არის კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის 100-პროცენტიანი წილის მფლობელი, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახით, სახელმწიფოა. ესკო-ს წილი შემდგომში ენერგეტიკის სექტორის ლიცენზიანტებზე გადანაწილდება. 30 პროცენტის მფლობელი გამანაწილებელი კომპანიები და პირდაპირი მომხმარებლები, 35 პროცენტის ელექტროენერგიის მწარმოებელი ორგანიზაციები, დარჩენილი 35 პროცენტის კი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი ორგანიზაცია გახდება.

სისტემის კომერციული ოპერატორის ფუნქციებში საბალანსო ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა, ელექტროენერგეტიკული სისტემის სარეზერვო სიმძლავრით უზრუნველყოფა, საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მიწოდება-მოხმარების დაგეგმვის მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა, საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება და ელექტროენერგიის გამყიდველების, მყიდველების, მათ მიერ გაყიდული და შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობების განსაზღვრა და ანგარიშსწორებისათვის ინფორმაციის წარდგენა შედის.

რაც შეეხება ხსენებულ ახალ საბაზრო წესებს, ესკოს ფუნქციონირების დაწყების პარალელურად, ენერგოსექტორის ლიცენზიანტები, ახალი საბაზრო წესების მიხედვით, ელ.ენერგიის ყიდვა-გაყიდვაზე მოკლევადიან (1 წელი) ან გრძელვადიან (5 წელი) პირდაპირ კონტრაქტებს აფორმებენ, კონტრაქტები ფორმდება მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის, საბალანსო სიმძლავრის შესყიდვაზე ხელშეკრულება კი კომერციულ ოპერატორთან ფორმდება.

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის დაარსებით ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ფუნქციონირებას არ წყვეტს - ის სისტემაში დაგროვილი დავალიანების მომსახურებას გასწევს. სესბ-მა დებიტორ-კრედიტორების გადანაწილების პრინციპების პროექტი შეიმუშავა, რომელიც ელექტრობაზრის აღმასრულებელმა საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა. დამტკიცებული პრინციპების მიხედვით, ენერგეტიკაში დაგროვილი დავალიანებების მართვა მოხდება.

ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ბიძინა ჭყონია დღეს პრესკონფერენციას გამართავს, სადაც ენერგოსექტორში "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" როლსა და ფუნქციებზე ისაუბრებს. **24 საათი**

# "საქართველოს რკინიგზის" ოპერატორი "ჯეოსელი" გახდა

"ჯეოსელი" "საქართველოს რკინიგზის" კორპორატიული ქსელის ოპერატორი გახდა. რკინიგზელების მობილურ-ოპერატიული კავშირის ხარისხის გაუმჯობესებისა და ფინანსური დანახარჯების შემცირების მიზნით ერთიანი კორპორატიული ქსელი იქმნება. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია "ჯეოსელია", რომლის ბაზაზე მობილური და ფიქსირებული კავშირის ერთიანი ოპერატიული კორპორატიული ქსელი შეიქმნება. შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის ირაკლი ეზუგბაიას ბრძანებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სააგენტოს სატელეკომუნიკაციო ცენტრის ბაზაზე შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელსაც აბონენტთა აღრიცხვიანობისა და საორგანიზაციო საკითხების წარმოება დაევალა. ამ ეტაპზე, რკინიგზაში ქსელის შექმნასთან დაკავშირებით, საორგანიზაციო სამუშაოები მიმდინარეობს; განისაზღვრება ურთიერთჩართვის ტექნიკური საკითხები, მოხდება სარეზერვო არხების ორგანიზება, შემუშავდება სხვა სპეციფიკური საკითხები. **ინტერპრესნიუსი**

# ამინდი

| | 8/09 | 9/09 | 10/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 23 | 20 | 18 |
| რიგა | 17 | 17 | 17 |
| ვილნიუსი | 17 | 17 | 14 |
| მოსკოვი | 21 | 20 | 13 |
| მინსკი | 17 | 12 | 12 |
| პარიზი | 21 | 20 | 22 |
| რომი | 30 | 27 | 26 |
| ლონდონი | 20 | 21 | 23 |
| მადრიდი | 30 | 32 | 30 |
| ბონი | 21 | 24 | 16 |
| ვარშავა | 15 | 16 | 20 |
| ათენა | 31 | 31 | 27 |
| ბერნი | 18 | 26 | 20 |
| ამსტერდამი | 18 | 17 | 18 |
| ოსლო | 13 | 18 | 19 |
| ანკარა | 28 | 31 | 23 |
| ვარნა | 26 | 25 | 25 |
| დელი | 47 | 48 | 48 |
| ტოკიო | 33 | 32 | 32 |
| კოპენჰაგენი | 15 | 15 | 18 |
| ბაქო | 24 | 26 | 29 |
| ერევანი | 31 | 33 | 35 |
| ასტანა | 23 | 23 | 21 |
| ჰელსინკი | 12 | 8 | 10 |
| დუბლინი | 17 | 17 | 17 |
| ლისაბონი | 35 | 32 | 29 |
| პრაღა | 16 | 21 | 21 |
| სოფია | 28 | 25 | 24 |
| ბუდაპეშტი | 23 | 22 | 23 |
| ბუხარესტი | 30 | 23 | 24 |

# პრემიერ-მინისტრმა კახეთში ყურძენი მოკრიფა

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი კახეთში რთველის პროცესის მიმდინარეობის გასაცნობად უკვე მეორედ ჩადის. მან გუშინ გურჯაანში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიულ შტაბში რთველი 2006-ის მიმდინარეობის შესახებ მინისტრ მიხო სვიმონიშვილისგან ანგარიში ჩაიბარა და კმაყოფილი დარჩა.*

კახეთში "რთველი 2006" გადამწყვეტ ფაზაში სულ მალე შევა, თუმცა აქაურმა გლეხმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ რა ეღირება მისი მოწეული მოსავალი. არადა, როგორც 65 წლის მუკუზანელი გლეხი თენგიზ შაიაშვილი ამბობს, ყურძენი უკვე ლპობას იწყებს. **"მართალია, მთავრობა გვპირდება, რომ გლეხებს მოსავალს უპრობლემოდ დაგვაბინავებინებს, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რომელი ქარხანა მიიღებს და რა ფასებში. ქარხნები კი, რომლებსაც ტელევიზორით აჩვენებენ, მხოლოდ საკუთარ ყურძენს იღებენ. გლეხებამდე არავინ მოსულა, მარცვალი კი ლპობაშია წასული."**

ასეთი პრეტენზიების მოსმენა გუშინ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზანში უწევდა. მთავრობას კი პასუხი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მზად ჰქონდა. პრემიერ-მინისტრს ერთი საათის განმავლობაში უწევდა გლეხის დარწმუნება იმაში, რომ ფასს ბაზარი ადგენს. **"მთავრობა დაგეხმარებათ თითოეული მოწეული მტევნის დაბინავებაში, ფასებს კი არეგულირებს მხოლოდ ბაზარი და, ასევე, შეთანხმება მევენახესა და მეწარმეს შორის. ასე რომ, ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ და ვერ დაგაიმედებთ,"** - ამ სიტყვებით დაემშვიდობა პრემიერი მუკუზანელებს, რომელმაც მანამდე სოფლის რამდენიმე მოსახლეს ვაზის წარმოშობის დამადასტურებელი პასპორტები გადასცა. ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტის საშუალებით მოხდება სერტიფიცირებული ღვინის დამზადება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა. **"ღვინოზე სახელწოდება "მუკუზანს" მხოლოდ ის მეწარმე გამოიყენებს, ვინც ყურძენს ამ სოფლიდან შეისყიდის. მართალია, აღნიშნული კანონი რამდენიმე წლის წინ მივიღეთ, მაგრამ მისი ამოქმედება პრეზიდენტის წყალობით მოხდა,"** - აღნიშნა ნოღაიდელმა.


პრემიერ-მინისტრი გლეხებს დაეხმარა.

უკვე მესამე დღეა კახეთში რთველი დაიწყო. სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის ინფორმაციით, ამ დროისთვის უკვე 3 ათასი ტონა ყურძენია დაკრეფილი, აქედან 2 ათასი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშია გატანილი. **"ამ დროისთვის კახეთში ყურძნის მოსავალი ხუთმა ქარხანამ უკვე მიიღო. რეალურად კი კახელი გლეხის ყურძნის მოსავლის მისაღებად ორმოცდაათამდე საწარმოა მზად. გარდა ამისა, არის ძალიან დიდი აქტიურობა კერძო სექტორის მხრიდან. პრეზიდენტის ინიციატივას მრავალი კომპანია გამოეხმაურა და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ თითოეული მტევანი ყურძენი დაბინავებული იქნება,"** - აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

# GPI ჰოლდინგი უმუშევრობას აზღვევს

პირველი გვერდიდან

შეიძლება ითქვას, საქართველოში უმუშევრობის დაზღვევა შედარებით ახალი სადაზღვევო პროდუქტია, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ "ჯიპიაი ჰოლდინგი" უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სთავაზობს ბაზარს, თუმცა ამ სადაზღვევო პროდუქტით დღემდე, ძირითადად, კომერციული ბანკის საკრედიტო ბარათების მფლობელები სარგებლობდნენ.

უმუშევრობის დაზღვევა შემდეგს გულისხმობს: იმ შემთხვევაში, თუკი დასაქმებული არა საკუთარი, არამედ დამსაქმებლის ნებით ან სხვა იძულების წესით დატოვებს სამსახურს, მომდევნო ათი თვის განმავლობაში, უმუშევრად დარჩენილს სადაზღვევო კომპანია უხდის კომპენსაციას.

პროფკავშირებისა და "ჯიპიაი ჰოლდინგის" ზემოთ აღნიშნული პროექტი - "პოლისი ხელფასი" კი შემდეგს გულისხმობს: პროფკავშირის ის წევრი, რომელიც ამ პროდუქტის შეძენის სურვილს გამოთქვამს, საკუთარი ხელფასიდან თვეში 1 ლარსა და 50 თეთრს რიცხავს სადაზღვევო კომპანიაში და უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში, ათი თვის განმავლობაში მიიღებს 1500 ლარს (თვეში 150 ლარი) "ჯიპიაი ჰოლდინგისგან". თუკი დაზღვეული პირი 10 თვემდე ადრე იშოვის ახალ სამსახურს, მას სადაზღვევო კომპანიისგან კომპენსაციის მიცემა ავტომატურად შეუწყდება.

რა შემთხვევაში მიიღებს კომპენსაციას დაზღვეული?

- თუკი გაათავისუფლეს სამსახურიდან დამსაქმებლის გადაწყვეტილებით;
- თუკი დაკარგა სამუშაო ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შედეგად;


ირაკლი პეტრიაშვილი.

- თუკი გაუქმდა მისი სტრუქტურული დანაყოფი ან საშტატო ერთეული;
- თუკი მისი ორგანიზაცია გადავიდა სხვა ქალაქში ან სოფელში, წინა სამუშაო ადგილიდან 50 კმ-ზე მეტი რადიუსით;
- თუკი გაუარესდა მისი შრომითი კონტრაქტის პირობები, შემცირდა ხელფასი, გაიზარდა სამუშაო დრო და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუკი დაზღვეულ პირს არ დასჭირდა კომპენსაციის მიღება "პოლისი ხელფასით", მის მიერ გადახდილი თანხის 20 პროცენტი ავტომატურად ჩაირიცხება "ჯიპიაი ჰოლდინგის" საპენსიო ანგარიშზე, რომელიც გაიხსნება დაზღვეულის სახელზე.

ეს სადაზღვევო პროდუქტი ნებაყოფლობითია, თუმცა ამ ეტაპზე მისით მხოლოდ პროფკავშირების წევრები ისარგებლებენ. **"ჩვენს ქვეყანაში პირველად ფორმდება კოლექტიური უმუშევრობის დაზღვევის ხელშეკრულება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია საქართველოს ყველა დასაქმებულისათვის, ვინც პროფკავშირის წევრია. ცხადია, სადაზღვევო პოლისი ვერ შეამსუბუქებს მორალურ დანაკარგს, მაგრამ გარკვეულ მატერიალურ გარანტიებს მაინც შექმნის,"** - აღნიშნა "ჯიპიაი ჰოლდინგის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი კვირიკაძემ.

როგორც ირკვევა, ეს არ იქნება "ჯიპიაი ჰოლდინგისა" და "საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების" ერთობლივი უკანასკნელი პროექტი. უმუშევრობის დაზღვევის გარდა, სულ მალე ისინი კიდევ რამდენიმე სიახლეს შესთავაზებენ იმ მომხმარებლებს, რომლებიც პროფესიული კავშირების გაერთიანებებში ირიცხებიან.

**"ჩვენ მომავალშიც ვაპირებთ, მრავალი ისეთი პროექტი შევთავაზოთ ჩვენს წევრებს, რომლებიც შექმნიან ყველა სიტუაციაში დაცვით მექანიზმებს და სხვადასხვა სოციალურ გარანტიებს,"** - განაცხადა პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა.

უმუშევრობის დაზღვევა, თუმცა განსხვავებული ფორმებით, ძალიან ბევრ სახელმწიფოშია პოპულარული და ის გამოიყენება, როგორც მოსახლეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური გარანტი. მაგალითად, ჰოლანდიაში კერძო სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობა უმუშევრად დარჩენილებს კომპენსაციის სახით წინა ხელფასის 70 პროცენტს უხდიან.

# საქართველოს შრომის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები მსოფლიოს 3 საუკეთესო რეფორმათა შორის მოხვდა

საქართველოს შრომის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები 2005-2006 წლებში მსოფლიოში განხორციელებული 3 საუკეთესო რეფორმათა შორის მოხვდა. მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ახალ ერთობლივ ანგარიშში საქართველოს შრომის კანონმდებლობის რეფორმა მექსიკაში ინვესტორთა დაცვის გაზრდის და ფასიანი ქაღალდების მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებთან და სერბეთის ახალ საბაჟო კოდექსთანაა მოხსენიებული. ანგარიშის "Doing business 2007" მიხედვით, საქართველოში, სალვადორში, მადაგასკარში და ბურკინა-ფასოში ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურის დრო და ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. მინიმალური კაპიტალის ოდენობა, რომლითაც ბიზნესის დაწყებაა შესაძლებელი, 2000 ლარიდან 200-მდე შემცირდა, - აღნიშნულია ანგარიშში. წყაროს ინფორმაციით, ექსპორტისთვის საჭირო ადმინისტრაციული პროცედურების გასავლელად, 54 ნაცვლად, მხოლოდ 13 დღეა საჭირო. საქართველოს შემდეგ, რომელიც "ბიზნესის წარმოების" ზოგად რეიტინგში 112-ე ადგილიდან 37-ე ადგილზე დაწინაურდა (ანუ 75 ადგილით), ყველაზე დიდი ნახტომი მექსიკას ჰქონდა, რომელმაც 63-ე ადგილიდან 43-ზე გადაინაცვლა. დსთ-ს ქვეყნებს შორის რეიტინგში ყველაზე მაღალ ადგილზე სომხეთია - 34-ე ადგილი. რუსეთი 96-ე აზერბაიჯანი 99-ე, ხოლო უკრაინა 128-ე პოზიციებს იკავებენ. საქართველოს მიღწევებს რეფორმების განხორციელების სფეროში მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წლიურ შეხვედრაზე განიხილავენ, რომელიც სინგაპურში 18-20 სექტემბერს გაიმართება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ახალი ლიანდაგები დაიგება

ჭალადიდი-ქვალონის 10-კილომეტრიან სალიანდაგო უბანზე კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოები მიმდინარეობს. შპს "საქართველოს რკინიგზის" პრესსამსახურის ინფორმაციით, კომპანიის სალიანდაგო დეპარტამენტის მიერ 6 კმ სიგრძის ლიანდაგი გამოიცვალა, სადაც ქართული წარმოების რკინაბეტონის შპალები, R-65 მარკის რელსები და ახალი მიწის ვაკისი მოეწყო. ჭალადიდი-ქვალონის სარკინიგზო მონაკვეთის კაპიტალური შეკეთების შემდეგ სამუშაოები ქვალონი-სენაკის უბანზეც გაგრძელდება. რკინიგზის სალიანდაგო დეპარტამენტში ჭალადიდი-სენაკის 22-კილომეტრიან სარკინიგზო მაგისტრალზე კაპიტალური სამუშაოების დასრულებას წლის ბოლოსთვის გეგმავენ. საქართველოს რკინიგზის ინფორმაციით, ჭალადიდი-სენაკის სარკინიგზო უბანზე მსგავსი მასშტაბის სამუშაოები ბოლო 30 წლის მანძილზე არ განხორციელებულა. სალიანდაგო დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად, აღნიშნულ უბანზე მატარებელთა მოძრაობის სიჩქარე 40 კმ/სთ-დან 80 კმ/სთ-მდე გაიზრდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# თბილისში ფასების საერთო დონე გაიზარდა

თბილისში, წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე 0,24%-ით გაიზარდა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტიდან აცნობეს. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, სასურსათო საქონელზე ფასები 0,50%-ით გაიზარდა, ხოლო არასასურსათო საქონლზე ფასები 0,03%-ით შემცირდა. მომსახურების ტარიფები გასულ კვირასთან შედარებით უცვლელი დარჩა. დეპარტამენტის ინფორმაციით, გასულ კვირასთან შედარებით, ფასები მაკარონზე (4.4%-ით), ყველზე (4.0%-ით), კარტოფილზე (3.1%-ით), არაყზე (2.4%-ით), კოკა-კოლაზე (0.7%-ით) და სიგარეტ Winston Light-ზე (0.6%-ით) გაიზარდა. ამასთან ფასები კიტრზე (16.4%-ით), პომიდორზე (10.9%-ით), ფოთლოვან კომბოსტოზე (7.1%-ით), სტაფილოზე (4.1%-ით), ჭარხალზე (3.5%-ით), ხახვზე (0.9%-ით), ადგილობრივ ლუდზე (0.9%-ით), ღორის ხორცზე (0.8%-ით), ძროხის ხორცზე (0.7%-ით) და ქათმის ბარკლებზე (0.2%-ით) შემცირდა. რაც შეეხება არასასურსათო საქონელს, წინა კვირასთან შედარებით, ფასები ჰიგიენურ საპონზე (2.7%-ით) შემცირდა. თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) 1 სექტემბრიდან 7 სექტემბრამდე 100,24 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 99,98 პროცენტი იყო (ეს ინდექსი 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს). **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს 220კვ და 110კვ ელექტროგადამცემი ხაზების შეკეთების სამუშაოს შეძენაზე (5 ლოტი)

**შესაკეთებელი ხაზების ჩამონათვალი ლოტების მიხედვით:**

1. კოლხიდა I
2. კოლხიდა II
3. სურამი-220
4. ლიახვი-220
5. ფერო-1 და ფერო-2

სამუშაოს შესრულების სასურველი ვადა არის შემსყიდველის მოთხოვნისამებრ 2006 წლის განმავლობაში. თუმცა თითოეული ლოტში მითითებული სამუშაოები სასურველია დასრულდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან 40 დღის განმავლობაში.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 სექტემბრის 12:00 საათამდე(თბილისის დროით), ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 28 სექტემბრის 12:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- მე-4 სართული

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოების პროცესი, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0606 G 0163

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ (პროექტი)

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს სპეცტანისამოსის და სპეცინვენტარის შეძენაზე (1 ლოტი)

| № | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების სასურველი ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | კომბინიზონი ბამბეულის ზაფხულის სახაზო ბრიგად. | 23 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 2 | კომბინიზონი ბამბეულის, ზაფხულის ქვესადგ. საექსპლ. ბრიგადებისათვის | 87 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 3 | კოსტუმი ცეცხლგამძლე შესრულებით ზაფხულის ქ/ს მორიგე ოპერატიული პერსონალისათვის | 178 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 4 | კოსტუმი ცეცხლგამძლე შესრულებით ზამთრის ქ/ს მორიგე ოპერატიული პერსონალისათვის | 178 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 5 | კომბინიზონი ბამბეულის ზაფხულის ქ/ს უფროსისა და ოსტატისათვის | 16 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 6 | კომბინიზონი ბამბეულის, ზამთრის სახაზო ბრიგადებისათვის, გაჩეხვ. სამ. ბრიგადებისათვის, ქ/ს უფროსებისა და ოსტატებისათვის | 126 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 7 | საწვიმარი ლაბადა დარეზინებული | 129 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 8 | ჩექმა კირზის მოცურების საწინააღმდეგო ძირით | 207 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 9 | ჩექმა რეზინის მოცურების საწინააღმდეგო ძირით | 52 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 10 | ფეხსაცმელი ყელიანი ტყავის მოცურების საწინააღმდეგო ძირით | 196 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 11 | ხელთამანი ბამბეულის კომბინირებული | 1940 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 12 | დიელექტრიკული ხელთათმანი | 144 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 13 | სტანდარტული კიბე დიელექტრიკული 3/5 მეტრი | 60 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 14 | დამცავი სათვალე ღია/მუქი | 242 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 15 | შტანგა ოპერატიული უნივერსალური | 92 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 16 | ძაბვის მაჩვენებელი | 107 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 17 | გადასატანი დამიწება ღია გამანაწილებელი მოწყობილობებისათვის | 64 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 18 | გადასატანი დამიწება ხაზებისათვის | 6 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 19 | დიელექტრიკული ბოტი | 25 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 20 | დამცავი ჩაფხუტი | 95 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 21 | იზოლირებულ სახელურიანი საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების კომპლექტი | 15 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 22 | დამზღვევი ქამარი | 16 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 23 | ინდივიდუალური ფხვნილოვანი ცეცხლმაქრი | 90 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 24 | ინდივიდუალური ნახშირმჟავიანი ცეცხლმაქრი | 90 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |
| 25 | სახანძრო სტენდი კომპლექტში | 25 | ქ. თბილისი ქინძმარაულის ქ. №29 | 40 დღე შემსყიდველის მოთხოვნიდან |

საქონლის მოწოდების სასურველი ვადა არის შემსყიდველის მოთხოვნიდან 40 დღის განმავლობაში. ანაზღაურება მოხდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 სექტემბრის 16:00 საათამდე (თბილისის დროით), ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 28 სექტემბრის 16:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- მე-4 სართული

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოების პროცესი, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0806 G 0231

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური

# განცხადება კონკურსის შესახებ

**სსიპ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა შემდეგ თანამდებობებზე.:**

| განყოფილების დასახელება | მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული) | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული) | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (0.5 საშტატო ერთეული) | მეცნიერ თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული) | მეცნიერ თანამშრომელი (0.5 საშტატო ერთეული) |
|---|---|---|---|---|---|
| ბიოლოგიური ძვრადობა | 1 | 3 | 1 | 3 | 1 |
| მოლეკულური ბიოფიზიკა | - | 2 | 1 | 3 | - |
| სტრუქტურული ბიოინფორმატიკა და სინთეზი | 1 | 2 | - | 3 | - |
| ფუნქციური გენომიკა | - | 3 | 1 | 3 | 1 |

**უცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**ა**) მთავარი მეცნიერ თანამშრომლის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის, დოქტორის) ხარისხი;

ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომლის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

გ) მეცნიერ თანამშრომლის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. დაწვრილებითი კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
3. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სრული ჩამონათვალი (ცალ-ცალკე წარმოადგინეთ სტატიების და თეზისების, ბოლო 5 წლის განმავლობაში და მანამდე გამოქვეყნებული შრომების სია) და ყველა ნაშრომის პირველი გვერდის ასლი;
5. სამი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
6. საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერისა, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს;
7. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

**საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს** ქართულ ენაზე ნაბეჭდი სახით 2 ეგზემპლარად და ელექტრონული ფორმით.

**საბუთები მიიღება** მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში. მისამართი: გოთუას ქ. 12, თბილისი. **საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 8 ოქტომბერი**. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 18 ოქტომბერს. განცხადება განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: http://www.acnet.ge/~biophys/contest.html და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ გვერდზე: http://www.mes.gov.ge

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

e-mail: nellydatukishvili@yahoo.com და nodarsurguladze@yahoo.com

ტელ. 388339, 374211. მობ: 899 949713; 899 499485

პასუხისმგებელი პირი: ნელი დათუკიშვილი

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

**(რუსთაველის გამზირი N29) ადმინისტრაციული შენობის წინა ფასადის მარცხენა და მარჯვენა ნიშების "ვენეციური მინანქრით" მოპირკეთების სამუშაოები**

1. წინა ფასადის მარცხენა და მარჯვენა ნიშების "ვენეციური მინანქრით" მოპირკეთება.

"ვენეციური მინანქრით" მოპირკეთება

| | | | |
|---|---|---|---|
| ვენეციური მინანქარი | 634x460 სმ. | 2 ერთეული | წინა ფასადი |
| | | | |

**მომსახურება მოიცავს**

- სარემონტო სამუშაოების იზოლირებას მიმდებარე ტერიტორიისაგან.
- სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავებას.

## შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს სასადილოების ფუნქციონირების მიზნით ყოფილი პირველი საწარმოო რაიონის ადმინისტრაციული შენობის 1-ლ და მე-2 სართულზე, ავტოსატრანსპორტო საწარმოს და ცენტრალური შემკეთებელი სახელოსნოს შენობაში განთავსებული 380,74 კვ.მ.; 110,8 კვ.მ.; 216,5 კვ.მ. ფართობების 2 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- საიჯარო ქონება - ნავსადგურის ყოფილი პირველი საწარმოო რაიონის ადმინისტრაციული შენობის 1-ლ და მე-2 სართულზე 380,74 კვ.მ. ფართობი; ავტოსატრანსპორტო საწარმოს 110,8 კვ.მ. ფართობი; ცენტრალური შემკეთებელი სახელოსნოს შენობაში განთავსებული 216,5 კვ.მ. ფართობები;
- იჯარის ფასი: 1 მ ფართობის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 3 ლარს (დ.ღ.გ.-ს გარეშე);

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ფართობი იჯარით გაიცემა იმ პირობით, რომ კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელი იქნება მეიჯარის (ნავსადგურის) პრივატიზების, ან მოცემული ფართობის პრივატიზების და ასევე რეალიზების შემთხვევაში.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 14 სექტემბრიდან დილის 10 საათიდან 2006 წლის 29 სექტემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საიჯარო ფართების ტექნიკურ მდგომარეობას.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული

საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

1. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
2. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
3. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭება მაქსიმალური ფასის გადამხდელ პრეტენდენტს.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

## შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მე-2 საწარმოო რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სახელოსნოს შენობის 1-ლ და მე-2 სართულზე განთავსებული 210.98 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართობის პროლონგაციის გარეშე 5 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- საიჯარო ქონება - ნავსადგურის მე-2 საწარმოო რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სახელოსნოს შენობის 1-ლ და მე-2 სართულზე განთავსებული 210.98 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართობის, მათ შორის სასარგებლო ფართობი - 176,13 კვ.მ., დამხმარე სარგებლობის ფართობი - 34,87 კვ.მ.;
- იჯარის ფასი: 1 მ სასარგებლო ფართობის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 4 აშშ დოლარს შესაბამისი კურსით ლარებში (დ.ღ.გ.-ს გარეშე);

1 მ დამხმარე სარგებლობის ფართობის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 1,5 აშშ დოლარს შესაბამისი კურსით ლარებში (დ.ღ.გ.-ს გარეშე);

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ფართობი იჯარით გაიცემა იმ პირობით, რომ კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელი იქნება მეიჯარის (ნავსადგურის) პრივატიზების, ან მოცემული ფართობის პრივატიზების და ასევე რეალიზების შემთხვევაში.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 14 სექტემბრიდან დილის 10 საათიდან 2006 წლის 29 სექტემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საიჯარო ფართების ტექნიკურ მდგომარეობას.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭება მაქსიმალური ფასის გადამხდელ პრეტენდენტს.

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"**

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერის წესით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (რუსთაველის გამზირი N29) ადმინისტრაციული შენობის მარცხენა და მარჯვენა ნიშების "ვენეციური მინანქრით" მოპირკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვას და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
2. მომსახურება განხორციელდება 2006 წლის განმავლობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურული კონვერტით) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 28 სექტემბერს 17:00 საათამდე. მისამართი:ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა 4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ტელ:28-48-78 ან 28-48-76;

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. **იურიდიულ პირთათვის**:

ა) უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული ცნობა, შესაბამისად არსებული წესით ლეგალიზირებული დოკუმენტი, რომ არ მიმდინარეობს მონაწილე პრეტენდენტის გაკოტრების, სანაციისა და ლიკვიდაციის საქმის წარმოება;

ბ) უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული ცნობა, შესაბამისად არსებული წესით ლეგალიზირებული დოკუმენტი, რომ ყადაღა არ ადევს მონაწილე პრეტენდენტის ქონებას;

გ) უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული ცნობა, შესაბამისად არსებული წესით ლეგალიზირებული დოკუმენტი, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) გამოცდილების ისტორია ანალოგიური საქმიანობის შესახებ;

ე) საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1 % ოდენობით;

4.2. **ფიზიკურ პირთათვის**:

ა) უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული ცნობა, შესაბამისად არსებული წესით ლეგალიზირებული დოკუმენტი, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული ცნობა, შესაბამისად არსებული წესით ლეგალიზირებული დოკუმენტი, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული ცნობა, შესაბამისად არსებული წესით ლეგალიზირებული დოკუმენტი, რომ არ მიმდინარეობს მონაწილე პრეტენდენტის გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) გამოცდილების ისტორია ანალოგიური საქმიანობის შესახებ;

ე) საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1 % ოდენობით;

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

